წლიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76) მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—43.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამს. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

ოთხშაბათი, 7 აპრილი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 77 (1532)

დ ღ ი უ რ ი

- ოსმალეთში დაარსდა საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის მეგობრობის რამოდენიმე შერეული საზოგადოება.
- ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ინგლისი უშვებდა(?) პირას სდგას.
- საფრანგეთი ემზადება მაროკოში ახალი შეტევისათვის.
- ჩინეთში გრძელდება ძალების გადაჯგუფება.
- ამიერ-კავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკებში მძვინვარებს ქარბუქი.

მიწადმოწყობის საკითხები

მიწადმოწყობის დარგში უმთავრესი სამუშაო ჯერ კიდევ წინ გვიძევს. სოფელთაშორისო მიწადმოწყობა, რომელიც ბოლოს უღებს დავებს და საჩივრებს მომიჯნავე სოფლებს შორის მიწის გარშემო, 1925 წლამდე ჩატარებულია მთელს რესპუბლიკაში 28,2 პროცენტით; კომლეული მიწადმოწყობა, რომელიც სპობს მიწების უთანასწორო და უსამართლო განაწილებას თვითეულ სოფელში, შესრულებულია ა. წ. 1-ლ მარტამდე ჩვენს ქვეყანაში საშუალოდ 5.55%.

გეგმიანი მიწადმოწყობა ხანგრძლივ დროს, საშუალებებს და ტეხნიკურ ძალებს მოითხოვს და ამიტომ მისი განხორციელება, ცხადია, შეუძლებელი იყო აგრარული რევოლიუციის მოხდენის დროს. ჩვენ პირველ ყოვლისა დაკვრითი წესით უნდა მოგვესპო მსხვილი მიწადმფლობელობა, ძველი საადგილმამულო ურთიერთობანი. მხოლოდ ამის შემდეგ, როცა გამარჯვებული მშრომელი ხალხი შეუდგა ნორმალურ აღმშენებლობას, მოგვეცა საშუალება ხელი მიგვეყო ამ ურთულეს საქმისათვის.

ჩვენ ვიცით, რომ მიწადმოწყობის გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი სასოფლო მეურნეობის სწრაფ განვითარებასა და მტკიცე მიწადსარგებლობის დამყარებაზე. ამიტომ ამ საკითხს საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს.

რაში მდგომარეობს ამოცანა? რევოლიუციონური წესით მიწების ჩამორთმევა - გადაცემის დროს, ბუნებრივად, მრავალი შეცდომა იქნა დაშვებული. ზოგიერთი მეტ და საუკეთესო მიწას დაეუფლა, ზოგიერთი კი ამ მხრივ სათანადოდ ვერ იქნა დაკმაყოფილებული. მიწადმოწყობის პროცესში ეს შეცდომები გამოსწორებული უნდა იქნეს, უნდა მოხდეს მიწების ნაწილობრივი გადანაწილება, სადაც ეს საჭიროა.

შემდეგ: გლეხი დღესაც ვერ სარგებლობს მიწით დამშვიდებულად, თუნდაც ამისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობდეს; მას უნდა, რომ მიწა მიეკუთვნოს მიწის მზომელის მიერ შესაფერი ნორმალური აქტის შესრულებით. მიწადმოწყობა ამ მოთხოვნას შეასრულებს.

ჩვენში მეტ წილად ისეთი მდგომარეობაა, როცა თვითეულ გლეხის სარგებლობაში მყოფი მიწა დაქუცმაცებულია, ერთი ნაჭერი ერთ ადგილას აქვს, მეორე სადღაც შორსაა მიგდებული, ან შეჭრილი სხვის მიწაში. ასეთ პირობებში გლეხი დიდძალ დროსა და შრომას კარგავს მიწების დამუშავებაში, შეუძლებელი ხდება მეურნეობის რაციონალიზაცია, მასში თანამედროვე ტეხნიკის შეტანა. მიწადმოწყობა მოსპობს მიწების ამ [illegible]. მრავალნაკვეთიანობას და საერთო ნაჭრების გადანაწილებით შექმნის მთლიან ნორმას.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში არსებობენ წვრილ - წვრილი სოფლობა, რომელნიც გაფანტული არიან რამოდენიმე ათეულ ვერსის სივრცეზე. ეს მეტად აძნელებს აქ ადმინისტრატიულ მართვა - გამგეობას და კულტურულ მუშაობის წარმოებას. საჭიროა ამ წვრილი სოფლების თავმოყრა.

ყველა ამ მუშაობის შესრულება არ შეიძლება მექანიკურად, უბრალო ლარის გავლებით. აქ აუცილებელია მეურნეობათა ხასიათის და ტიპის შესწავლა, მიწის ნიადაგის გამორკვევა და სხვ., რათა მიწადმოწყობამ არავინ დააზარალოს და ამავე დროს მან ხელი შეუწყოს სოფლის ეკონომიკის აღორძინებას. მიწადმოწყობა უნდა ჩატარდეს სასოფლო მეურნეობის განვითარების სათანადო გეგმასთან დაკავშირებით. მიწისმზომელ — მიწადმომწყობის და აგრონომის შეთანხმებული მუშაობა ამისათვის თავისთავად იგულისხმება.

მიწადმოწყობის დროს ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ, სხვათა შორის, ორი მომენტი: განსაკუთრებული ანგარიში უნდა გაეწიოს საძოვრების საკითხს, რომლის რიგიანი გადაჭრა სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს ჩვენი მესაქონლეობისათვის. საძოვრებზე სარგებლობის დარგში დაუთავებელ გაუგებრობას და დავას აქვს ჩვენში ადგილი. მიწადმოწყობამ ამას საზღვარი უნდა დაუდვას.

მიწადმოწყობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული აგრეთვე გადასახლების საქმე. როგორც ვიცით, ბევრ ადგილას ჩვენში მიწის უკიდურესი სივიწროვეა, ამავე დროს ზოგიერთ რაიონებში ამმხრივ საკმაო ხალვათობაა უნდა გამოინახოს მიწის თავისუფალი ფონდები გადასახლების მოსაწყობად და მოსახლეობის სწორი განაწილებისათვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მიწადმოწყობის სათანადოდ ჩატარება დიდძალ თანხებს მოითხოვს. სახელმწიფო ამისათვის იღებს შესაძლებელ საშუალებებს. ღარიბ გლეხობის მიწის მოსაწყობად გამოღებულია მნიშვნელოვანი თანხა. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. თვითონ მოსახლეობამ უნდა გაიღოს ამ საქმისათვის თავისი წვლილი.

აგრეთვე ჩვენ განვიცდით მომზადებულ მიწადმომწყობთა ნაკლებობას. აუცილებლად უნდა შეიქმნას მათი საკმაო კადრი.

სამიწადმოქმედო ორგანოების მუშაკთა ეხლანდელი ყრილობა უეჭველად შეჩერდება ამ საკითხებზე და დასახავს უახლოეს კონკრეტიულ ღონისძიებებს სამიწადმომწყობო მუშაობის დარგში.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ აგრარული რევოლიუცია დამთავრებულად ვერ ჩაითვლება, სანამ მიწადმოწყობა არ დასრულდება. მიწადმოწყობა ერთ - ერთი ძირითადი პირობაა სოფლის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინების, მისი წარმართვისა სოციალისტური მშენებლობის კალაპოტით. ამიტომ მიწადმოწყობას უნდა დაეთმოს ის ყურადღება, რომლის ღირსიც ის არის თავისი მნიშვნელობით.

დაუახლოვოთ კანონი მოსახლეობას

საბჭოთა რესპუბლიკების ნორმალურ აღმშენებლობის ერთ-ერთ პილიუციური წესრიგი და საზოგადოებრივი მშვიდობიანობა. ეს უკანასრობას წარმოადგენს მტკიცე რევოკნელი მჭიდროთაა დაკავშირებული ჩვენი კანონმდებლობის ცხოვრებაში ურყევათ და სისწორით გატარებაზე. აქ კი მთელ რიგ დაბრკოლებებთან გვაქვს საქმე, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი გარემოება. ესაა ნაკლები პოპულიარიზაცია საბჭოთა კანონიერებისა ფართე მშრომელ მასაში და ამაზე აღმოცენებული გაუგებრობანი, რომელნიც არც ისეთ იშვიათ მოვლენას წარმოადგენენ ჩვენი სასამართლოს თუ დამსჯელი ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში.

საბჭოთა კანონმდებლობის ფართე პოპულიარიზაციასაც რომ თავი დავანებოთ, ზოგჯერ მოსახლეობა მოკლებულია ელემენტალურ ცოდნას ჩვენი მართლმსაჯულების ძირითად დებულებების და ამ მართლმსაჯულების საერთო მისწრაფების მიზანის შესახებ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბოროტმოქმედებათა რიცხვის შემცირება და რევოლიუციურ კანონიერების განმტკიცების საქმე, რომელზედაც ასე ზრუნავს დღეს ხელისუფლება, ბევრათაა დამოკიდებული საბჭოთა კანონმდებლობის პოპულიარიზაციის საკითხისაგან.

მიუხედავათ ამისა, ზოგჯერ ისეთ მოვლენებთანაც გვაქვს საქმე, როცა კანონებში ვერ ერკვევიან სავსებით თვით სასამართლოს მუშაკებიც კი და ის პირნი, ვინც უშუალოთ მოწოდებულნი არიან დარაჯათ ედგენ საბჭოთა კანონიერებას. გარდა ამისა, მოსახლეობის იურიდიულ მოუმზადებლობის ნიადაგზე, ამ ბოლო ხანს თავი იჩინა ძველი სასამართლოების თანდაყოლილმა მავნე ჩვეულებებმა. ესაა საბჭოთა აბლაკატობა, ან, თუ გნებავთ, თავისებური აქიმბაშობა იურისპრუდენციის დარგში. ყველა იოლი მოგების მაძებარი, ყველა შრომას გადაჩვეული, შემთხვევითი ელემენტი ეტანება დღეს ამ საქმეს. ზოგჯერ ეს ელემენტები გამოდიან სოფლად და ქალაქადაც საბჭოთა კანონმდებლობის კომენტატორებათ და პოპულიარიზატორებათ. ადვილი წარმოსადგენია, როგორ განმარტებას ღებულობს აბლაკატებისაგან ჩვენი კანონების კოდექსები. მშრომელ მოსახლეობასაც არც ისე იაფათ უზის აბლაკატის შედგენილი „აზრნა"—საჩივარი და მისი რჩევა-დარიგება.

ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ერთი მხრივ მოსახლეობის და ზოგჯერ თვით სასამართლოს მუშაკების ჩამორჩენილობა იურიდიულ მომზადების დარგში აიხსნება ჩვენი კანონმდებლობის საერთო პირობებით. ახალი დეკრეტები, უმაღლეს ორგანოთა დადგენილებები, არსებულ კანონების შესწორებები და სხვა იმდენათ ხშირი მოვლენაა ჩვენს სინამდვილეში, რომ მათი სათანადოთ თვალყურის დევნებას ვერ ასწრებენ არა თუ მოსახლეობის ფართე ფენები, არამედ ყოველდღიურ მუშაობით დატვირთული სასამართლოს და დამსჯელ ორგანოთა მუშაკებიც. მაგრამ ეს გამოწვეულია ერთი მხრივ ჩვენი საერთო შინაურ ვითარებით, რომელიც ყოველ დღე ახალ-ახალ მოთხოვნილებებს ჰბადებს უფლებრივ ურთიერთობის დარგში და ამ მოთხოვნილების განსაზღვრულ იურიდიულ ჩარჩოებში ჩამოყალიბებას საჭიროებს და მეორე მხრივ საბჭოთა კანონმდებლობის სინორჩით, რომელიც იზრდება და ვითარდება ქვეყნის საერთო წინსვლელობა-დაწინაურებასთან ერთად.

ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს საბჭოთა კანონების პოპულიარიზაციის აუცილებლობის საკითხს. პირველყოვლისა საჭიროა აქ სათანადო ლიტერატურის გამოცემა-გავრცელებაზე ზრუნვა. დღემდე ჩვენ ვერ მოგვიგვარებია თვით (ცალკე კოდექსების საკმაო რიცხვით გამოცემაც კი, მაგრამ კანონების ბეჭდითი სახით გავრცელებასთან ერთად აუცილებელია ამ კანონების სათანადო განმარტებების და მათ შესახებ მარტივი ენით შედგენილ წიგნაკების გამოცემა-გავრცელება. იურიდიულ ლიტერატურის გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს ორგანოების პრაქტიკულ მუშაობას, როცა ეს მუშაობა თვალსაჩინოა მოსახლეობისათვის. ჩვენ ვლაპარაკობთ საქმეების საჯაროთ გარჩევაზე და სასამართლოს სესიების რაც შეიძლება ხშირათ გამართვაზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იურიდიულ კონსულტაციის გაფართოებასაც. ამ მხრივ, განსაკუთრებით სოფლად, შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა კულტურული დაწესებულებანი და ძალები. ქოხ-სამკითხველოები, სკოლა, კლუბები და როგორც ამ დაწესებულებებში მომუშავე, ისე დანარჩენი სოფლის ინტელიგენცია. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს უმთავრესად ელემენტარული იურიდიული ცოდნის გავრცელება, რაც ამ ძალებს, უნდა ვიფიქროთ, არ გაუძნელდებათ.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კანონების პოპულიარიზაცია საჭიროა არა მარტო რევოლიუციურ კანონიერების განმტკიცების, ბოროტმოქმედებათა რიცხვის შემცირების და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის უზრუნველყოფის მიზნით, რაც ასე საჭიროა ჩვენი ნორმალური წინსვლისათვის, არამედ ის ამავე დროს გულისხმობს მოსახლეობის პოლიტიკურ თვითშეგნების განვითარებას და მის კულტურულად დაწინაურებასაც.

ნ. გ—ძე.

წერილი ინგლისიდან

უმცირესობათა მოქმედების საგანგებო კონგრესი

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

უმცირესობათა მოქმედების კონგრესს ლონდონში დიდი გამარჯვება ხვდა წილად. გამოცხადდა 883 დელეგატი, რომელთა შორის მრავლად იყვენ ქალებიც. წარმოდგენილი იყო 547 მუშათა ორგანიზაცია (ტრედუნიონები, მუშათა პარტიის ჯგუფი, ახალგაზრდობა, ქალები, უმუშევრები და სხვა). ამათში შედის თითქმის ერთი მილიონი წევრი ე. ი. **ტრედუნიონებში შეკავშირებულ მუშების ერთი მეოთხედი.**

წარმომადგენელთა ციფრი—883, სარეკორდო მიღწევაა. ამ კონგრესზე აღსანიშნავია პროვინციალურ ჯგუფების წარმომადგენლობა, რომელშიც ირიცხებოდა 265 დელეგატი. უმცირესობის მოძრაობა თვალსაჩინოდ იზრდება კვირიდან-კვირამდის და ეს საგანგებო კონგრესი საუცხოვო პასუხია მემარჯვენე რეფორმისტებისა და ტრედუნიონების მემარცხენე ფრთის თავდაჭერილ ბელადებისათვის.

უმცირესობის მოძრაობა საუკეთესოდ გამოხატავს მშრომელი მასების გადაწყვეტილებას, რომ ენერგიული პასუხი გასცენ ამ შეუფერებელ ბელადების მოღვაწეობას.

კონგრესის ხელმძღვანელებს ეშინოდათ, რომ ხელს შეუშლიდა ზოგი ორგანიზაციის ფინანსიური სისუსტე და რეფორმისტ-ბელადების და მთავრობის მიერ დევნა მეუმცირესეთა ბელადებისა. მაგრამ ეს შიში უსაფუძვლო გამოდგა.

წარმოების თანამედროვე მდგომარეობა ისეთია, რომ მასსები აშკარად გრძნობენ მოქმედების აუცილებლობას და ამასთანავე აუცილებლად მიაჩნიათ შეკავშირება ამ მოქმედებისათვის. კონგრესის მთელ მიმდინარეობაში ისეთი შთაბეჭდილება იყო, რომ დელეგატები აქ შეგროვილან არა საკამათოდ, არამედ—ბრძოლის გზების გამოსაძებნად. დელეგატების გადაწყვეტილებიდან აშკარად სჩანდა, რომ იმათ ზურგს უკან დგანან მუშათა მთელი მასსები, რომელთა ნებისყოფის გამომსახველნიც იგინი არიან.

ყრილობა გახსნა ტომ მანმა, რომელმაც სხვათა შორის სთქვა:

„ბურჟუაზიამ თავისი იერიში დაიწყო ცალკ-ცალკე მემადაროების, მშენებლების, მეზღვაურების, მექანიკოსების და სხვათა წინააღმდეგ. ბურჟუაზიას ვერ მოუნელებია თავისი უკან დახევა გასულ ივლისში, მემაღაროებთან კონფლიქტის დროს. მას შემდეგ კაპიტალისტებიც და მთავრობაც ენერგიულად ემზადებიან მუშების საწინააღმდეგო გადამწყვეტ ბრძოლისათვის. იმათ თვალში აქვთ ამოღებული ხელფასი და სამუშაო დრო. ცუდი პირობების საშუალებით იმათ სურთ წელში გასტეხონ მუშათა მოძრაობა. მუშების მხრივ სასტიკ წინააღმდეგობის მოლოდინში, ბურჟუაზიამ გააძლიერა ფაშისტური ჯგუფები. არც ერთი მუშა არ უნდა უყურებდეს გულგრილად ამ გამწვავებულ მდგომარეობას.

მაგრამ ტრედუნიონების ბელადები ხელსაც არ ანძრევენ ამ წინააღმდეგობის მოსაწყობად. იმათ მხოლოდ იერიშები მიაქვთ მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთაზე, ლაპარაკობენ კლასთა თანამშრომლობასა და ერის გადარჩენის აუცილებლობაზე, რაც თავის თავად ნიშნავს კაპიტალიზმის გადარჩენას. ისინი უარს ამბობენ კონგრესის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებაზე. მაგალითად სკარბოროში ერთხმად იყო გადაწყვეტილი, რომ გენერალურ საბჭოს უნდა მოეწყო და გაეფართოებინა საქარხნო კომიტეტები. ამ მხრივ სულ არაფერი გაკეთებულა. პირიქით ყველაზე მეტ ხელის შემშლელად თვითონ გენერალური საბჭო გამოდის ამ საქმეში.

ამავე დროს გენერალური საბჭო მოვალე არის შეიმუშაოს მოქმედების გეგმა. ის არის მუშათა ძალების ცენტრალური ორგანიზმი და კიდევაც უნდა იმოქმედოს. მოქმედების უმცირესობას სრულიადაც არა სურს დაიჭიროს მისი ადგილი. მხოლოდ უნდა აიძულოს, რომ იმოქმედოს, როგორც მოვალეა.

გენერალური საბჭოს შეუსაბამო მოქმედებას კიდევ ახასიათებს შემდეგი მაგალითი: ავეჯზე მომუშავეთა კავშირის აღმასკომმა წინადადებით მიმართა გენერ. საბჭოს, რაიმე ზომები მიეღო დაპატიმრებულ 12 კომუნისტის გასანთავისუფლებლად. საბჭომ ამაზე სასტიკი უარი უთხრა.

ყველა დელეგატები იმ აზრის იყვნენ, რომ გენერალური საბჭო აიძულონ, იმოქმედოს და ამასთან დაუყოვნებლივ მოიწვიოს მოქმედების საერთო ყრილობა.

ფაშისტები ხშირად ხელს უშლიან ჩვენს დემონსტრაციებს. თავს ესხმიან როგორც კომპარტიის, ისე დამოუკ. მუშ. პარტიის პროპაგანდისტებს და ხელმძღვანელებს. დაუყოვნებლივ უნდა მოეწყოს მუშათა თავდასაცავი რაზმი.

ტომ მანის სიტყვით—საკმარისი არ არის მხოლოდ მოქმედების რეზოლიუციის მიღება, საჭიროა, ჯგუფებში დაბრუნებისთანავე შეუდგეთ ამ თავდასაცავ რაზმის შედგენასო.

მუშათა კლასი მუდამ უნდა მზათ იყოს, რადგან ბურჟუაზია არას დროს არ აჩერებს თავის იერიშებს.

დელეგატების უმრავლესობა მოითხოვდა, რომ ენერგიულად შეუდგენ ქალთა ორგანიზაციების გაძლიერებას.

ახალგაზრდების ერთმა დელეგატმა მოითხოვა, რომ შეგირდებს უფლება მიეცეთ ტრედუნიონებში შევიდნენ და მონაწილეობა მიიღონ საერთო კონფლიქტში. მეპატრონეები ყოველთვის სარგებლობენ შეგირდებით და გამოჰყავთ გაფიცვის ჩამშლელებად.

ამ ორივე მოთხოვნილებას მთელმა კონგრესმა დაუჭირა მხარი.

მეუმცირესეთა მოძრაობის მეთაურმა ჟორჟ ჰორდიმ ილაპარაკა ამსტერდამის ინტერნაციონალის შესახებ. მან სთქვა: „ყოველ ქვეყანაში, როცა კი რომელიმე სოც.-დემოკ. გამოვა ბურჟუაზიის დასაცავად, მის ზურგს უკან იმდგათა სდგას ამსტერდამიო".

ერთხმად მიღებულია რეზოლიუცია, რომ აუცილებლად მოეწყოს საქარხ. და საფაბ. კომიტეტები, ყოველ რაიონში მოაწყონ მუშათა თავდამცველი რაზმები, აიძულონ გენერალური საბჭო, რომ მოიწვიოს მოქმედების საგანგებო საერთო კონგრესი და სხვა.

აგრეთვე კონგრესმა დაადგინა, რაც შეიძლება მრავალ-რიცხოვანი მუშათა დელეგატები გაგზავნოს საბჭოთა კავშირში.

ბოლოს კონგრესმა მოისმინა ძმური მისალმებანი შეერთებულ შტატების, ინდოეთის და ჩინეთის მშრომელთაგან და მიიღო ჩინეთში ინგლისის მოქმედების წინააღმდეგ საპროტესტო რეზოლიუცია, რომლითაც მოითხოვს ჩინეთისადმი წარდგენილ ულტიმატუმის უკან წაღებას.

ეს იყო შესანიშნავი დღე, რომელსაც ახასიათებს იშვიათი აღტაცება და მოქმედების ურყევი ნებისყოფა.

ჯ. დავიდ.

ლონდონი
22 მარტი, 1926 წ.

საბჭოთა პრესა

დაწინაურების საკითხი

საბჭოთა აღმშენებლობაში მშრომელ მასსების აქტიურად ჩაბმის, სახელმწიფო აპარატთან მათი დაახლოვების ერთ-ერთ ფორმად მიჩნეულია მუშათა და გლეხთა წრეებიდან მუშაკების წამოყენება საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. როგორც პარტიული, ისე უპარტიო აქტივი გაიზარდა რიცხვობრივად და თვისობრივად და მას ფართე გასაქანი უნდა მიეცეს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მუშაობისათვის. ამით შეიქმნება ახალი მუშაკების საკმაო კადრი და აპარატის მუშაობა გაჯანსაღდება.

მაგრამ დაწინაურების საქმე ჩვენში ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოდ დაყენებული. არა იშვიათად წამოყენება ხდება ადმინისტრატიული გზით, ან უჯრედების მდივნების უკეთეს შემთხვევაში, მათი ბიუროების საშუალებით მთელი უჯრედი და მასსა ამაში ხშირად მონაწილეობას არ ღებულობს. ამგვარად, წამოყენებას ეკარგება აზრი, მას უფრო დანიშვნის ხასიათი ეძლევა. ეს იწვევს ბევრ გაუგებრობას. ამასთან აქ არ არის დაცული გარკვეული გეგმა და სისტემა. რა ზომები უნდა იქნეს მიღებული დაწინაურების საკითხის მოსაწესრიგებლად. **„რაბოჩაია გაზეტა"** ამაზე შემდეგნაირად უპასუხებს:

„1. უჯრედებში და რაიონებში უნდა შემუშავდეს უჯრედის და რაიონის აქტივის შემადგენლობიდან მუშაკების რეზერვის გამორჩევის და აღნუსხვის უნარი.

2. საბჭოთა, სამეურნეო, პარტიულ და პროფესიულ აპარატებში უნდა მოვამზადოთ წამოყენებულთათვის განზრახულ ადგილების რეზერვი.

3. საჭიროა უჯრედებს მიეცეს გარკვეული მითითებანი: სად, რა სამუშაოზე, რა მოთხოვნებით უნდა იქნეს მუშაკი წამოყენებული.

4. უჯრედი ასახელებს თავის მორიგ კანდიდატურას საკუთარი რეზერვიდან, განიხილავს მას და კოლექტიურად წამოაყენებს ამხანაგებს.

5. წამოყენებულმა ამხანაგმა არ უნდა გაწყვიტოს კავშირი თავის უჯრედთან, თავის წარმოებასთან, დროგამოშვებით თავის მოქმედების ანგარიში უნდა წარუდგინოს იმ კოლექტივს, რომელმაც იგი წამოაყენა უფრო საპასუხისმგებლო სამუშაოზე.

6. უპარტიო მუშების დაწინაურების ინიციატივა უნდა აიღონ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სადაც ესა თუ ის მუშა გამოიჩენს თავის ნიჭს და დაამტკიცებს, რომ ის საქმიანი მუშაკია. უპარტიოთა წამოყენება უნდა წარმოებდეს მუშების ფართო კრებებზე. უპარტიო წამოყენებული მუშებიც აგრეთვე თავის მოღვაწეობის ანგარიშს უნდა ადგენდენ იმ მუშების წინაშე, რომელთაც იგი აირჩიეს".

ყველაფერი ეს უდავოა და მხედველობაში უნდა მიიღონ სათანადო ორგანიზაციებმა. ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მუშაკების წამოყენების რიგიანად ჩატარებას, არამედ საჭირო პირობების შექმნას ახლად წამოყენებულის მუშაობისათვის დაწესებულებებში. ამ მხრივ ყველგან ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ნორმალური მდგომარეობა. მუშათა და გლეხთა რიგებიდან წამოგზავნილ მუშაკს აქა-იქ აღმაცერად უყურებენ, მათ მიმართ არ არსებობს ამხანაგური თანამშრომლობის ატმოსფერა, მათ არ აცნობენ საქმის ვითარებას და სათანადოდ არ აბამენ დაწესებულების პრაქტიკულ მუშაობაში. ამას ბოლო უნდა მოეღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაწინაურების იდეა ნაყოფს ვერ გამოიღებს.

ერთა ლიგის გაკოტრება

ამხ. ჩიჩერინის განცხადება

საბჭოთა კავშირი თავის დელეგატებს არ გაგზავნის შვეიცარიაში

„ერთა ლიგა საღვთო კავშირის როლს თამაშობს".

ერთა ლიგამ ვერ გაამართლა ბრიანის იმედები.—ლოკარნოს ხუხულა დაიმსხვრა.—ჩემბერლენი ფიქრობდა საბჭოთა კავშირის გარიყვას.—

ჩემბერლენის კონტინენტალური პოლიტიკის დამარცხება

მოსკოვი, 6 აპრილი. მოსკოველ ჟურნალისტებთან საუბარში ერთა ლიგის შესახებ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა განაცხადა:

საბჭოთა კავშირი და შვეიცარია

სხვადასხვა ქვეყნების პრესაში ამ უკანასკნელ დღეებში მე წავაწყდი შენიშვნებს, რომ ზოგიერთი მთავრობა მოუთმენლად ელოდება საბჭოთა კავშირის პასუხს მიპატიჟებაზე, რომელშიაც მას წინადადება ეძლევა გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები განიარაღების წინასწარ კონფერენციაზე ჟენევაში.

ეს მოუთმენლობა მე მაკვირვებს, **რადგან ჩვენს მთავრობას არა ერთხელ განუცხადებია გადაჭრით, რომ მას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კონფერენციებსა და კომისიებში შვეიცარიის ტერიტორიაზე.**

ჩვენი მთავრობა პირველი გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე საყოველთაო განიარაღების მოთხოვნით; მან ეს წინადადება წამოაყენა გენუის კონფერენციაზე. ამის შემდეგ მას არა ერთხელ განუცხადებია, რომ უაღრესად მოწადინებულია მონაწილეობა მიიღოს ყველა თათბირებსა და კომისიებში, რომელთა მიზანია შეიარაღების სიმძიმის შემსუბუქება, მიუხედავად იმისა, ვის მიერ იქნება ეს თათბირები და კომისიები მოწვეული. მაგრამ, ვინაიდან შვეიცარიის მთავრობამ გადაჭრით უარი სთქვა ჩვენი მინიმალური კანონიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ვოროვსკის მოკვლის გამო, იძულებული ვართ ვაღიაროთ, **რომ ჩვენთვის პირდაპირ შეუძლებელია რაიმე წარმომადგენლების გაგზავნა შვეიცარიის ტერიტორიაზე.**

ერთა ლიგამ ან, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, მისმა წევრებმა, რომელნიც მასში ხელმძღვანელ როლს თამაშობენ, ეს გარემოება კარგად იციან, და თუ მიუხედავად ამისა, ერთა ლიგის საბჭომ თავის უკანასკნელ სესიაზე მაინც დაადგინა განიარაღების წინასწარ კომისიის ჟენევაში მოწვევა, ეს აშკარად მოწმობს იმას, რომ ერთა ლიგის ხელმძღვანელ სახელმწიფოებს მართლაც არ სურთ ჩვენი მონაწილეობა ამ კომისიაში და შემდეგ განიარაღების კონფერენციაზე.

კონფერენციის ჩაშლა აუცილებელია

როგორც ინგლისის მმართველ წრეებთან დაახლოვებული „დეილი ტელეგრაფ"-ის დიპლომატიური კორესპონდენტი იტყობინება, **ამერიკის მთავრობას უკვე აუცილებლად მიაჩნია განიარაღების კონფერენციის ჩაშლა.**

„განიარაღების მომზადებელ კომისიის მოწვევა,—სწერს ის,—რომელიც 17 მაისისათვის არის დანიშნული, ან კვლავ გადაიდება, ან კიდევ,—თუ ამერიკის მთავრობის მიერ მიღებული ცნობები სინამდვილეს შეეფერება,—უნაყოფოდ ჩაივლის".

თვით ის ფაქტი, რომ განიარაღების კონფერენციის მომმზადებელ კომისიის მოწვევა ისეთ პირობებში ხდება, რომელიც საბჭოთა კავშირის მონაწილეობას შეუძლებელს ხდის, უდავოდ მოწმობს იმას, რომ ამ სახელმწიფოებს იოტის ოდენა სურვილიც არა აქვთ შეუდგენ ნამდვილ განიარაღებას და რომ კომისიის, ან კონფერენციის მოწვევა უბრალო კომედია იქნება.

ერთა ლიგის უძლურება

ამით ერთა ლიგა აშკარად დაადასტურებს თავის უძლურებას, ცხადჰყოფს, რომ მას ოდნავადაც არ ძალუძს ხელი შეუწყოს შეიარაღების ტვირთის შემსუბუქებას და ომების საფრთხის თავიდან აცდენას. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ერთა ლიგის უილაჯობის დემონსტრაცია, რომ მას არ შეუძლია სერიოზული პოლიტიკური ამოცანის შესრულება, რაიმე ახალს წარმოადგენდეს. ომის მომდევნო პერიოდის განმავლობაში ერთა ლიგა ყოველთვის ცხადყოფდა, რომ მას არ ძალუძს თუნდაც ოდნავად წინ წასწიოს მშვიდობიანობის განმტკიცების და საერთაშორისო ურთიერთობის მოგვარების საქმე.

ერთი იმპერიალისტური კოალიციის მეორეზე გამარჯვების შემდეგ, ერთა ლიგა თამაშობდა გამარჯვებულთა ორგანიზაციის როლს, რომლის მიზანი იყო მათი ნადავლის უზრუნველყოფა და მისი უმტკივნეულოდ გაყოფა.

საბჭოთა კავშირის განცალკევების ცდა

შარშან ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ სცადა გამოეყენებია ერთა ლიგა, როგორც ერთ-ერთი ელემენტი თავის რთულ თამაშში საბჭოთა კავშირის გარიყვის და უკანასკნელის წინააღმდეგ ყველა ხელმძღვანელ მთავრობების ამა თუ იმ ფორმით გაერთიანების მიზნით. ინგლისის მთავრობის ასეთმა ზრახვებმა თავისი აშკარა გამოხატულება ჰპოვეს ინგლისის მინისტრთა განცხადებებში და საგაზეთო წერილებში; გავიხსენოთ **ავგურის** ცნობილი წერილი „ფორტნაიტლი რევიუ"-ში.

საერთაშორისო ურთიერთობათა პირველ პლანზე უნდა გამოსულიყო დიდ სახელმწიფოთა ლოკარნოს კომბინაცია, რომლის მიზანი იქნებოდა საბჭოთა კავშირის იზოლიაცია და გაერთიანებული ბრძოლა არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ აგრეთვე ყველა იმ კოლონიურ ხალხთა წინააღმდეგ, რომელნიც განთავისუფლებისაკენ მიისწრაფვიან. ერთა ლიგა ამით ღებულობდა დამხმარე როლს ლოკარნოს კომბინაციის მიმართ. **დიდ სახელმწიფოთა გაერთიანებას ლოკარნოში უნდა ეთამაშა ის როლი, რომელიც ერთი საუკუნის წინ საღვთო კავშირმა ითამაშა.**

ძველი გაიძვერული პოლიტიკა

არ ვიცი, ესმოდა თუ არა ჩემბერლენს სავსებით თავისი სიტყვების მნიშვნელობა, როცა თემთა პალატაში 4 მარტს, სესიის წინ თავის სიტყვაში განაცხადა:

„ამ დღეებში წარმოთქმულ სიტყვაში შტრეზემანმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ფორეინ ოფფისის დარბაზში, სადაც ხელი მოაწერეს ლოკარნოს ხელშეკრულებას, ლორდ კასტლრეის სურათი ეკიდა. შტრეზემანმა ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას, რათა აქედან გამოეტანა, ჩემის აზრით, სავსებით სწორი დასკვნა, რომ ინგლისის ეხლანდელი პოლიტიკა სწორედ ის პოლიტიკაა, რომელსაც ლორდ კასტლრეი ატარებდა ნაპოლეონის ომების შემდეგ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის შეფარდებულია ეხლანდელ პირობებთან და იარაღად იყენებს ერთა ლიგას, როცა ლორდ კასტლრეი იძულებული იყო დიდ სახელმწიფოთა კონფერენციებისათვის მიემართა".

დიდ სახელმწიფოების ასეთ კონფერენციებს წარმოადგენდენ, როგორც ცნობილია: ახენის, ტროპაუს, ლაიბახის და ვერონის კონფერენციები, რომლებზედაც დიდი სახელმწიფოები შეთანხმებულად იღებდენ ზომებს ლიბერალურ მოძრაობათა განვითარების წინააღმდეგ ყველა ქვეყნებში. **ამრიგად, ძველი საღვთო კავშირის პოლიტიკა შეგუებულია ერთა ლიგის ეხლანდელ პოლიტიკასთან.**

ილიუზიები

ერთა ლიგა და მასზე დამყარებული ლოკარნოს კომბინაცია თავის ძალებს ღებულობდენ იმ ილიუზიებიდან, რომელიც გავრცელებული იყო სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა მასებში მის გარშემო. მსოფლიო კრიზისით განაწამები და მსოფლიო ანტაგონიზმით სულშეხუთული ხალხთა მასები დიდხანს ელოდენ ერთა ლიგიდან გამოსავალს ამ აუტანელ მდგომარეობიდან, ხოლო შემდეგ იგივე იმედები გადაიტანეს ლოკარნოს შეთანხმებაზე, მაშინ როცა, ინგლისის მთავრობისათვის ეს უკანასკნელი ახალ საღვთო კავშირს ნიშნავდა.

ეხლახან დამთავრებულმა ერთა ლიგის საბჭოს სესიამ და ერთა ლიგის სასწრაფო საერთო კრებამ ჟენევაში თვალსაჩინოდ ცხადჰყვეს, **რომ ანტაგონიზმი დიდ სახელმწიფოებს შორის უფრო ძლიერია, ვინემ მათი ერთს ორგანიზაციაში შეკავშირების, ან მათ მიერ ერთიანი ფრონტის შექმნის დიპლომატიური ცდები.** გერმანიის ერთა ლიგაში შესვლა—ეს უეჭველი პირობაა ლოკარნოს შეთანხმებათა ცხოვრებაში გატარების. (გამოტოვებულია)... გადაიდება შემოდგომამდე, და ამასთანავე რა საბუთი გვაქვს, რომ მანამდე კიდევ უფრო არ გაუარესდება საერთაშორისო მდგომარეობა, რომელმაც ჟენევაში არარად აქცია ლოკარნოს შეთანხმება.

ყველაზე ცუდი მხარეების გამოფენა

ერთა ლიგის სრული სახელის გატეხა და ჟენევაში სახელმწიფოებს შორის გამოაშკარავებული შეურიგებელი ანტაგონიზმი იმდენად ნათელია, რომ ხელმძღვანელ ქვეყნების მთავრობის პრესა ველარ ახერხებს ამის დაფარვას. ინგლისის მთავრობასთან ახლოს მდგომი „დეილი ტელეგრაფი" 18 მარტის ნომერში სწერს:

„ძნელია დაჯერება იმისა, რომ ამ მუშაობის მონაწილეებს ერთა ლიგაში წარმოდგენილი ჰქონდეთ, თუ როგორი შთაბეჭდილება შეიქმნა მთელ მსოფლიოში **ძველი დიპლომატიის ყველაზე ცუდი მხარეების გამოფენის გამო**; ეს მოხდა მას შემდეგ, როდესაც ყველას იმედი ჰქონდა, რომ ერთა ლიგის სხდომებზე მაინც დაფარული იქნებოდა ეს თვისებები. **ადგილი ჰქონდა დაუსრულებელ ინტრიგებს, მანევრებს, საიდუმლო ვაჭრობას, შეგნებულად ყალბი ხმების გავრცელებას, დაშინებას და სხვ.** ზეგავლენის მოხდენის ცდა გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთ სახელმწიფოს ემუქრებოდენ ლიგაში არ დაშვებით, მეორე სახელმწიფოს ემუქრებოდენ სავაჭრო ხელშეკრულების ჩაშლით, თვით ერთა ლიგას ემუქრებოდენ მნიშვნელოვან წევრის გამოსვლით. მუქარას ჰქონდა საჯარო ხასიათი; ალბათ, ადგილი ჰქონდა სხვა მუქარებსაც. საზოგადოებრივ აზრის რომელ ნაწილზე მოახდენდა ეს ფაქტები სასურველ შთაბეჭდილებას? ყველაფერი ეს მოხდა იმ განსაკუთრებულ ატმოსფეროში, რომელიც იქმნება დიპლომატიურ შეჯიბრებათა და სხვა მოტივების საურთიერთო კონტაქტით და რომელიც საბედისწეროა იმ სულის შენარჩუნებისათვის, რომლის დანახვაც უნდოდა ყველა ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს ერთა ლიგის მუშაობაში".

„დემოკრატიული იდეები" და პაციფიზმი

იმპერიალისტურ მთავრობების პაციფისტურ მანევრების ერთგული დამცველი და ოფიციალურ პაციფიზმის ერთგული მსახური გერმანული **„ფორვერტსი"** აცხადებს, რომ ერთა ლიგის მომავალი დამოკიდებულია ევროპაში დემოკრატიულ იდეების შემდგომს განვითარებაზე. ერთა ლიგა უკვე აღარ არის პაციფისტურ და დემოკრატიულ ურთიერთობათა განვითარების იარაღი, არამედ პირიქით,—მას იხსნის დემოკრატიული იდეების განვითარება.

ძნელად მოიპოვება დღეს ევროპაში პოლიტიკური განვითარების მიუდგომელი მეთვალყურე, რომელსაც არ ჰქონდეს შეგნებული, რომ ფეხს იკიდებს და ვითარდება არა დემოკრატიული იდეები, არამედ სულ სხვა რამ.

ბრაზილიის გამოსვლამ წინააღმდეგობა და პროტესტები გამოიწვია სამხრეთ - ამერიკის მთავრობათა ოფიციალურ დელეგაციების მხრივ ჟენევაში. მაგრამ ცნობილია, რომ ამ დელეგაციების უბრალო წევრთა შორის კმაყოფილებას გამოსთქვამდენ ბრაზილიის პოლიტიკური ხაზის მიმართ. აგრეთვე ცნობილია, რომ სამხრეთ-ამერიკის სახელმწიფოების მისწრაფება დამოუკიდებელ გამოსვლისაკენ მსოფლიო პოლიტიკის დარგში უცხო არ იყო ბრაზილიის პოლიტიკისათვის ჟენევაში. შესაძლოა ამან ხელი შეუწყო იმას, რომ პოლიტიკურმა წრეებმა, რომელთაც ეშინიათ ერთა ლიგის გავლენის სამხრეთ - ამერიკის სახელმწიფოების პოლიტიკის განვითარებაზე, ნახევრად ოფიციალურად გაილაშქრეს ერთა ლიგის შემდგომ მუშაობის წინააღმდეგ და აგრძნობინეს ლიგას, რომ ამერიკის პოლიტიკაში კვლავ ძლიერდება ე. წ. იზოლიაციონიზმის გავლენა.

ლოკარნოს ჩექმის დამარხვა

იმპერიალისტურ ილიუზიების გაქარწყლება, რომელიც გავრცელებული იყო ევროპის ქვეყნების მასებში, დასტურდება დღეს ევროპის მთავარ სახელმწიფოების მთავრობათა ხელმძღვანელების მიერ.

ბრიანის კონსერვატიული მოწინააღმდეგენი ლაპარაკობდენ, რომ ლაგო-მაჯიორეს ნაპირზე ბრიანმა დარგო პატარა ზეთისხილის ხე, რომელიც შეიძლება სიმპატიით უცქიროთ, მაგრამ რომლის [illegible] ვერ მოგვცემს. **ბრიანმა** 26 თებერვალს წარმოთქმულ სიტყვაში ამაზე უპასუხა:

„ნამდვილად არც ასეა. ჯერ არ არის ზეთისხილის ხე, არის მხოლოდ ზეთისხილის ნერგი. იგი იწყებს ზრდას, იგი ეძებს მზის სხივებს, იგი გაიზრდება, თუ ვინმეს უხეშმა ფეხმა არ გათელა. და თუ იგი გათელილ იქნა, მე ვფიქრობ, რომ ფრანგის ფეხი არ ჩაიდენს ამ ბოროტმოქმედებას".

ეს ნათქვამი იყო ჟენევის სესიის [illegible] წინ.

ლოკარნოს ჩექმის დასაფლავება

ჟენევაში გამგზავრების წინ ბრიანი პარლამენტში გამოსთქვამდა იმედს, რომ ჟენევის სესია წარმატებით დამთავრდება, რომ მისი მარცხი დიდი უბედურება იქნება ევროპისათვისო. ის ლაპარაკობდა:

„ევროპას არ შეუძლია დაქსაქსული დარჩეს, როგორც ეხლა, არც თავის პოლიტიკურ ინტერესების და არც ეკონომიურ ინტერესების მხრივ".

მან შემდეგ განაგრძო:

„ხალხები სცდილობენ ერთმანეთთან დაახლოვებას, სცდილობენ შექმნან ისეთი ევროპა, რომელიც არ იქნება ქაოტიური და ანარქიული. განა ვერ ხედავთ, რომ წარმოების დარგში ანარქიაა გამეფებული? განა ვერ ხედავთ, რომ ყველა ეს უდიდესი ფაბრიკები და ქარხნები, რომელნიც სრული დატვირთვით მუშაობენ, შესაძლოა, ამზადებენ უფრო მეტ საქონელს, ვიდრე ბაზარს შეუძლია გაასაღოს. რა მოხდება, თუ ხალხებმა ვერ შეთანხმდენ და თუ არ მოისპო ომის ეკონომიური მიზეზები? ნუ თუ ფიქრობთ, რომ თქვენ გექნებათ სოციალური მშვიდობიანობა? არა, იგი არ გექნებათ".

ბრიანის დასკვნა იყო, რომ ლოკარნოს ჩექმა ფეხზე უჭერს, მაგრამ ამას უნდა შევეჩვიოთ.

ეს ნათქვამი იყო ჟენევის სესიამდე, რომელმაც ვერ განახორციელა ბრიანის იმედი და გადასდო, თუ სავსებით არ დამარხა, ლოკარნოს შეთანხმებათა ძალაში შესვლა.

ლოკარნო საყინულეში

ინგლისის მმართველ წრეებთან ახლოს მდგომმა **„დეილი ტელეგრაფმა"** 18 მარტის მოწინავე წერილში განაცხადა, რომ თუ შემოდგომამდე არ მოხდა არსებითი ცვლილება დაინტერესებულ სახელმწიფოების პოლიტიკურ მდგომარეობაში, მაშინ ლოკარნოს ხელშეკრულების ძალაში **შესვლის საკითხის გადადება ვერ შეამსუბუქებს შექმნილ მდგომარეობას.** „დეილი ტელეგრაფი" სასოწარკვეთილებით კითხულობს, რა მოხდება მაშინ, თუ ერთა ლიგა საბოლოოთ დამარცხდა.

„ჩვენს განკარგულებაში დიდი დროა იმისათვის, რომ ჩავუფიქრდეთ მომხდარ ამბებს. არის დრო იმისათვის, რათა გამოტანილი იქნას მტკიცე გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ აღარ განმეორდეს ისეთი სანახაობა, როგორსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ 10 დღის განმავლობაში და რათა ნამდვილ სახელმწიფო მოღვაწეთა საერთო ძალ-ღონით აღდგენილი იქნას უკანასკნელ ამბების დროს დაკარგული პრესტიჟი. ჩვენ არასოდეს არ მიგვაჩნდა შესაძლებლად ერთა ლიგის დამარცხება".

ლოკარნოს შეთანხმებათა ბედი გამოიხატა შემდეგ ოფიციალურ ფორმულაში: **„ლოკარნოს შეთანხმება ჩადებულია საყინულეში".**

ამგვარად, შემოდგომამდე ლოკარნო იქნება მოთავსებული საყინულეში. მაგრამ, თუ კი ინგლისის მთავრობის ხელმძღვანელ ორგანოსაც ეჭვი ებადება იმაში, რომ შემოდგომამდე მდგომარეობა გაუმჯობესდება, რა სარგებლობას მოიტანს ეს საყინულე?

მართლმადიდებელთა ტაძარი საქსონიის მოედანზე

იმ ქვეყნების ხელმძღვანელი პრესა, რომელიც ლოკარნოში სხვისი დიპლომატიის ობიექტი იყო, სახელდობრ — პოლონეთის პრესა ამის გამო გულწრფელობას იჩენს. პოლონეთის ლითონის მრეწველობის ორგანო **„კურიერ პოლსკი"** 17 მარტის ნომერში ლოკარნოს შეთანხმებას ადარებდა მართლმადიდებელთა ტაძარს საქსონიის მოედანზე ვარშავაში, რომელიც ამჟამად ინგრევა და ჩქარა მისი ნაშთიც კი აღარ დარჩება.

იმავე დღეს **„ქენ პოლსკი"** სწერდა:

„ასეთი ვაი-ვაგლახით აშენებული ლოკარნოს შენობა დაინგრა და თავის ნანგრევებში მოიყოლია ევროპის სამუდამო მშვიდობიანობის იმედი".

და მართლაც, თუ დეკემბრიდან მარტამდე ლოკარნოს შეთანხმებათა ცხოვრებაში გატარების პირობები იმდენად გაუარესდა, რომ საჭირო გახდა ყველაფრის გადადება, რა გარანტია გვაქვს, რომ სექტემბრამდე იგი კიდევ უფრო არ გაუარესდება.

პაქტი და ფაქტები

ლოკარნოს კონფერენციის პერიოდში გერმანიის მიღებას ერთა ლიგაში უცქეროდენ, როგორც უბრალო ფორმალობას, რომელიც სრულიად დაუბრკოლებლად გატარდებოდა. როდესაც დასავლეთის სახელმწიფოების ხელმძღვანელი მინისტრები ლოკარნოდან დაბრუნდენ, მათ მიერ დადებული ხელშეკრულება უკვე მომხდარ ფაქტათ ითვლებოდა და არავის თავი არ უმტვრევია იმაზე, როგორ შეიძლება ერთა ლიგის სესიაზე გერმანიის მიღების, — ლოკარნოს ხელშეკრულებათა განხორციელების პირობის განხორციელება. მაშინ ეს უბრალო საქმედ მიაჩნდათ; ეხლა იგი იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ საკითხი სექტემბრამდე გადაიდო.

ჩემბერლენის კონტინენტალური პოლიტიკის დამარცხება

მე მაგონდება ლოიდ-ჯორჯთან საუბარი გენუაში, გენუის კონფერენციის უშედეგოთ დამთავრების შემდეგ. ლოიდ - ჯორჯმა მითხრა, რომ გენუას კონფერენციის შემწეობით მას იმედი ჰქონდა ევროპის კონტინენტი არევ - დარევისა და ქაოსის მდგომარეობიდან გამოეყვანა, მაგრამ მისი აზრით, მისი ცდა უნაყოფო იქნება და ინგლისს დარჩენია ზურგი უბრუნოს ევროპის მატერიკას და უფრო მჭიდროთ დაუახლოვდეს თავის დომინიონებს.

მან კიდეც იწინასწარმეტყველა, რომ ამ პოლიტიკას გაატარებენ კონსერვატორები, რომელნიც მას შესცვლიან.

მაგრამ კონსერვატორებს დღემდის არ გაუტარებიათ ეს პოლიტიკა; პირიქით ჩემბერლენის მთელი პოლიტიკა მიმართული იყო იქით, რომ ევროპის კონტინენტზე დაეჭირა დიქ-

ტატორის და ჰეგემონის როლი. ერთა ლიგის ჟენევის სესია წარმოადგენს ნამდვილად ჩემბერლენის იმ კონტინენტალურ პოლიტიკის დამარცხებას, რომლის მიზანია ინგლისის გადაქცევა სუპერარბიტრად და ხელმძღვანელ სახელმწიფოდ მთელ ევროპაში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ინგლისის მიდრეკილება დომინიონებთან დაახლოვებისაკენ და კონტინენტალურ საქმეებში მონაწილეობის შესუსტებისაკენ, კვლავ გაძლიერდება.

წინააღმდეგობანი ჩემბერლენის პოლიტიკაში

ჟენევის კრახის უშუალო მიზეზი იყო შინაგანი წინააღმდეგობანი ჩემბერლენის პოლიტიკაში. **ის სცდილობდა, რომ ყველა სახელმწიფოები გაეერთიანებია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და სრულიად არ უწევდა ანგარიშს ანტაგონიზმს ამ სახელმწიფოებს შორის.**

ჩემბერლენმა, როგორც ვიცით, პარიზში ბრიანთან შეხვედრის შემდეგ მხარი დაუჭირა წინადადებას ერთა ლიგის საბჭოში პოლონეთისათვის მუდმივი ადგილის მიცემის შესახებ. ამასთანავე ეს წარმოადგენდა კომპენსაციას იმპერიალისტური ზარალისათვის, რომელიც პოლონეთს მიადგა ლოკარნოს ხელშეკრულების დადების და ერთა ლიგის მექანიზმისათვის საფრანგეთ - პოლონეთის ძველი კავშირის დამორჩილების გამო.

ერთიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ამ კომბინაციას საფუძვლად ედო ინგლისის მთავრობის ცდა ხელი შეეშალა პოლონეთ - საბჭოთა კავშირის დაახლოვებისათვის და პოლონეთის გადაბირებით ჩამოეშორებია იგი საბჭოთა კავშირთან მტკიცე ურთიერთობისაგან.

როდესაც ჩემბერლენს უნდოდა პოლონეთის ჩაბმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შექმნილ ერთიან ფრონტში, მან მხედველობიდან გაუშვა ინტერესთა წინააღმდეგობა პოლონეთსა და გერმანიის შორის. **ჩემბერლენი სცდილობდა მექანიკურად შეექმნა ყველა სახელმწიფოების ერთიანი ფრონტი და ვერ ხედავდა მათ შორის არსებულ ანტაგონიზმს.**

გაიხლართა წინააღმდეგობებში

როდესაც ჩემბერლენი კომპენსაციას აძლევდა პოლონეთს ერთა ლიგის საბჭოში ადგილის მიცემის საშუალებით, ის ამით სცდილობდა ვერსალის სისტემა განემტკიცებია პოლიტიკურ ურთიერთობაში გერმანიის და პოლონეთის დაპირდაპირებით. ამგვარად, ის თითონ დაიბნა თავის პოლიტიკის წინააღმდეგობებში, **რადგან ერთის მხრივ ის სცდილობდა დაეპირისპირებია გერმანია საფრანგეთისათვის, მეორეს მხრივ კომპენსაცია მიეცა პოლონეთისათვის და დაეპირდაპირებია იგი მის მიერვე გაძლიერებულ გერმანიისათვის.**

ჩემბერლენის მთელი პოლიტიკის საბოლოო მიზანი — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნა—იყო დამყარებული გადაულახავ შინაგან წინააღმდეგობებზე და ამიტომ **არ შეეძლო არ გამოეწვია ერთიანი ფრონტის კრახი, რომელიც ჩვენ ჟენევაში დავინახეთ.**

ბრიანის მიერ ნასროლი კენჭი

საფრანგეთისათვის ლოკარნო ნიშნავდა იმას, რომ გერმანიასთან უშუალო მოლაპარაკების მომენტში მას ჰყავდა ინგლისის არბიტრი, რომელიც მოწოდებული იყო საფრანგეთ-გერმანიის დავაში ჩარეულიყო. ამ სისტემის დამარცხება ხელს უწყობს საფრანგეთ - გერმანიის უშუალო დაახლოვებას, რომლისაკენ მისწრაფება ბრიანმა აშკარად გამოამჟღავნა ჟენევიდან გამგზავრების წინ.

26 თებერვალს პარლამენტში ბრიანმა სიტყვა მეც გადმოკრა. გაითვალისწინა რა ლოკარნოს ხელშეკრულების განხორციელების მნიშვნელობა საფრანგეთისათვის, ბრიანმა დააყენა კითხვა:

„ლოკარნოს მოლაპარაკება რომ უშედეგოთ დამთავრებულიყო, განა ჩვენ მოულოდნელად არ აღმოვჩნდებოდით ევროპის სახელმწიფოების ისეთი შეშფოთების წინაშე, რომელიც ფრიად სახიფათოა საფრანგეთის უშიშროების თვალსაზრისით? განა არ დაგვინახავს ბერლინში გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები, რომელთა მიზანს შეადგენდა ის, რომ გერმანიას უარი ეთქვა საფრანგეთთან ლოკარნოს ხელშეკრულების განხილვაზე?"

ბრიანის დასამშვიდებლად უნდა მოვაგონო მას ჩემი მუდმივი განცხადებანი იმ თემაზე, რომ ჩვენი სახელმწიფო უდიდესი სიმპატიით უცქერის საფრანგეთ - გერმანიის დაახლოვებას და ევროპის კონტინენტის დამშვიდებას ისეთ საფუძველზე, როდესაც იქ გარეშე სახელმწიფო არ გაბატონდებოდა.

ლიგის საბჭოს რეორგანიზაციის მიზანი

ბრიანის გამოსვლაში ჟენევის მარცხის შემდეგ, ისევე, როგორც საფრანგეთის და ინგლისის პრესის განცხადებებში, ჩვენ ვხედავთ, რომ საჭიროდ სთვლიან, რომ ბოლო მოეღოს ერთა ლიგის საბჭოს დადგენილებათა სავალდებულო ერთსულოვნებას. ეხება რა საბჭოს რეორგანიზაციას, [illegible]ებლად სთვლის, რომ ხშირად ისეთი მდგომარეობა იქმნებოდა, რომლიდანაც გამოსავალის პოვნა არ ხერხდებოდა; სხვათა შორის ამას ადგილი ჰქონდა ჟენევის სესიაზე. მაგრამ თუ მართლაც გატარებულ იქნა საბჭოში გადაწყვეტილებათა ხმის უმრავლესობით მიღების პრინციპი, გერმანიის გავლენა იქ სავსებით გარიყული იქნება და [illegible] ყოველ[illegible] გარანტია მიუღებელ გადაწყვეტ[illegible]ათა თავზე მოხვევის წინააღმდეგ.

ორიენტაცია ვერსალზე და საბჭოთა კავშირზე

გერმანიის მთავრობის მთელი უკანასკნელი პერიოდის პოლიტიკის მარცხი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჟენევაში, გერმანიას ნათლად დაანახვებს, თუ სით მიჰყავს ის ეგრეთწოდებულ დასავლეთის ორიენტაციისათვის უპირატესობის მინიჭებას საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის განვითარებასთან შედარებით.

იმედები, რომელსაც ინგლისელ კონსერვატორების მოჩვენებით ყოვლისშემძლეობაზე ამყარებდენ, არ გამართლდა. მჟღავრი საერთაშორისო - პოლიტიკური შენობის მაგიერ, რომელშიაც გერმანიას თავისი კუთხე უნდა ჰქონოდა, ნანგრევები აღმოჩნდა.

თუ ის მთავრობები, რომლებიდანაც გერმანია ერთა ლიგაში მიღებას მოელოდა, უძლური აღმოჩნდენ ამ ფორმალურ პროცედურის შესრულებაშიაც, რაღას უნდა მოელოდეს მათგან გერმანია, როცა ლაპარაკი იქნება უფრო სერიოზულ რამეზე.

ევროპა ამერიკის კაპიტალის გავლენის ქვეშ

როცა ლოკარნოს კონფერენცია შესდგა, ამერიკის მმართველი წრეები და ამერიკის საზოგადოებრივი აზრი მას ორჭოფულად შეხვდენ. ევროპაში სწორი ურთიერთობის დამყარება მაჩნდათ აუცილებელ პირობათ ევროპის კრედიტის უნარიანობისა და მის მიერ ამერიკის მიმართ თავის საფინანსო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად. მაგრამ მეორე მხრით ევროპის სახელმწიფოთა შეკავშირებას შეეძლო შეეფერხებია ამერიკის პოლიტიკური გავლენის ზრდა და ეკონომიური ბატონობა ევროპაში.

ასეთსავე ორჭოფულ დამოკიდებულებას იჩენენ ამერიკის მმართველი წრეები ლოკარნოს მარცხისადმი, რომელსაც ჟენევაში ჰქონდა ადგილი.

მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მოსაზრებათა მეორე კატეგორიას ამერიკის პოლიტიკის მომავალ განვითარებისათვის უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვს: ევროპის სახელმწიფოთა კავშირის შესუსტება გზას უკაფავს ამერიკის ეკონომიურ გაბატონებას და ამასთანავე მისი პოლიტიკური გავლენის გაძლიერებას.

როგორი ფორმულებიც არ უნდა წარმოადგინონ ამერიკის სახელმწიფო მოღვაწეებმა, საბოლოოდ ამ პროცესს შედეგად მოჰყვება დასავლეთ ევროპის კიდევ უფრო დაქვემდებარება ამერიკის კაპიტალის ბატონობისადმი.

ინგლისი უფსკრულის პირას

ლონდონი, 5 აპრილი. ქალაქ ლინდნიში წარმოთქმულ სიტყვაში შინაგან საქმეთა მინისტრმა **ჯოინსტონ ხიქსმა** სხვათა შორის განაცხადა:

ჩვენ ვდგევართ უფსკრულის პირას. ამჟამად მაღაროს პატრონებისა და სამთო-მადნო მრეწველობის მუშებისაგან არის დამოკიდებული დადგება მრეწველობის ნამდვილი აღორძინების ხანა, თუ შავი ღრუბლები კიდევ უფრო ჩამოაწვებიან ჰორიზონტს. **გაფიცვის ან ლოკაუტის დაწყება ნახშირის მრეწველობაში თვეობით და შეიძლება მრავალი წლობითაც შეუძლებლად გახდიდა ინგლისის ეკონომიური ცხოვრების აღდგენას.**

მუშათა მოძრაობა

მთლიანი ფრონტით

ბერლინი, 5 აპრილი. **გერმანიის კომპარტიის ჰანოვერის ორგანიზაციის საოლქო ყრილობამ ხმის დიდი უმრავლესობით მოიწონა გერმანიის კომპარტიის ცეკას და კომინტერნის ცეკას და კომინტერნის აღმასკომის პლატფორმა.** წინააღმდეგ ხმა მისცა ექვსმა კაცმა კადეს მომხრეებმა (კადე არის ულტრა მემარცხენე, რომელიც უკვე გამორიცხულია კომპარტიიდან). ამათგან სამმა კენჭის ყრის შემდეგ დასტოვა სხდომა, სამმა კი განაცხადა სურვილი იმუშაონ პარტიაში მიღებულ გადაწყვეტილებების საფუძველზე.

შოლემის მომხრე თორმეტმა ულტრა მემარცხენემ თავი შეიკავა.

ლოკაუტის შეწყვეტა

ლონდონი, 5 აპრილი. **ბარნოლდსვიკში შეწყდა ლოკაუტი, რომელიც გამოცხადებულ იქნა მარტის ბოლოში და შეეხო 6.000 ფეიქარს. საფეიქრო სახელოსნოების მუშაობა განახლდა.**

დამქირავებელთა მთლიანი ფრონტი დაარღვია ერთ-ერთმა ფაბრიკანტმა, რომელიც თავიდან უარყოფდა ლოკაუტს და რომელმაც დაბოლოს განაახლა მუშაობა თავის სახელოსნოებში. ამის გამო ფაბრიკანტების კავშირი იძულებული შეიქნა გადაესინჯა თავის გადაწყვეტილება და გამოეტანა დადგენილება ლოკაუტის შეწყვეტის შესახებ.

კომკავშირთან ერთად

ლონდონი, 5 აპრილი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის მომხრე ახალგაზრდობის კავშირის ლონდონის ორგანიზაციის კრებამ დაადგინა განახორციელოს კომკავშირთან ერთად შემდეგი გადაწყვეტილებები: **პროტესტი კომკავშირის მდივნის უილიამ რესტის დაპატიმრების წინააღმდეგ** (რესტი—იმ 12 კომუნისტთაგანია, რომლებიც დატუსაღებული არიან „ამბოხებისათვის"); **მშრომელი ახალგაზრდობის პროფკავშირის საწევრო გადასახადის შემცირების მოთხოვნა; ახალგაზრდა მუშების დელეგაციის გაგზავნა საბჭოთა რუსეთში;** ზომების მიღება მშრომელი ახალგაზრდობის საერთაშორისო სასპორტო ორგანიზაციების შესაქმნელად.

ჩინეთის რეაქციის წინააღმდეგ

მუკდენის სარდლობის მოქმედება

პეკინი 5 აპ. ყოველ დღე პეკინზე **დაფრინავენ ჰაეროპლანები და ჰყრიან ყუმბარებს. მცხოვრებთა შორის ბევრია დაჭრილ-დახოცილები.** ჰაეროპლანები დაფრინავენ აგრეთვე ელჩითა უბანზე და საბჭოთა კავშირის საელჩოს შენობაზე. **ჩინეთის გაზეთების ცნობით, ჰაეროპლანებზე მფრინავები არიან არა ჩინელები, არამედ იაპონელები, ფრანგები და რუსეთის თეთრგვარდიელები.**

ჩინეთის პრესა აღშფოთებულია მუკდენელების სარდლობის არა ადამიანური საქციელით. გაზეთები გაოცებული არიან დიპლომატიურ კორპუსის სიჩუმით

უთანხმოებანი

პეკინი, 5 აპრილი. უ-პეი-ფუსა და ჩან-ძო-ლინს შორის მომხდარ უთანხმოების გამო პეკინზე შეტევის გეგმა დატოვებულია.

სახალხო არმიამ გადასწყვიტა შეინარჩუნოს პეკინი.

აჯანყებები

პეკინი, 5 აპრილი. შან დუნის პროვინციაში, ცინდაოს რაიონში დაიწყო აჯანყება. **აჯანყებულებმა, რომელნიც თავის-თავს სახალხო არმიას უწოდებენ, განაიარაღეს შანდუნის სამხედრო გუბერნატორის მიერ მათ წინააღმდეგ გაგზავნილ რამოდენიმე რაზმი.**

აჯანყების გამო ჯარების ერთი ნაწილი შან-დუნის პროვინციაში იძულებული იყო დაეტოვებია ტიან-ძინის რაიონი და დაბრუნებულიყო შანდუნში.

ამავე დროს იუწყებიან, რომ ხენანის პროვინციაში დაიწყო გლეხთა აჯანყება. გლეხთა თავდაცვის რაზმები გამოვიდენ უ-პეი-ფუს ჯარების წინააღმდეგ.

სესხი ჩჟან-ძო-ლინისათვის

პეკინი, 5 აპრილი. დაირუნიდან მიღებული ცნობის თანახმად, ჩჟან-ძო-ლინმა დასდო ხელშეკრულება ჩოსენ ბანკთან (იაპონიის ბანკი).

ჩოსენ ბანკი აძლევს ჩჟან-ძო-ლინს 10 მილიონ იენის სესხად 5%-ად წელიწადში მუკდენის არსენალის უზრუნველყოფის ქვეშ.

ყველაზე ღირსეული მთავრობა

ლონდონი, 5 აპრილი. „ტაიმსმა" გამოაქვეყნა თავისი გონკონგელი კორესპონდენტის დაწვრილებით ცნობა კანტონის მთავრობის შესახებ, რომელშიაც ნათქვამია:

„წინააღმდეგ განზრახ გავრცელებული ხმებისა, გომინდანის მდგომარეობა კანტონში განმტკიცდა. 6 თვის გამოცდილების შემდეგ გონკონგი იძულებულია სცნოს, რომ როგორიც არ უნდა იყოს კანტონის მთავრობის გარეგნული სახე, მას მაინც უფრო შეეფერება მთავრობის სახელი, ვინემ უკანასკნელ წლების განმავლობაში კანტონში არსებულ სხვა რომელიმე მთავრობას. **მან ხელ-ახლა გააერთიანა გუან-დუნის პროვინციები. მას აქვს განსაზღვრული პროგრამა და, როგორც ჩანს, მტკიცეთ გადასწყვიტა ბოლო მოუღოს მოხელეების მექრთამეობას და ბოროტმოქმედებას, ჩინეთის ადმინისტრაციის ამ უდიდეს ნაკლს. კანტონი სანიტარულ მდგომარეობაშია. მისი მცხოვრები შედარებით ნორმალურ ცხოვრებას ეწევიან და 6 თვის განმავლობაში კანტონს სრულებით არ დასჭირვებია გონკონგის დახმარება".**

კორესპონდენტის სიტყვით, გონკონგის მთავრობა ისარგებლებს პირველი შესაძლებლობით, რომ შეთანხმებას მიაღწიოს, თუმცა პესიმისტები აცხადებენ, რომ ასეთი შესაძლებლობა არ იქნება, სანამ ხელისუფლების სათავეში კანტონის ეხლანდელი მთავრობა სდგას.

ინგლისის წყაროებიდან

პარიზი, 5 აპრილი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის წყაროებიდან გამომდინარე ხმები მუკდენის ჯარების ოპერაციებში საფრანგეთის და იტალიის ოფიცრების მონაწილეობის შესახებ მოკლებულია სიმართლეს.

ხუ-ხან-მინი ვლადივოსტოკში

ვლადივოსროკი, 6 აპრილი. ვლადივოსტოკში მყოფი კანტონის შეიარაღებულ ძალების გენერალისიმუსმა ხუ-ხან-მინმა პროფკავშირების საოლქო ყრილობაზე წარმოსთქვა სიტყვა საბჭოთა კავშირის და ჩინეთის პროფმოძრაობის ამოცანების შესახებ. **თავის სიტყვაში მან აღნიშნა, რომ აუცილებლად საჭიროა მთლიანი მსოფლიო ფრონტის შექმნა იმპერიალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.**

უნივერსიტეტში გამართულ კრებაზე ხუ-ხან-მინმა აღნიშნა საბჭოთა მეცნიერების მიღწევები და ჩინეთ-საბჭოთა კავშირის სამეცნიერო დაწესებულებათა შორის მჭიდრო კავშირის აუცილებლობა. ხუ-ხან-მინი არჩეულ იქნა შორეულ-აღმოსავლეთის უნივერსიტეტის საპატიო სტუდენტათ.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება

(საუბარი ამხ. ტომსკისთან)

მოსკოვი, 6 აპრილი. პარიზიდან მოსკოვში 5 აპრილს დაბრუნდა ამხ. ტომსკი, რომელმაც გაზეთების წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა:

— საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება ნორმალურად ვითარდება. მოლაპარაკებას ფრიად საქმიანი ხასიათი აქვს. კონფერენციის პლენუმი ჯერ ერთხელ შესდგა. კონფერენციის უმთავრესი მუშაობა საფინანსო კომისიაში სწარმოებს, რომელიც არჩევს ვალებისა და კრედიტის საკითხს.

მიუხედავათ იმისა, რომ საკითხებს ვალებისა და კრედიტის შესახებ ცალ-ცალკე იხილავენ, მათ შორის კავშირი განუყრელია.

ამჟამად, კონფერენციის მუშაობა სააღდგომო არდადეგების გამო საფრანგეთში შეწყვეტილია და განახლდება 10 დღის შემდეგ. კონფერენციის მეორე პლენუმი შესდგება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამთავრდება ძირითადი და საქმიანი საკითხების დამუშავება.

მთავრობის უკანასკნელმა კრიზისმა ნაწილობრივ შეუშალა ხელი კონფერენციის მუშაობას. უკანასკნელ ხანებში საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის მთელი ყურადღება საფინანსო კრიზისისაკენ იყო მიქცეული. საფრანგეთ - საბჭოთა მოლაპარაკება, როგორც ჩანს საკმაოთ ბევრ დროს წაგვართმევს, რადგან კონფერენციას მოუხდება ბევრი სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის საკითხების დამუშავება".

საბერძნეთის დიქტატორი

ათინა, 5 აპრილი. 3 აპრილს საბერძნეთის პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც გაერთიანებული იყვენ **დემერძისის** კანდიდატურის გარშემო, უარი განაცხადეს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე.

ამგვარად დარჩა ერთად-ერთი კანდიდატი, ეხლანდელი დიქტატორი პანგალოსი, რომელიც არჩეულ იქნა 4 აპრილს საბერძნეთის იმ ნაწილში, რომელშიაც მოხდა კენჭის ყრა ამ დღეს. პანგალოსის არჩევა უზრუნველყოფილია.

შექმნილ პირობებში არჩევნებს აქვს დიქტატურის რეჟიმისათვის საყოველთაო ხმის მიცემის ხასიათი.

ამერიკის პოზიცია

ბერლინი, 6 აპრილი. ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა კელოგმა დღეს ოფიციალურად დაადასტურა პრეზიდენტ კულიჯის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ამერიკა არ გაგზავნის თავის წარმომადგენელს ერთა ლიგის ხელმძღვანელობით მოწვეულ კრებაზე: ამ კრებამ უნდა განიხილოს შეერთებულ შტატების სენატის მიერ იმ რეზოლიუციაში შეტანილი შენიშვნები, რომელნიც ითვალისწინებს ამერიკის მონაწილეობას ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალში.

საბჭოთა კავშირი და ოსმალეთი

პარიზი, 5 აპრილი. გაზეთ „საი საადი"-ს ცნობით, სტამბოლში ხმებია, რომ **ოსმალეთში დაარსდა რუსეთ-ოსმალეთის ვაჭრობის რამოდენიმე შერეული საზოგადოება.** ამ საზოგადოებათა მუშაობის სფერო გავრცელდება სტამბოლზე და აღმოსავლეთ ანატოლიის რაიონზე. **გაზეთი „საი საადი" იმედს გამოსთქვამს, რომ რუსეთ-ოსმალეთის შერეულ სავაჭრო საზოგადოებათა დაარსება ხელს შეუწყობს კომერციული კავშირის განმტკიცებას საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის.**

ომი მაროკოში

პარიზი, 6 აპრილი. გუშინ ბრიანს კვლავ თათბირი ჰქონდა **პენლევესთან, სტეგთან, პეტენთან** და მთელ რიგ სპეციალისტებთან აფრიკის საქმეთა. **ირჩეოდა საკითხები საგაზაფხულო კამპანიის შესახებ მაროკოში.**

„მატენ"-ის ცნობით, აბდ-ელ-ქერიმის კომისრების, რომელთაც აქვთ კანონიერი მანდატები, მოლაპარაკება ჰქონდათ საფრანგეთის და ესპანეთის მთავრობების წარმომადგენლებთან. **მიუხედავათ ამისა, გრძელდება მზადება შეტევისათვის და უნდა ველოდეთ ამბების განვითარებას.**

სხვადასხვა

ფინეთში. ფინეთის ახალგაზრდათა სოციალისტური კავშირის წევრთა პროცესი, რომელიც ორი თვე გრძელდებოდა, უკვე დამთავრდა. ფინეთის პოლიციამ არ დაუცადა სასამართლოს განაჩენს და უკვე შეუდგა კავშირის ზოგიერთ განყოფილებათა ლიკვიდაციას ადმინისტრაციული წესით.

საბჭოთა ინჟინერები ნიუ-იორკში. ჩამოვიდა საბჭოთა ინჟინერების ერთი ჯგუფი ინჟინერ ალექსანდროვის მეთაურობით, რომლის მიზანია ჰიდროელექტრონის წარმოებათა შესწავლა ამერიკაში.

გერმანელ ქვეშევრდომთა ქონება. გერმანიის პრესა ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს შეერთებულ შტატების კონგრესზე დეპუტატ მილსის მიერ წარდგენილ წინელ ქვეშევრდომთათვის იმ ქონების დაბრუნებას, რომელიც მათ ჩამოერთვათ ომის დროს. გაზეთებს სავსებით მოჰყავთ მილსის მიერ შეტანილი კანონპროექტი და იმედს გამოსთქვამენ, რომ კანონპროექტი კონგრესზე ხმების დიდ უმრავლესობას მიიღებს.

პაშიჩის გადადგომის მიზეზი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, მთავრობის კრიზისი გამო[illegible] იმ გ[illegible], რომ რადიჩმა უარი სთქვა პარლამენტის მუშაობის გადადებაზე.

ელჩები—ყალბი ფულის მკეთებელნი. ჰუნგრელ ყალბი ფულის მკეთებელთა საქმის გამო აღძრულია ახალი ბრალდებები ჰუნგრეთის ელჩის წინააღმდეგ ვენაში, რომელმაც ხელი შეუწყო ყალბი ბანკნოტების უცხოეთის ვალიუტაზე გადახურდავებას. ასეთივე ბრალდება წარუდგინეს ჰუნგრეთის ელჩს ბერლინში.

ბელორუს გლეხთა კავშირი. ვილენშჩინის ბელორუს გლეხთა კონფერენციამ დაადგინა დაარსოს ბელორუს გლეხთა კავშირი. კავშირის ცენტრალურ კომიტეტში სხვათა შორის არჩეული არიან სეიმის ბელორუსი დეპუტატები როგულია და ერემიჩი.

პოლონეთის ოხრანკის „აღმოჩენა". ვილნოს გაზეთის „სლოვო"-ს ცნობით, „ოხრანკამ" ვილნოს ყველა ციხეებში თითქოს აღმოაჩინა კომუნისტური უჯრედები, რომელთა მოწყობას დაპატიმრებულ კომუნისტებს აბრალებენ. გაზეთის სიტყვით, უჯრედებს კავშირი ჰქონდათ გაბმული გარეთ მყოფ ორგანიზაციასთან, რაც დიდი ხნის განმავლობაში შეუმჩნეველი იყო ციხის ადმინისტრაციისათვის.

უკანასკნელი ცნობები

კრიზისი სანახშირო მრეწველობაში

ლონდონი, 6 აპრილი. სანახშირო რაიონებში ამჟამად მაღაროს მუშათა თათბირი სწარმოებს, სადაც იმუშავებენ ინსტრუქციებს იმ დელეგატებისათვის, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მაღაროს მუშათა ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ მოწვეულ კონფერენციაზე.

კონფერენციამ უნდა გამოარკვიოს მაღაროს მუშათა პოზიცია მომავალ მოლაპარაკების დროს მაღაროს მეპატრონეებთან.

მოლაპარაკება ზავის შესახებ

პარიზი, 6 აპრილი. პეკინიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, უ-პეი-ფუმ გაგზავნა თავისი რწმუნებულები პეკინში საზავო მოლაპარაკების საწარმოებლად.

ახალი კოალიცია

ბერლინი, 6 აპრილი. „ჩიკაგო ტრიბუნი"-ს ცნობით, ახალი კოალიცია, რომელიც შესდგა ჩინეთში სავსებით სცვლის მდგომარეობას. გაზეთი აღნიშნავს, რომ უ-პეი-ფუმ მოახერხა კავშირის გაბმა შან-სისა და კიანგ-სის პროვინციების მმართველებთან ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ.

გენერალი ფინ-იუი-სიანი იზოლიაციაში რჩება. ახალ კოალიციას განზრახული აქვს ცაო-კუნის მაგიერ ახალი პრეზიდენტის არჩევნების მოხდენა და ნანკინის კონსტიტუციის აღდგენა.

კალკუტაში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა

ბერლინი 6 აპრილი. ინდუსებსა და მუსლიმანებს შორის სასტიკი ბრძოლაა გაჩაღებული. ამის გამო ინგლისელებმა კალკუტაში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადეს.

იუწყებიან, რომ არეულობის დროს მოკლულია 30 და დაჭრილია 200 კაცი. ბრბო სძარცვავს მაღაზიებს და სწვავს ეკლესიებს და მეჩეთებს

საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტების ხელახალი არჩევნები

ბერლინი, 5 აპრილი. ამჟამად რურის ოლქში სწარმოებს საფაბრიკოსაქარხნო კომიტეტების გადარჩევა. არჩევნებში გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების კანდიდატები გაცილებით უფრო მეტ ხმებს იღებენ, ვიდრე ქრისტიან და გირშ - დუნკერის პროფესიონალური გაერთიანების კანდიდატები. 181 მაღაროში ჩატარებულ არჩევნების შედეგი ასეთია: გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების სიას ხმა მისცა 157.027 კაცმა, ქრისტიან პროფორგანიზაციებმა (ეს პროფკავშირები ცენტრის პარტიის ხელმძღვანელობით მუშაობენ) მიიღო 61.064 ხმა, ხოლო გირშ-დუნკერის—4.051 ხმა.

მთა-მადნის მუშაკთა კავშირის (ეს კავშირი შედის გერმანიის რეფორმისტულ კავშირების საყოველთაო გაერთიანებაში) სიით არჩეული არის მემარცხენე ოპოზიციის კანდიდატების საგრძნობი რიცხვი. დაწვრილებითი ცნობები ჯერ მიღებული არ არის.

გენერალი პანგალოსი — პრეზიდენტი

პარიზი, 6 აპრილი. ათინიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, გენერალმა პანგალოსმა პრეზიდენტის არჩევნებში მიიღო ხმების 90 პროცენტი.

„ტაიმსი" საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ვაჭრობის შესახებ

ლონდონი, 5 აპრილი. თემთა პალატაში შეკითხვებზე, გავრცელდება თუ არა საბჭოთა კავშირზე კანონი ინგლისის საექსპორტო ვაჭრობის შეღავათების შესახებ, ინგლისის მთავრობის წარმომადგენლები ყოველთვის უპასუხებდენ, რომ საბჭოთა კავშირს ინგლისთან ვაჭრობაში აქტიური ბალანსი აქვს და თუ მოისურვებს, შეუძლია ისარგებლოს ამ თანხებით თავის კომერციულ ოპერაციების გასაფართოებლათ ინგლისში.

ამასთან დაკავშირებით კონსერვატიული გაზეთი „ტაიმსი" აღნიშნავს, რომ ექვსი წლის განმავლობაში (1920 — 1925 წელი) საბჭოთა იმპორტის ღირებულება დაახლოებით 39 მილიონი გირვანქა სტერლინგით აღემატება ინგლისში შეძენილ საქონლის ღირებულებას.

„ეს ციფრები—სწერს „ტაიმს"-ი, ამტკიცებენ, რომ ინგლისთან ვაჭრობის ბალანსში საბჭოთა კავშირის აქტივი საგრძნობია, მაგრამ მას არ სურს გამოიყენოს ის ჩვენთან სავაჭრო ურთიერთობის განსავითარებლათ".

ჩერჩილის სენსაციური განცხადება

ლონდონი, 5 აპრილი. იტალიის ინგლისისადმი დავალიანების საკითხის მოწესრიგების პერიოდში ერთგვარი სენსაცია გამოიწვია ჩერჩილის განცხადებამ იმის შესახებ, თითქოს ფრანგების მიერ რურის ოლქის დაკავების დროს ინგლისი შეჰპირდა იტალიას ვალების დიდი ნაწილის პატიებას, თუ ეს უკანასკნელი უარს იტყოდა საფრანგეთთან თანამშრომლობაზე.

ეს განცხადება მოთავსებული იყო „დეილი ქრონიკლ"-ში.

მთავრობის თავმჯდომარემ ბოლდუინმა დაუყოვნებლივ უარყო ეს განცხადება. ამ რამოდენიმე დღის წინ, თემთა პალატაში მოკავშირეთა ვალების საკითხის განხილვის დროს გამართულ კამათში ჩერჩილმა განაცხადა სნოუდენის სიტყვის საპასუხოდ, რომ მართალია, იყო ამგვარი ხასიათის მოსაზრებები, მაგრამ „არ ყოფილა დაპირება მომავალში პოლიტიკური დახმარების შესახებ".

ამაზე სნოუდენმა უპასუხა, რომ „თუ ასეთი მოსაზრებები მომავლისათვის არ არსებობდა, მაშინ რატომ მიიღო იტალიამ ასეთი მსუბუქი პირობები ვალების დასაფარავად".

დიდი ხანძარი

ლონდონი, 5 აპრილი. ქორის მიდამოებში დიდი ხანძარი გაჩნდა, რომელმაც გაანადგურა 612 სახლი. ცეცხლში დაიღუპა 32 კაცი. 4000 მცხოვრები უსახლკაროთ არის დარჩენილი.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მონღოლეთის პარლამენტის დელეგაცია

მოსკოვი, 6 აპრილი. 3 აპრილს მოსკოვში ჩამოვიდა მონღოლეთის პარლამენტის დელეგაცია, რომელიც შესდგება რამდენიმე ქალისაგან. **დელეგაციის მიზანია საბჭოთა კავშირის მუშა ქალის მდგომარეობის და ქალთა განყოფილების მუშაობის გაცნობა.**

პირველი მოგებიანი სესხი

მოსკოვი, 6 აპრილი. 1 მაისს დამთავრდება პირველი მოგებიანი სესხის პირველი გათამაშების მოგებათა ანაზღაურების ვადა. გარდა 20 მანეთიან მოგებათა დიდი რიცხვისა, ჯერ აუნაზღაურებელია 215 ორმოცდაათ მანეთიანი მოგება, 113 ასმანეთიანი, 18 ხუთასმანეთიანი, 11 ათასმანეთიანი და ერთიც ხუთიათასმანეთიანი. 5 ათასი მანეთი მოიგო ობლიგაციამ 0604342, სერია 3.

საგლეხო სესხი გათამაშება

როსტოვი, 6 აპრილი. **1 აპრილს დაიწყო საგლეხო სესხის გათამაშება. პირველი სამი დღე განსაკუთრებული სიცხოველით ხასიათდება.** გათამაშებას დაესწრო მრავალი ექსკურსია და აგრეთვე ცალკე გლეხები და მუშები.

გათამაშების დაწყებამდე მარტო სახელმწიფო ბანკმა შეჰყიდა 400.000 მანეთის ობლიგაცია.

შავი ზღვის ფლოტის დათვალიერება

სევასტოპოლი, 6 აპრილი. საბჭოთა კავშირის საზღვაო ძალთა უფროსმა **ზოფმა** მოახდინა შავი ზღვის ფლოტის დათვალიერება; გამოირკვა, **რომ ყველა გემები საუკეთესო მდგომარეობაშია.**

მერი ბრამლის ჩამოსვლა

მოსკოვი, 6 აპრილი. **5 აპრილს პარიზიდან ჩამოვიდა ამხ. ტომსკი.** ტომსკისთან ერთად მოსკოვში ჩამოვიდა მერი ბრამლი, ინგლისის პროფმოძრაობის ყოფილი ბელადის ფრედ ბრემლის ქვრივი. მერი ბრამლის მიზანია გაეცნოს საბჭოთა კავშირის მდგომარეობას.

საფეიქრო წარმოება

მოსკოვი, 6 აპრილი. **საფეიქრო საკავშირო ცეკაში მიღებულ ცნობებით ამჟამად სრულიად გამორკვეულია, რომ საფეიქრო ფაბრიკებისათვის ნედლი მასალის მიწოდების დროებითი შეფერხება არ გამოიწვევს მუშა ძალების შესამჩნევ შემცირებას.**

კერძოდ ლენინგრადში ნავარაუდევია 1500 მცირეწლოვანის დათხოვნა 4.500 მცირეწლოვანთა საერთო რიცხვიდან. დასათხოვნი მცირეწლოვანნი ეკუთვნიან ყველაზე ნაკლებ კვალიფიციურ ძალებს. კვალიფიციურ მუშებს კი სრულიად არ შეეხება შემცირება.

შეღავათი სამხ. სამსახურში მყოფთათვის

მოსკოვი, 6 აპრილი. სასოფ.-სამეურნეო გადასახადში შეღავათის მისაღებათ სამხ. სამსახურში მყოფებმა სათემო აღმასკომებს უნდა წარუდგინონ ფინ. სახ. კომისარიატის მიერ შემუშავებული ფორმის სამხ. ნაწილის მოწმობა. ადგილობრივ საფინ. ორგანოებს მიეცათ განკარგულება, რომ მსგავსი საბუთები უდავოთ უნდა იქნეს მიჩნეული, რომლებითაც მტკიცდება სამხ. მოსამსახურის უფლება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათზე.

საბიუჯეტო კომისიის პლენუმი

კამათი ტრანსპორტის შესახებ

მოსკოვი, 6 აპრილი. საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა 3 აპრილს ტრანსპორტის ხარჯთ-აღრიცხვის ირგვლივ გამართულ კამათის შემდეგ მიიღო წინადადება ეთხოვოს ცაკის პრეზიდიუმს, რომ ცაკის მორიგ სესიაზე წარმოდგენილ იქნეს გზათა სახალხო კომისარიატის მოხსენება ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ.

გზათა სახ. კომისარიატის ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქნა საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილ ციფრებში: შემოსავალი 1.345.000.000 მანეთი, გასავალი 1.329.000.000 მანეთი.

ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი

მოსკოვი, 6 აპრილი. საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმზე 4 აპრილს მოსმენილ იქნა მოხსენებანი ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის შესახებ. კამათის შემდეგ არაპირდაპირი გადასახადი და მოგების შემოსავალი დამტკიცებულ იქნა შემდეგ ციფრებში: ღვინის აქციზი--7.971.000 მანეთი, არაყის და სპირტის ძირითადი და დამატებითი აქციზი—415.260.000 მან., ლუდის აქციზი—24.438.000 მან., აქციზი თაფლის, კვასის, ხილის და ხელოვნურ მინერალურ წყლების დამამზადებელ დაწესებულებათა შემოსავალზე—198.205 მანეთი, მაგარი სასმელების გასასყიდ საპატენტო გადასახადის შემოსავალი—1.898.350 მან., აქციზი ჭარხლის შაქარზე—225.000.000 მან., კრახმალის შაქარზე—3.000.000 მან., ჩაიზე—23.950.000 მან., ყავაზე—1.800.000 მან., ასანთზე—20.982.000 მან., თამბაქოს ნაწარმოებზე — 110.599.881 მან., თამბაქოს ნაწარმოების გამყიდველ დაწესებულებების საპატენტო გადასახადი—1.750.000 მან., აქციზი პაპიროსის მილებზე და ქაღალდზე—1.600.000 მან., მარილზე—17.900.000 მან., ნავთის პროდუქტებზე—32.370.000 მ., სანთელზე—2.099.000 მან., საფეიქრო მრეწველობის ნაწარმოებზე—73.000.000 მან., რეზინის კალოშებზე—6.800.000 მან.

საბაჟოს შემოსავალი დამტკიცებულია—140.522.000 მანეთის რაოდენობით. შემოსავალი ბაჟებიდან—170.254.743 მან.

შემოსავალი სახელმწიფო ქონებიდან: ბანკების ანარიცხი ხაზინის სასარგებლოთ—53 მილ. მანეთი; სახელმწიფო მრეწველობის და ვაჭრობის შემოსავალი დამტკიცებულია—165.225.320 მანეთის რაოდენობით; შემოსავალი ტყეებიდან—140.505.000 მან., შემოსავალი მადნეულობიდან—23.227.000 მან.

პლენუმის მიერ მიღებული შემოსავლის თანხა გასავალს—22.471.148 მანეთით აღემატება.

ბრიუხანოვს შემოაქვს წინადადება, რომ კომისიის მუშაობის წყალობით მიღებული ნაშთი 22 მილ. მანეთი, გადარიცხულ იქნეს სახელმწიფო რეზერვში.

პარტიული ცხოვრება

საკავშირო კომპარტიის სტატისტიკა

მოსკოვი, 6 აპრილი. საკავშირო კომპარტიის ცეკას სტატისტიკური განყოფილების ცნობით 1926 წლის 1 იანვარს საბჭოთა კავშირში ირიცხებოდა საკავშირო კომპარტიის 30.141 უჯრედი 1.057.570 წევრით და კანდიდატით, მათ რიცხვში 128.648 ქალია. პარტიის კანდიდატთა რიცხვი 1926 წლის 1 იანვარს უდრიდა 437.107 კაცს.

აგიტპროპის სამხატვრო კომისია

მოსკოვი, 6 აპრილი. საკავშირო კომპარტიის ცეკას აგიტპროპთან მოეწყო სამხატვრო კომისია, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირის სამხატვრო ცხოვრების ძირითადი საკითხების განხილვა. კომისიის უახლოეს გეგმაში შედის განათლების სახ. კომისარიატის სამხატვრო განყოფილებათა მუშაობის განხილვა და აგრეთვე სამხატვრო განათლების საკითხები.

რა უნდა გვახსოვდეს არჩევნების დროს

თბილისის ორგანიზაციაში უკვე დაიწყო უჯრედების ბიუროების ხელახალი არჩევნების კამპანია. თავისთავად ცხადია, არჩევნებს უჯრედები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდონ.

თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა ბიუროების ხელახალი არჩევნები ჩატარებულ იქნას თვითშემოწმების ლოზუნგით, ე. ი. ჩატარებულ იქნას იმნაირად, რომ რაც შეიძლება მეტ ამხანაგს მიეცეს საშუალება მონაწილეობა მიიღოს უჯრედის ბიუროს მუშაობის შეფასებაში. ამ შეფასებისა და კამათის დროს უნდა გამოირკვეს ჩვენი უჯრედების ნამდვილი მდგომარეობა, მისი მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები,მიღწევები და ნაკლი. მხოლოდ ამრიგად შეიძლება სწორი გზების დასახვა მომავალი მუშაობისათვის. თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოს მიაჩნია, რომ როგორც მოხსენება, ისე კამათი მოხსენების გარშემო დაახლოებით ორ დახურულ კრებაზე უნდა ამოიწუროს. ეს იმას ნიშნავს, რომ უჯრედები არას შემთხვევაში არ უნდა დაკმაყოფილდენ მოხსენებათა ზერელე გარჩევით, „ცნობად მიღებით" და საფუძვლიანად უნდა განიხილონ ის. უჯრედების სხდომებზე უნდა მოსმენილი იქნას აგრეთვე კომკავშირის უჯრედის, საფაბრიკო - საქარხნო ან ადგილობრივი კომიტეტის ფრაქციის და წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელ პარტიულ ამხანაგების მოხსენებები. ყველა ეს მოხსენებები დაწვრილებით უნდა იქნეს განხილული და უჯრედმა შესაფერისი დადგენილებაც უნდა გამოიტანოს მათ გარშემო. ეს დადგენილება გაუადვილებს მუშაობას მომავალში ბიუროს ახალ შემადგენლობას.

ცხადია ბიუროს შერჩევასაც უნდა მიექცეს შესაფერისი ყურადღება. საჭიროა ბიუროს შემადგენლობის გაახალისება და ახალი ძალების, განსაკუთრებით ქალების არჩევა. მაგრამ მეორეს მხრივ გადაჭარბებასაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ბიუროს შემადგენლობის სავსებით და მთლიანად გამოცვლა ვერ იქნება მიზანშეწონილი, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბიუროში გამოუცდელი ამხანაგები მოყვებიან და მათ პირველ ხანებში, ყოველ შემთხვევაში, გაუჭირდებათ მუშაობის წესიერ კალაპოტში ჩაყენება.

არჩევნების დროს უჯრედებმა ყურადღება უნდა მიაქციონ კიდევ ერთ გარემოებას. ხშირად ჩვენს უჯრედში არავითარი განსხვავება არ არსებობს პარტიის წევრებსა და კანდიდატებს შორის. პარტიის კანდიდატები ისეთივე უფლებით სარგებლობენ,როგორითაც პარტიის ნამდვილი წევრები. ისინი იღებენ მონაწილეობას ხმის მიცემაში, მათ კანდიდატურას ასახელებენ ბიუროში და სხ. ეს რასაკვირველია არ არის დასაშვები. ამ შემთხვევაში სავსებით უნდა იქნეს დაცული პარტიის წესდება. პარტიის კანდიდატებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ კამათში, გამოსთქვან თავიანთი აზრი, მაგრამ მათ არა აქვთ ხმის მიცემის უფლება და რასაკვირველია არც მათი არჩევა შეიძლება.

ბიუროების არჩევნები მიმდინარე თვის განმავლობაში უნდა დამთავრდეს მთელ ორგანიზაციაში. უჯრედების ყველა წევრებს მართებთ უალრესი ყურადღებით მოეპყრან ამ კამპანიას.

ბ.

თბილისის ორგანიზაციაში

ორგანიზაციის შემადგენლობა და ზრდა

(თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიონი)

ორგანიზაციის შემადგენლობა 1926 წ. 1 აპრილისათვის ასეთია:

მამაკაცები — 1008 , ე. ი. 90,8%, ქალები—101, ე. ი. 9,2%, სულ 1109

1925 წლ. ოქტომბერთან შედარებით ორგანიზაცია გაიზარდა 91 კაცით.

1924 წ. 1 ოქტომბრისათვის შემჩნეული იყო შემდეგი არანორმალური მდგომარეობა: ორგანიზაციის მთელი შემადგენლობიდან კომპარტიის წევრთა და კანდიდატთა რიცხვი ერთნაირი იყო., 1926 წ. 1 აპრილისათვის კი სურათი შეიცვალა: წევრები შეადგენენ 71%-ს, კანდიდატები—29%-ს.

სოციალურ მდგომარეობის მიხედვით: 1925 წლ. 1 ოქტომბრისათვის მუშები შეადგენდენ 80%-ს, მაგრამ სოციალურ შემადგენლობის გადასინჯვის შემდეგ მუშების პროცენტი შემცირდა 3,4%-ით და 1926 წ. 1 აპრილისათვის მუშათა რიცხვი გაიზარდა 2,1%-ით, რაც შეეხება მოსამსახურეებს, 1926 წ. 1 აპრილისათვის მათი რიცხვი შემცირდა 1,8%-ით, 1925 წ. ოქტომბერთან შედარებით.

ეროვნული შემადგენლობის მიხედვით ქართველების რიცხვი ჩვენს ორგანიზაციაში 1925 წლ. 1 ოქტომბერთან შედარებით 3,7%-ით, სომხების რიცხვი შემცირდა 2,2%-ით, თათრების და რუსების პროცენტი უცვლელი რჩება.

სხვადასხვა პარტიებიდან გადმოსულები ჩვენს პარტიაში შეადგენენ 70 კაცს, ე. ი. 6,4 პროცენტს.

უ.

გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა.

1926 წლის დასაწყისში

გერმანია დღეს არაჩვეულებრივ ეკონომიურ კრიზისს განიცდის.

ქვემოთ მოყვანილი ციფრები ამ კრიზისის სიძლიერეს ამჟღავნებენ.

უმუშევართა რიცხვი:

1924 წ. დეკემბერი— — — 529 ათასი
1925 წლ. ივნისი — — — 214 „
1925 წლ. დეკემბ. — — —664 „
1926 წლ. იანვარი — — —1762 „

ეს არის ოფიციალური ცნობა. ნამდვილად უმუშევართა რიცხვი სამ მილიონამდე უნდა აღწევდეს.

რკინის გზის ვაგონების მოძრ. 1925 წ.

	ვაგონების რიცხვი	დღეში
25 სექტ.—1 ოქტ.	810,635	135,106
22 ნოემბ.—28 ნ.	763,260	127,210
20 დეკემბ.—26 დ.	659,298	109,883

ეს ციფრები ამტკიცებენ, რომ საქონლის მოძრაობა შემცირდა. ნაწილობრივ ეს შემცირება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ზამთარში ზოგიერთი მასსიური მოსახმარი საგნის, მაგალითად, კარტოფილის და საშენი მასალის ტრანსპორტი მცირდება.

ეს კრიზისი მოედო გერმანული მრეწველობის ყველა დარგებს, უწინარეს ყოვლისა ლითონის წარმოებას. აქ უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ქვანახშირის მრეწველობაში უკანასკნელ წლის განმავლობაში 100.000 მუშაზე მეტი დაითხოვეს, მაგრამ თვით წარმოებას მაინც არ დაუკლია. პირიქით, რკინის და ფოლადის დარგში შეუჩერებლივ შემცირებას ვამჩნევთ.

ქვანახშირის, რკინის და ფოლადის წარმოება.

		ქვანახშირი	რკინა	ფოლადი
1925 წ.	იანვარი	11,3 მილ. ტონა	925 ათასი ტ.	1182 ათასი ტონა
„	ივნისი	11,2 „	814 „	937 „
„	დეკემბ.	11,2 „	717 „	763 „

მაშინ როცა ქვანახშირის წარმოება თითქმის არ შემცირებულა, რკინისა და ფოლადის წარმოებამ, ერთი წლის განმავლობაში, 25 პროცენტზე მეტით დაიკლო. ამ დარგებში განსაკუთრებით მწვავეა საფრანგეთის კონკურენცია. ფრანგული რკინის ფასი ბევრად დაბალია, ვიდრე გერმანული რკინისა. ამიტომ რკინის და ფოლადის შემოზიდვამ 1925 წლის ოქტომბერში გადააჭარბა გაზიდვას.

ასეთივე ცუდ მდგომარეობაშია გადამმუშავებელი ინდუსტრია. თვით ქიმიური მრეწველობა, რომელმაც ყველაზე მეტი გამძლეობის ძალა გამოიჩინა, კრიზისს განიცდის. ყოველმხრიდან ერთი და იგივე ცნობები მოდის: ბაზრის შევიწროება, ქარხნების დაკეტვა, მუშების დათხოვნა.

სასოფლო მეურნეობაც ამ წუთში შევიწროვებულ მდგომარეობაში იმყოფება, „მაკრატელის" კრიზისისა და კაპიტალების ნაკლებობის გამო. ამისდამიუხედავად სასოფლო მეურნეობა, როგორც ჩანს, ყველაზე უფრო საღი ელემენტია გერმანიის ეკონომიურ ცხოვრებაში. ხელფასის სიმცირისა, ხელოვნური სასუქის სიიაფისა და ამკრძალავი ბაჟების წყალობით მსხვილი მეურნეობა ძალიან კარგ მდგომარეობაშია. სამაგიეროდ მცირე მამულიანი გლეხკაცობა მძიმე მდგომარეობაში იმყოფება დიდი გადასახადების და ძვირფასიან კრედიტების წყალობით.

საქონლის განაღდების კრიზისი გამოიხატა ბანკროტების რიცხვის ზრდაში. 1924 წლის განმავლობაში გაკოტრდა 5,170 ფირმა, 1925 წელს 10,119 ფირმა.

საგარეო აღებ-მიცემობის მდგომარეობა [illegible]

შინაური ბაზრის კრიზისის წყალობით ექსპორტი გაძლიერდა, იმპორტი შემცირდა და ბალანსის პასივობა განელდა. წარსული წლის სექტემბერში ის 800 მილიონ მარკას უდრიდა, ნოემბერში მხოლოდ 70 მილიონს.

სახელმწიფოს ბანკებისა და ფინანსების მდგომარეობა ხელსაყრელია. კურსის ხელახლა დაცემის საფრთხე გაჰქრა. პირიქით, საქონლის ტრიალის შემცირებამ ფონდების განთავისუფლება გამოიწვია. მოკლევადიანი სესხის პროცენტი შემცირდა, ის 6% უდრის, გრძელვადიანისა — 12—20% ადის.

უცხო კაპიტალის შეჭრამ გერმანიის მრეწველობაში ამ ბოლო თვეებში, კრედიტის არხებისა და აქციების გაყიდვის შემწეობით, ფართო ხასიათი მიიღო. იმის მაგივრად, რომ ფული ისესხონ, აქციებს ჰყიდიან, ისე რომ უცხო კაპიტალი იჭრება თვით წარმოებათა დირექციებში. ნაწილობრივ ან სავსებით უცხოელების ხელში გადავიდა შემდეგი ფირმები: რეინ-ვესტფალიის ელექტრონის სადგურები, სანაოსნო საზოგადოება „ჰაპაგი", საფეიქრო ინდუსტრიის ბანკი, ზემო სილეზიის პოლონურ - გერმანული ცინკის წარმოება. დრეზდენის ბანკი, გერმანული ბანკი და სხ.

გერმანიის ეკონომიური ცხოვრება თანდათან უცხოეთის გავლენას ექვემდებარება. გერმანიის პროლეტარიატი იძულებულია მეტი ღირებულება შექმნას როგორც გერმანული კაპიტალისტებისა, ისე უცხოელებისათვის. მას ორმაგ ექსპლოატაციას უშვრებიან.

ი. ვარგა.

სამიწათმოქმედო ორგანოთა წარმომადგენლების პირველი ყრილობა

მესამე სხდომა

6 აპრილს დილის სხდომაზე გრძელდება მოხსენებები ადგილებიდან.

ადგილობრივი მეურნეობის მდგომარეობაზე მოხსენებები გააკეთეს ამხ. **ჯანდიერმა** (ქუთაისის მაზრა), **კალმახელიძემ** (გორის მაზრა), **ფუტკარაძემ** (შორაპნის მაზრა), **მამარდაშვილმა** (ლეჩხუმის მაზრა), **გოცირიძემ** (რაჭის მაზრა), **ქარცივაძემ** (ოზურგეთის მაზრა), **კაჭარავამ** (სენაკის მაზრა) და **ესარდიამ** (ზუგდიდის მაზრა).

ორატორები ეხებოდენ სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად მიღებულ ღონისძიებებს და აღნიშნავდენ ჩატარებული მუშაობის როგორც მიღწევებს, ისე სუსტ მხარეებს.

თითქმის ყველა მოხსენებაში იყო აღნიშნული, რომ ვეტერინალურ-სანიტარული ზედამხედველობა ადგილებზე მოისუსტებს; ვეტერინარ-ექიმების და ფერშლების რიცხვი ადგილებზე მცირეა, რაც აფერხებს საქონლის სხვადასხვა გადამდებ სენისაგან უზრუნველყოფის საქმეს.

უმეტეს მაზრებში არის თითო ვეტერინარი-ექიმი და რამოდენიმე ფერშალი, რაც საკმარისი არ არის საქონლის ჭირთან წარმატებითი ბრძოლის საწარმოებლად. ზოგიერთ მაზრებში ჭირი უკვე მოსპობილია, ზოგან კიდევ არის დარჩენილი. ზოგიერთ მაზრებში საქონლის ჭირის გარდა გავრცელებული ყოფილა სხვა სენიც; მაგალითად, ზუგდიდის მაზრაში საქონლის ჭირთან ერთად მძვინვარებდა ციმბირის წყლული, ციებ-ცხელება, თურქულა და შინაური ფრინველის ხოლერა. ციმბირის წყლულისაგან მაზრაში დახოცილა 32 სული საქონელი და მომკვდარა ერთი კაცი.

ეპიზოტია ამჟამად უმეტეს მაზრებში მოსპობილია.

თითქმის ყველა ორატორები აღნიშნავდენ მიწათ-მოწყობის საჩქაროდ დამთავრების აუცილებლობას და საძოვრების საკითხის რაც შეიძლება დაჩქარებით მოგვარების საჭიროებას.

დასასრულ ყრილობამ მოისმინა ამხ. **წერეთლის** მოხსენება სვანეთის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.

—სვანეთი,—ამბობს მომხსენებელი,—მდიდარია თავისი ტყეებით, რომელთა საერთო სივრცე უდრის 115.000 დესიატინას; აქედან დიდ უმეტესობას შეადგენენ წიწვიანი ტყეები, ფოთლოვან ტყეებს კი უჭირავს საერთო სივრცის 25—30 პროც.

მეთვალყურეობა ტყეებზე სუსტია, ზოგან სულ არ არიან ტყის მცველები.

სვანეთის ტყეებს დიდ ზიანს აყენებენ თხები, რომლებიც აფუჭებენ ახალგაზრდა ხეებს; ამას გარდა ტყეების მოვლა გაძნელებულია იმის გამო, რომ სვანები მიჩვეული არ არიან ტყეებისადმი ფრთხილად მოპყრობას. სვანეთში ხშირია ტყეების ხანძარიც.

სამიწათმომწყობო მუშაობა სვანეთში არ არის დაწყებული. მოგვარებული არ არის საძოვრების საკითხიც.

მეოთხე სხდომა

6 აპრილის საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა აჭარისტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. **კეკელიძის** მოხსენება აჭარისტანის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აჭარისტანში 61.000 დეს. უვარგისი მიწებია და გლეხობა განიცდის მიწის სივიწროვეს. თვითეულ გლეხის მეურნეობაზე მოდის 2 დეს. ნაკლები მიწა. მიწის ფონდის გადიდების მიზნით, ამჟამად სწარმოებს სახალხო მამულების მიწების ნაწილის გადაცემა გლეხებზე.

მიწის მოწყობის საქმე ვერ არის სათანადოთ მოგვარებული, რადგან მიწის მზომელთა რიცხვის და თანხების სიმცირის გამო სამიწათმომწყობო მუშაობა ნელის ტემპით მიმდინარეობს. ტყეებით აჭარისტანი მდიდარია; იქ არის 130.000 დეს. ტყე, მაგრამ არ არიან სათანადოთ დაცული. ტყის დარაჯების რიცხვი ისე მცირეა, რომ თვითეულ დარაჯზე მოდის 4 ათასი დეს. მეტი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები

ამხ. დ. გედევანიშვილის მოხსენება

სოფლის მეურნეობას უდიდესი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკონომიკაში; იგი 100 მილიონის ღირებულების პროდუქციას იძლევა სახალხო მეურნეობის ბალანსში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება ორ პირობასთან უნდა იყვეს დაკავშირებული. ერთი მხრივ უნდა გამოყენებული იქნეს მისი ბუნებრივი-კლიმატიური პირობები და გავრცელდეს ისეთი ძვირფასი კულტურები, რომელთა მოყვანაც უპირატესობას აძლევს საქართველოს სოფლის მეურნეობას კულტურების ამორჩევაში: ბამბა, ჩაი, სუბტროპიკული მცენარეები, თამბაქო და სხვა.

მეორეს მხრივ ანგარიში უნდა გაეწიოს საქართველოს ეკონომიურ პირობებს—მიწა-წყლის სიმცირეს, ზოგი რაიონების დაშორებას ბაზრებიდან და უგზოობას და მიეცეს სტიმული საკვებავ პროდუქტების მომარაგებას ხალხისათვის და საქონლისათვის.

მომავალი მეურნეობის სტრუქტურა უნდა აკმაყოფილებდეს ორ მოთხოვნილებას: 1) ჩვენი მეურნეობისათვის საჭირო პროდუქციის შექმნა და 2) საბაზრო პროდუქტების დამზადებაც, რომ მეურნეობაში საჭირო მასალა-იარაღის შესაძენი თანხები თვით მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან იქნეს მიღებული.

ამ მიზნით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი პროდუქტების დამზადებას, რომელთა გატანაც შესაძლოა საკავშირო და უცხოეთის ბაზარზე (მატყლი, აბრეშუმი, ჩაი, მანდარინები, ბამბა, თამბაქო და სხვა).

რომ საბაზრო საქონელს მეტი ღირებულება ჰქონდეს ბაზარზე—საჭიროა მისი ღირსების გაუმჯობესება (ყველი, კარაქი) და წინასწარი დამუშავება ნედლი მასალისა (მატყლის გარეცხვა, ბამბის გაწმენდა, ღვინის დამუშავება, აბრეშუმის მაფის ამოღება და სხვა).

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს არსებულ საცდელ დაწესებულებათა სათანადო სიმაღლეზე დაყენებას და ახალ სამეცნიერო დაწესებულებების გახსნას იმ დარგში, რომელშიაც ასეთები არა გვაქვს (მეხილეობა, მესაქონლეობა და სხვა).

საცდელ დაწესებულებათა მიღწევანი განხორციელებული და გამოყენებული უნდა იქნეს აგროდახმარების პერსონალის საშუალებით, რომელთა მოღვაწეობის მთავარ საგანს უნდა შეადგენდეს გლეხკაცის მეურნეობის ორგანიზაცია და განვითარება.

ყველა დასახული მიზნების მისაღწევად შეკავშირებული და ერთსულოვანი მუშაობა უნდა აწარმოონ სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე ყველა ორგანიზაციებმა (მიწათმოქმედების კომისარიატმა, კოოპერაციის ცენტრებმა. ადგილობრივ მომუშავე საადგილ-მამულო განყოფილებებმა, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დაწესებულებებმა) მიწათ. მოწყობის, სატყეო დარგის, ვეტერინარიისა, აგრონომიის და მელიორაციის სპეციალისტებმა, რადგან მათი მიზანია—საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება.

დასასრულ ამხ. დ. გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ აგრონომიული პერსონალის მხრივ ჩვენ კარგ პირობებში ვიმყოფებით, რადგან ჩვენი ახალგაზრდობა ცოდნას იძენს ადგილობრივ სოფლის მეურნეობის ყველა დარგებში პრაქტიკული მუშაობის დროს, წინეთ კი ჩვენი ახალგაზრდობა იძულებული იყო ცოდნა მიეღო რუსეთში, სადაც არ არის სასოფლო-მეურნეობის მთელი რიგი ის დარგები, რომლებიც საქართველოში გვაქვს.

კამათი

ამხ. გედევანიშვილის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში პირველი სიტყვით გამოვიდა ამხ. **გეგეჭკორი**.

ამხ. გეგეჭკორის სიტყვა

ამხ. გეგეჭკორმა აღნიშნა, რომ მომხსენებელი თითქოს საფრთხეს ხედავს შემოსავლიან კულტურების განვითარებაში, რადგან ამ კულტურების პროდუქცია საექსპორტო საგანს შეადგენს. ეს შემცდარი აზრია. თუკი ჩვენ საშუალება გვექნება განვავითაროთ ესა თუ ის კულტურა, უკან არ უნდა დავიხიოთ ამის წინაშე, მაგრამ ამავე დროს უნდა შევქმნათ ისეთი წარმოებები, რომ ჩვენი ნედლეულობა აქვე გადავამუშაოთ.

აქ ამხ. გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ აგრონომიული პერსონალის მხრივ ჩვენ კარგ პირობებში ვიმყოფებით რადგან წინეთ ჩვენი აგრონომები რუსეთში ღებულობდენ ცოდნას, სადაც არ არის სასოფლო-მეურნეობის მთელი ის დარგები, რომლებიც საქართველოში გვაქვს, ეხლა კი ახალგაზრდობა იძენს ცოდნას ადგილობრივ სოფლის მეურნეობის ყველა დარგებში პრაქტიკულ მუშაობის დროს და ამით უფრო ახლო ეცნობა ადგილობრივ პირობებს. ჩვენ ვიცით, რომ ძველი სკოლა უფრო მოურავებს და „ჩინოვნიკებს“ გვიმზადებდა, მაგრამ გულახდილათ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ბევრი მუშაობა დაგვჭირდება მომავალში, რომ მართლაც გავიგოთ ჩვენი სოფლის ვითარება. განა ჩვენ ეხლა ვიცნობთ სოფლის მეურნეობას საქართველოში? არა, არ ვიცნობთ. ამის დამამტკიცებელია მრავალი ფაქტები ჩვენი ყოველდღიურ მუშაობიდან.

ავიღოთ მაგალითად შემდეგი ფაქტი. სენაკის და ზუგდიდის მაზრებში გაწეული იქნა აგიტაცია, რომ გლეხობას ხელი მოეკიდა ვენახების გაშენებისათვის. ამ აგიტაციამ გასჭრა და ორივე მაზრაში 1.100 დესეტინა მიწა გადაბრუნებული იქნა ვაზის ნერგების მოლოდინში. ჩვენ წარმოგვიდგინეს ამ ნერგების მოთხოვნილება და რა გამოირკვა—გამოირკვა, რომ ჩვენ არ გვაქვს ისეთი ჯიშები ვაზის ნერგებისა, რომლებიც გამოსადეგი იქნება აღნიშნულ მაზრებისათვის. იქ არიან აგრონომები, ისინი ხელმძღვანელობდენ გლეხობის მიერ დაწყებულ მუშაობას, მაგრამ ისინი იმდენათ არ იცნობენ ადგილობრივ პირობებს, რომ ვერ გაითვალისწინეს ეს გარემოება.

თავის სიტყვის შემდეგ ნაწილში ამხ. გეგეჭკორმა საქმიანი კრიტიკა გაუკეთა მომხსენებლის მიერ წამოყენებულ სხვა დებულებებსაც.

ამხ. კეჩხუაშვილი

აღნიშნავს, რომ მემინდვრეობა სხვა კულტურებთან შედარებით ნაკლებ მომგებიანია, ამიტომ არ შეიძლება მემინდვრეობა ჩვენი სოფლის მეურნეობის მთავარ დარგათ იქნეს მიჩნეული. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გლეხების შეკავშირებას, რადგან ცალკე გლეხებს არ შეუძლიათ შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო იარაღები, გაერთიანებული გლეხობა კი ადვილად მოახერხებს გაუმჯობესებული მანქანების შეძენას.

ამხ. ნადარეიშვილი

აღნიშნავს, რომ ამჟამად სასოფლო-მეურნეობაში უმთავრესი მნიშვნელობა ეძლევა სამიწათ-მომწყობო მუშაობას, მაგრამ პარალელურად საჭიროა გაძლიერებული იქნეს აგრონომების მუშაობაც. ამ ორი დარგის მუშაკების გაერთიანებული ღონისძიებები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ჩვენს მეურნეობას.

ამხ. ლომაური

ეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი დარგი უნდა იქნეს მიჩნეული ჩვენი სოფლის მეურნეობის ფუძეთ და აღნიშნავს, რომ ჩვენს პირობებში სოფლის მეურნეობის ყველა დარგებიდან მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მემინდვრეობას.

ამხ. ადიკაშვილი

ეხება თესლის გამოცდის საკითხს და აღნიშნავს, რომ ეს საქმე სათანადო ნიადაგზე უნდა იქნეს დაყენებული. აუცილებლად თვითეული რაიონისათვის შერჩეული იქნეს გამოსადეგი თესლი და გავრცელებული იქნეს იგი გლეხობაში.

ეკონომიური ცხოვრება

ა.-კ. ფინსახკომში

სააგიტაციო კამპანიის ჩატარება

ამ დღეებში ა.-კ. ფინსახკომი შეუდგება საგიტაციო კამპანიის ჩატარებას თბილისში მეორე საგლეხო და მეორე 6 პროცენტიანი მომგებიანი სესხების ტირაჟის შესახებ.

კამპანია ჩატარებული იქნება ყველა მუშათა კლუბებში, სადაც გაკეთებული იქნება მოხსენებები სახელმწიფო სესხის მნიშვნელობისა და როლის შესახებ. ანტრაქტების დროს გამოვლენ საქართველოს პროფსაბჭოს ქართული და რუსული კოლექტივების მსახიობები და ნაჩვენები იქნება აგრეთვე საგიტაციო სურათები სახელმწიფო სესხის შესახებ.

იქვე მოწყობილი იქნება სახელმწიფო სესხის ობლიგაციების გაყიდვა, როგორც ნაღდ ფულზე, ისე ნისიად ჯამაგირის ანგარიშში.

განზრახულია საგიტაციო კამპანია ჩატარებულ იქნეს შემდეგ პუნქტებში: მუშათა ცენტრალური კლუბი, მუშათა ახალი კლუბი, პლეხანოვის სახელობის კლუბი, ტრამვაის კლუბი, ავლაბრის კლუბი, ორჯონიკიძის სახელობის კლუბი (მუშტაიდი), ლენინის სახელობის კლუბი, ხეზე მომუშავეთა კავშირის კლუბი, მუშკოოპის წითელი კუთხე და ზაჰესი.

მეორე სახელმწიფო სესხის ტირაჟი

მიმდინარე წლის 15 მარტს დაიწყო მე-2-ე სახელმწიფო ექვს პროცენტიანი მომგებიანი სესხის მეოთხე ნაწილის განაღდება, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს.

ასე, მაგალითად, მოსკოვში 15-დან 23 მარტმდე განაღდებულია 6.236.9 ასი მანეთის ობლიგაციები; ამასთანავე ნაღდ ფულად გაცემულია მხოლოდ 508.850 მანეთი, ე. ი. 9,8 პროცენტი.: დანარჩენი თანხა—5.628.050 მანეთის (ე. ი. 91, 2 პროც.) ობლიგაციები გადაცვლილია მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციებზე.

ობლიგაციების გადაცვლის ოპერაციების გაცხოველებას ადგილი აქვს აგრეთვე თბილისში.

ტირაჟში გასულ ობლიგაციების განაღდება და მათი გადაცვლა მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციებზე სწარმოებს ა.-კ. ფინსახკომის ყველა საკრედიტო დაწესებულებებში და სალაროებში.

რამდენ ხორცს სჭამს თბილისი

22-დან 31 მარტამდე თბილისის ბაზარზე გარიგებებით გაყიდულ იქნა 752 ხარი, ძროხა და კამეჩი ღირებული 121.840 მანეთად, 3.482 ცხვარი და 72 ღორი.

ამ ხნის განმავლობაში მორეკილ იქნა ბაზარზე: 849 ძროხა და ხარი, 247 კამეჩი, 996 ცხვარი, 408 ბატკანი და 393 ღორი.

ფასები საკლავ საქონელზე ასეთია: ჩრდილო-კავკასიის საქონელი საშუალო სიმსუქნის ფასობს 6 მ. 80 კ.—7 მ. 30 კაპ. ფუთი (ცოცხალი წონა), ყარსის საქონელი საშუალო და უმაღლეს სიმსუქნისა—6 მ.—6 მ. 80 კ. ფუთი და ადგილობრივი საქონელი საშუალო და უმაღლესი სიმსუქნისა—4 მ. 50 კ.—5 მ. 50 კ.

აღნიშნულ პერიოდში თბილისის ბაზარზე გასაღებულ იქნა 764 ძროხა და ხარი, 216 კამეჩი, 11.844 ფუთი 33 გირ. ხორცი) და 788 ცხვარი, 429 ბატკანი და 449 ღორი (3.254 ფუთი და 12 გირ. ხორცი).

საკრედიტო ამხანაგობები

ჩოხატაურის საკრედიტო ამხანაგობა

ოზურგეთში შესდგა ჩოხატაურის საკრედიტო ამხანაგობის წლიური კრება. საფინანსო ანგარიშებიდან გამოირკვა, რომ გასულ წელს ამხანაგობის საერთო ბრუნვა ყველა ოპერაციების მიხედვით უდრიდა 183.510 მანეთს.

ამხანაგობა აძლევდა სესხს გლეხობას ცოცხალი მუშა-საქონლის და მკვდარი ინვენტარის შესაძენად, მეთამბაქოობის განსავითარებლად, მებაღეობის კულტურის გასაუმჯობესებლად, სამეურნეო მშენებლობისათვის და სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ჩოხატაურის საკრედიტო ამხანაგობა აწარმოებდა აგრეთვე გლეხური ნაწარმოების მთავარი პროდუქტების: თხილის, თამბაქოს და აბრეშუმის პარკის დასამზადებელ კამპანიას.

მარტვილის საკრედიტო ამხანაგობა

მარტვილის საკრედიტო ამხანაგობას,—მისი დაფუძნების დროს, ჰყავდა 55 წევრი. ამჟამად წევრთა რაოდენობა 500-მდე აღწევს. გამგეობის აქტივი 16.139,5 მანეთს უდრის. ამხანაგობა გლეხობას სესხს აძლევს სასოფლო - სამეურნეო იარაღების შესაძენად და სხვა სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

საკრედიტო ამხანაგობის თანხები წევრთა რაოდენობასთან შედარებით საგრძნობლად ნაკლებია. ამ მიზეზის გამო ამხანაგობამ ვერ შესძლო ყველა წევრების სესხით დაკმაყოფილება. მაგ. 146 წევრს დღემდე სესხი არ მიუღია. საერთოდ გამგეობა და სარევიზიო კომისია ვერ იჩენს საკმაო სიფხიზლეს. სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დასამზადებელი ოპერაციები გამგეობას არ უწარმოებია. არც სასოფლო - სამეურნეო იარაღები შეუძენია გლეხებისათვის დასარიგებლად.

სარევიზიო კომისია სრულ უმოქმედობას იჩენს: ერთხელაც არ მოუხდენია გამგეობის მუშაობის რევიზია. ამხანაგობის წევრთა საერთო კრება მოწვეულ იქნა მხოლოდ ერთხელ და მას შემდეგ წევრებმა არ იციან გამ-

ამინდი ამიერ-კავკასიაში

ბაკურიანში

თოვა დაიწყო 3 აპრილს საღამოს და გუშინდლამდე განუწყვეტლივ თოვდა.

თოვის დაწყებამდე უკვე იდვა ნახევარი არშინი თოვლი, ეხლა კი მისი **სიღრმე არშინ ½-ს უდრის.**

ხულოში

ხულოს მაზრაში 5 აპრილს ღამით დაიწყო საშინელი ქარ-ბუქი. თოვლის სიმაღლე 1 მეტრს აღწევს. მთის ბილიკებზე გავლა შეუძლებელია.

ქარბუქი რკინის გზებზე

გუშინ ა.-კ. რკ.-გზ. სალიანდაგო დარგის დავალებით ინჟ. **ზავრიევი** ტელეფონით ესაუბრა ლენინაკანის უბნის სალიანდაგო დარგის უფროსს ა.-კ. რკ.-გზ. სომხეთის ხაზზე ამინდის მდგომარეობის შესახებ.

როგორც საუბრიდან ჩანს ხაზზე თოვა დაუწყია 3 აპრილს ღამით, 4 აპრილს დილით ამოვარდნილა ქარიშხალი. მაგრამ 5 აპრილამდე ნამქრები არ ყოფილა.

აქა-იქ ამჟამად თოვლის სისქე აღწევს 1 მეტრს. წინა დღეებში ყინვა ადიოდა 5 გრადუსამდე, გუშინ კი 0,5 გრადუსამდე დავიდა. დაწყებული 5 აპრილის 8 საათიდან 6 აპრილის 11 საათამდე განუწყვეტლივ მუშაობდენ თოვლწმენდები ორთაკალა-კალთახჩის შუა და 6 აპრილს 11 საათზე ისინი გაიგზავნენ ალაგეზისაკენ. ამავე დროს გუშინ ჯაჯურისაკენ გაიგზავნა თოვლის მრღვევი გუთანი.

სალიანდაგო დარგის მე-16-ე უბნის უფროსის სიტყვით, ამჟამად შეუძლებელია იმის თქმა, თუ როდის მორჩებიან მუშაობას თოვლწმენდები, რადგან ეს სავსებით დამოკიდებულია ქარის ჩადგომაზე, რომელიც ამჟამად ისევ მძვინვარებს.

ქარბუქისა და მის მიერ გამოწვეულ ნამქრების გამო 5 აპრილს მატ. № 12 დაკავებულ იქნა 30 წუთით, 6 აპრილს მატ. № 4 სადგ. კალთახჩში—4 საათით და 30 წუთით, მატ. №3 ამალი-ნალბანდის შუა 2 საათით და 28 წუთით, რომელიც კიდევ იქნა დაკავებული ლენინაკანში 3 საათ. და 15 წუთ. ასე, რომ მატ. № 3 6 აპრილს დაიგვიანა 6 საათით.

ზაჰესი

თბილისის ალმასკომის უკანასკნელმა პლენუმმა მიიღო შემდეგი დადგენილება ელექტრო-ენერგიის კერძო მომხმარებელთა და წარმოებათა ზაჰესის ენერგიაზე გადაყვანის შესახებ. ამ დადგენილების თანახმად:

1) ბინების ყველა არსებული შიდა ელ-სადენები შეერთებული უნდა იქნენ ზაჰესის ქსელთან, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემსუბუქებულ ნორმებს, რომელიც გამომუშავებულია მე-8-ე ელექტრო-ტეხნიკურ ყრილობის მიერ და, რომელიც სავალდებულოდ არის გამოცხადებული საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატისაგან მთელს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

2) ამავე დადგენილებით,—ევალებათ „ელგან“-სა და „ემს“-ს შეიმუშაონ წესები აღნიშნულ ნორმების ცხოვრებაში გასატარებლად.

3) ვინაიდან ზაჰესის ელდენზე გადასასვლელად მიიღეს ზომები მხოლოდ ზოგიერთმა დაწესებულებებმა (ე. ი. რკინის-გზის თბილისის კვანძმა და ტრამვაიმ), ხოლო თბილისში მყოფ სხვა დაწესებულებებს და ორგანოებს ჯერ-ჯერობით ამ დარგში არაფერი გაუკეთებიათ, ალმასკომმა დაადგინა—აღძრას საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა, რომ გამოცემული იქნეს სათანადო განკარგულება ხსენებულ დაწესებულებათა მიერ სამზადისის დაწყების შესახებ ზაჰესის ენერგიაზე გადასასვლელად.

4) ალმასკომის დადგენილებით შემუშავებული უნდა იქნეს ტიპიური ნორმალური ხელშეკრულების პროექტი აბონენტებისა და დიდძალოვან დაყენებისათვის.

მიღებული უნდა იქნეს აგრეთვე სასწრაფო ზომები ბაზრის იმ მანქანებით და ელექტრო-მექანიკურ მოწყობილობით უზრუნველსაყოფად, რომელიც საჭიროა მომხმარებელთა ზაჰესის ენერგიაზე გადასაყვანად.

ა/კ. მეაბრეშუმეთა ყრილობა

მეოთხე და მეხუთე სხდომა

5 აპრილის დილის და საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა მოხსენებები: ამხ. **გორბაჩოვის**—აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობის შესახებ, ამხ. **ივანოვის**—აბრეშუმის თესლის ნაადრევად გაცოცხლების შესახებ და **ქუთათელაძის**—მეაბრეშუმეობის დარგში საინსტრუქტორო მუშაობის შესახებ.

ამხ. **გორბაჩოვმა** აღნიშნა, რომ ჩვენში სათანადო ყურადღება არ ექცევა ჭიის ავადმყოფობის შესწავლას. ასეთივე მდგომარეობაა სხვა ქვეყნებშიაც, გარდა იაპონიისა, სადაც ეს საქმე შედარებით უკეთესად არის დაყენებული.

ყრილობამ დაადგინა მოგვარებული იქნეს ეს საქმე საქართველოში, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს იაპონელ მეაბრეშუმეების მიერ ამ დარგში მიღწეული შედეგები.

ამხ. **ივანოვმა** აცნობა ყრილობას, რომ შარშან ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: თბილისის საბრეშუმო სადგურზე მიტანილი იქნა აბრეშუმის ჭიის თესლი, რომელიც ნაადრევად გაცოცხლდა. ასეთი თესლი სადგურმა დაიწუნა და გასასყიდათ არ გაუშვა.

ყრილობამ მოიწონა სადგურის ასეთი მოქმედება და საჭიროდ სცნო, რომ შემდეგშიაც არ იქნეს გაშვებული ბაზარზე აბრეშუმის ჭიის ასეთი თესლი.

ამხ. ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ საქართველოში თვითეულ საბრეშუმო რაიონზე მოდის ერთი ინსტრუქტორი, აზერბეიჯანში—ერთი ინსტრუქტორი მოდის ორ-სამ მაზრაზე, სომხეთში კი არის სულ 5 ინსტრუქტორი; ინსტრუქტორთა ასეთი რაოდენობა მეტად მცირეა და ის ვერ დააკმაყოფილებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მეაბრეშუმეთა საჭიროებას.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მეაბრეშუმეობის ინსტრუქტორების ხელფასი სხვა დარგის აგრონომიულ პერსონალთან შედარებით მცირეა, იმ დროს, როდესაც მათი მუშაობა უფრო მძიმეა.

ყრილობამ საჭიროთ სცნო გადიდებული იქნეს მეაბრეშუმეობის ინსტრუქტორთა რიცხვი და ამასთანავე შემოღებული იქნეს აბრეშუმის თესლის დამამზადებელ მსხვილ დაწესებულებებთან ინსტრუქტორთა ინსტიტუტი, რომ ინსტრუქტორებმა თვალ-ყური ადევნონ აბრეშუმის თესლის დამზადებას: ამავე დროს მიღებული უნდა იქნეს ზომები ინსტრუქტორთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სამკურნალო დაწესებულებები დაზღვეულთათვის

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების დაზღვეულთა სამკურნალო ქ.-განყოფილების გამგე ამხ. **ჯ. ხუტულაშვილმა** სამკურნალო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

უკვე გაიხსნა ტუბერკულოზის დისპანსერი ელისაბედის ქუჩაზე, ე. ი. იმ რაიონში, სადაც სალითონო და თამბაქოს საწარმოო დაწესებულებანი მუშაობენ.

დღეს, 7 აპრილს იხსნება კბილის სამკურნალო პოლიკლინიკა შუა ბაზრის რაიონში. პოლიკლინიკაში იქნება სპეციალური საბავშვო კაბინეტი.

ამჟამად სწარმოებს მუშაობა სამკურნალო ქსელის გასაფართოებლად; სახელდობრ ტალახით სამკურნალოს გასაფართოებლად, სადაც ამჟამად ეწყობა დასასვენებელი,—მოსაცდელი შენობა, ოფლის მოსადენი განყოფილება, ლაბორატორია და ამბულატორია. გარდა ამისა, ტალახის სამკურნალოსთან კეთდება საორთქლე, სამრეცხველო და საშრობი განყოფილება. ყველა ეს სამუშაოები დამთავრდება 15-20 აპრილისათვის.

უყურადღებოთ არ არის დატოვებული დედობისა და ბავშთა დაცვის საქმე, რომელიც უკანასკნელ დრომდე საქართველოში ჩამორჩენილი იყო. განყოფილება ფიქრობს ეს საქმეც წინ წასწიოს და ამ მიზნით აფართოებს დედობისა და ბავშთა დაცვის ორგანიზაციებს. მოკლე ხანში ორთაჭალაში გაიხსნება საბავშვო ბაგა მეტყავეებისათვის. პირველ რაიონში გაიხსნება კონსულტაცია ბავშვებისათვის. ამჟამად ქ.-განყოფილების მორიგ ამოცანას წარმოადგენს ბავშთა [illegible] ნაირი კვების საკითხის მოგვარება ბაგებში.

შემდეგ ამხ. ჯავაირა შეეხო რა დაზღვეულთათვის მედიკამენტების მიწოდების საქმეს, განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ წამლები ავადმყოფებს ეძლევათ ყველა აფთიაქებიდან უფრო მეტი სიჩქარით, ვიდრე წინად იყო, მაინც ქ.-განყოფილება საჭიროთ სთვლის მედიკამენტების მიწოდების საქმის მეტ მექანიზაციას, ე. ი. ყოველგვარი სამკურნალო ფხვნილების უკვე გამზადებულ ტაბლეტების სახით მიწოდებას. დასასრულ ამხ. ჯავაირამ ხაზი გაუსვა იმ დახმარებას, რომელიც ამ საქმეში აღმოუჩინა დამზღვევმა სალარომ ქ.-განყოფილებას.

ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტი და კბილის პოლიკლინიკა—უმთავრესად მოწყობილი იქნა დამზღვევი სალაროს თანხებით.

ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

ხე-ტყის ექსპორტის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაამთავრა სატყეო მასალის ექსპორტის საქმის გამოკვლევა. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ამიერ-კავკასიაში არ არის სატყეო მასალის ექსპორტის სპეციალური აპარატი; ამასთანავე გამოირკვა, რომ ხე-ტყის გატანას საზღვარ-გარეთ აწარმოებს უმთავრესად ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო და, ნაწილობრივ, საქციო საზოგადოება „რუსსოტიურკი“.

საექსპორტო ხე-ტყის დამზადება სწარმოებს, როგორც კერძო პირების, ისე ადგილობრივი დამამზადებელი ორგანიზაციების საშუალებით: დამზადებული მასალას საზღვარ-გარედ გააქვს და ყიდის ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ზოგიერთ საექსპორტო მასალების (მაგალითად, კაკლის ბოძები) დამზადებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კერძო პირები.

ამასთანავე, გამოკვლევის პროცესში გამოირკვა, რომ სატყეო მასალების დამზადების დროს ურთიერთობა ტრესტებსა და მიწ. მოქმედების სახ. კომისარიატებს შორის ყოველთვის მოწესრიგებული არ არის სათანადო ხელშეკრულებებით. თვითონ ტრესტები საოპერაციო პერიოდის განმავლობაში მუშაობდენ რეალურ საწარმოო გეგმის გარეშე.

ამას გარდა აღნიშნულია, რომ ზოგიერთი ტრესტები ხე-ტყის მასალის სამეურნეო წესით დამზადებასთან ერთად ეწევიან საექსპორტო მასალების დამზადებას საიჯარო წესითაც, რომელსაც ხშირად უარყოფითი მხარეები აქვს: მაგალითად, მოიჯარადრის მიერ ვალდებულების თავის დროზე არ შესრულება, ავანსების დაკარგვა და სხვა.

გამოკვლევის მასალების გაცნობის შემდეგ ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ საჭიროდ სცნო გატარებულ იქნეს ცხოვრებაში მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ხე-ტყის ექსპორტის საქმის მოგვარებას და განვითარებას.

ამასთანავე მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, რომ ურთიერთობა მიწ. მოქმედების სახალხო კომისარიატებსა და სატყეო ტრესტებს შორის მოწესრიგებული იქნეს სათანადო ხელშეკრულებებით. კოლეგიამ აუცილებლად სცნო აგრეთვე რომ ტრესტებმა საოპერაციო პერიოდის დასაწყისისათვის იქონიონ სათანადოთ დასაბუთებული რეალური საწარმოო პროგრამა.

საბჭოთა საქართველო

გურიის სამაზრო საბჭოთა ყრილობა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ოზურგეთი, 5 აპრილი. ოთხ აპრილს ოზურგეთში ამხ. **რამიშვილის** თავმჯდომარეობით გაიხსნა საბჭოთა მეოთხე სამაზრო ყრილობა. პრეზიდიუმში არჩეული არიან ამხ. **კახიანი, ხომერიკი, ლეჟავა, მემედ გოგიბერიძე, აბრიბა, რამიშვილი, ცინცაძე, გურგენიძე** და სხვები. საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეული არიან ამხ. **სტალინი, კალინინი, რიკოვი, ზინოვიევი, ტროცკი, ბუხარინი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, ცხაკაია, მახარაძე, ელიავა, ორახელაშვილი, ოკუჯავა, ქართველიშვილი.**

მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა ამხ. კალინინს, ორჯონიკიძეს, ცხაკაიას, მახარაძეს, ორახელაშვილს, ელიავას და საქ. კომპარტიის ცეკას.

სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები

ქუთაისი, 6 აპრილი. ამჟამად ქუთაისის მაზრაში ითვლება 10 სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა 3.916 წევრით.

წარსულ საოპერაციო წელს ამხანაგობებმა დაამზადეს საგლეხო პროდუქციები, როგორც მაგალითად: თხილი, ღვინო, ბამბა, სიმინდი და კვერცხი; შეიძინეს გლეხობისათვის მისაწოდებლად ვერმორელის აპარატები, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები და სხვ.

ეს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები სავაჭრო საშუამავლო ოპერაციებს გარდა აწარმოებდენ კულტურულ მუშაობას ლექციების და მოხსენებების მოწყობის მიზნით და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გავრცელებით.

მანუფაქტურა გლეხობისათვის

ქუთაისი, 6 აპრილი. **ქუთაისის ბამბის საწმენდი ქარხნის და სამტრედიის ბამბის შემსყიდველი პუნქტის მისამართზე მიღებულია 1 ვაგონი მანუფაქტურა მებამბე-გლეხებისათვის დასარიგებლად.**

მიმდინარე წლის მარტის განმავლობაში ცეკავშირის ქუთაისის განყოფილებამ კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის განაწილა 75.000 მანეთის სხვადასხვა მანუფაქტურა.

ჭურჭლეულობა

ქუთაისი, 6 აპრილი. ცეკავშირის ქუთაისის განყოფილებამ მიიღო 1 ვაგონი ჭურჭლეულობა.

ჭურჭლეულობა განაწილებულ იქნება კოოპერატიულ ორგანიზაციების შორის.

საგაზაფხულო მუშაობა

გორი, 6 აპრილი. გორის მაზრის გლეხობა უკვე შეუდგა საგაზაფხულო მუშაობას.

საღამოს პარტსკოლა

ფოთი, 6 აპრილი. გაიხსნა საღამოს პარტსკოლა პარტიის მუშათა აქტივის მარქსისტულად მომზადებისათვის.

სკოლას ეყოლება 25 მსმენელი.

მარგანეცის ექსპორტი

ფოთი, 6 აპრილი. მარსელში წავიდა საფრანგეთის გემები „ტადლა“ და „იმერეთი“, რომლებმაც წაიღეს 900 ტონა მარგანეცი.

კონტრაბანდის დაჭერა

ოზურგეთი, 6 აპრილი. აგარაკ ბახმაროს მახლობლად მილიციამ აღმოაჩინა კონტრაბანდისტების ჯგუფი 5 კაცისაგან შემდგარი; მათ შორის სამმა მოასწრო გაქცევა, 2 დატუსაღებულია და მოთავსებულია ციხეში.

კონტრაბანდისტებს ჩამოართვეს 357 მეტრი შევიოტი და 51 დიუჟინი ჩულქი.

აჭარისტანი

თესლეული

ბათომი, 6 აპრილი. მომავალ თესვის კამპანიის მოახლოების გამო საკრედიტო-კოოპერატიულმა ამხანაგობამ განაწილა გლეხებს შორის 2.000 ფუთი სიმინდის თესლი.

ტყეების ექსპლოატაცია

ბათომი, 6 აპრილი. აჭარისტანის ტყეების სამმართველო შეუდგა ხე-ტყის დამუშავებას ქობულეთის მაზრაში. ამ რაიონში ბევრია ძვირფასი ჯიშის ხეები საზღვარ-გარეთ გასატანად.

ნავთის შესანახავ ქვაბების რემონტი

ბათომი, 6 აპრილი. ნავთის სინდიკატმა დაამთავრა 12 ქვაბის შეკეთება. შეკეთებას დასჭირდა დაახლოებით 200.000 მანეთი.

კოოპერატიული ქსელის გაფართოება

ბათომი, 6 აპრილი. აჭარისტანის ცეკავშირმა გადასდო 10.000 მანეთი ახალ კოოპერატივების გასახსნელად აჭარისტანში.

ბათომის ნავთსადგურში

ბათომი, 6 აპრილი. 5 აპრილს მარსელიდან მოვიდა გემი „იმერეთი“. მოვიდა აგრეთვე გერმანიის გემი „დალდენი“, რომელიც წაიღებს ნავთის პროდუქტებს.

კულტურულ ფრონტზე

ბათომი, 6 აპრილი. წარსულ სამეურნეო წელს სახალხო განათლებაზე აჭარისტანში დაიხარჯა 530.000 მანეთი.

აჭარელი პედაგოგები

ბათომი, 6 აპრილი. ამ დღეებში შესდგა აჭარისტანის პედაგოგიური ინსტიტუტის კურს დამთავრებულთა მორიგი გამოშვება. გამოშვებულ იქნება 50 აჭარელი პედაგოგი.

საბჭოთა სამაზრო ყრილობაზე

(წერილი შორაპნის მაზრიდან)

26 მარტს, დღის 1-ლ საათზე, ჭიათურის ცენტრალური მუშათა კლუბის დარბაზში გაიხსნა შორაპნის მაზრის მე-4-ე საბჭოთა ყრილობა.

ყრილობას ხსნის მოკლე მისასალმებელი სიტყვით ამხ. **მ. ნიორაძე.**

ყრილობამ საქმიან პრეზიდიუმში აირჩია 31 კაცი, სამდივნოში 3, სამანდატო კომისიაში 5. ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ ამხანაგები: **სტალინი, რიკოვი, კალინინი, ტროცკი, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ელიავა, მახარაძე ფ., ცხაკაია, ქართველიშვილი და ოკუჯავა მ.**

რეგლამენტის მიღებისა და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ს. ს. ს. რესპ. მთავრობის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. **ა. დოლიძე**, რომლის გამოსვლას ყრილობა მქუხარე ტაშით ხვდება.

მომხსენებელი მთავრობის სახელით მოკლეთ მიესალმა ყრილობას და შემდეგ თავის ვრცელ მოხსენებაში შეეხო მთავრობის მუშაობას კულტ-საგანმანათლებლო სამეურნეო და აღმშენებლო დარგში.

მოხსენების შემდეგ შემოსულ შეკითხვებზე ამხ. ა. დოლიძემ გასცა ამომწურავი და დამაკმაყოფილებელი პასუხი.

შემდეგ მთავრობის მუშაობის გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მთელმა რიგმა დელეგატებმა.

ამხ. დოლიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ, ყრილობამ მთავრობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და მიიღო შემდეგი დადგენილება:

1) ყრილობა ხაზ გასმით აღნიშნავს რა ჭიათურის სამრეწველო რაიონში მცხოვრებ გლეხობის უმწეო მდგომარეობას, დაბეჯითებით სთხოვს სახკომსაბჭოს მიიღოს საჭირო ზომები ყველა იმ გლეხების და პირველ რიგში იმ ადგილების მცხოვრებთა გადასასახლებლად „ტირიფონის ველზე“, რომლებიც დღესდღეობით შავი ქვის ექსპლოატაციის გამო, მიწების წიაღის ნგრევით ზარალს და ფიზიკურ საშიშროებას განიცდიან. ამავე დროს გლეხობას აუნაზღაუროს კონცესიონერთაგან ის ზარალი, რომელსაც ისინი ნახულობენ შავი ქვის ექსპლოატაციის გამო სანათესო ადგილების და შენობების ნგრევით.

2) ყრილობა ღებულობს რა. მხედველობაში ჭიათურის ქალაქის საავადმყოფოს დიდ მნიშვნელობას ჭიათურის სამრეწველო უბნის და ნაწილობრივ მაზრის მცხოვრებთათვის მისი უკეთ გამოყენების მიზნით, დაბეჯითებით ითხოვს ხსენებული საავადმყოფოს გამოყოფას და ადმინისტრატიულად დაკავშირებას შორაპნის მაზრის ალმასკომთან.

3) აღინიშნოს შორაპნის მაზრის ცენტრის, ზესტაფონის, ხარაგოულის და ჩხარის რაიონების მცხოვრებთათვის შეუფერებელ და მიუწვდომელ ადგილზე მდებარეობა, რის გამო ეთხოვოს სახკომსაბჭოს ყოველ მხრივ შეისწავლოს შორაპნის მაზრის ორ მაზრად გაყოფის კითხვა (მაზრა ჭიათურა-საჩხერის რაიონებისა და ცალკე მაზრა ზესტაფონის, ჩხარის და ხარაგოულის რაიონებისათვის) და დააკმაყოფილოს ამ მხრივ ყრილობის და მაზრის მცხოვრებთა მოთხოვნილება. საჭირო ხარჯები გათვალისწინებული იქნეს 1926-27 სამეურნეო წლის სახელმწიფო ბიუჯეტში.

4) მასვე ეთხოვოს მიიღოს ზომები კონცესიონერების მიმართ ჭიათურის სამრეწველო რაიონში არსებული შავი ქვის სარეცხი წყლების და მდ. „ყვირილა“-ს სისუფთავის დასაცავად შავი ქვის ნალექისაგან.

5) საჭირო [illegible] სამაზრო შრომის ინსპექციის მუშაობის გასაძლიერებლად, როგორც შრომის ინსპექტორის შტატის გადიდებით ისე უკანასკნელის შერჩევით.

6) ეთხოვოს ცაკს და სახკომსაბჭოს აუნაზღაუროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შორაპნის სამაზრო ალმასკომს ის ზარალი, რაც უკანასკნელმა ნახა კონცესიის გაცემისა და ამით საფუთო გადასახადის სისტემატიურად აუღებლობის გამო.

სამაზრო ალმასკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **მ. ნიორაძემ**, რომელიც ვრცლად შეეხო ალმასკომის მუშაობას და აღნიშნავს მისი თითეული განყოფილების მოქმედებას საანგარიშო დროის განმავლობაში.

ყრილობამ ალმასკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იცნო და მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებები ახლად არჩეულ ალმასკომის მომავალ მუშაობაში ცხოვრებაში გასატარებლად.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა მოხსენება საპროკურორო ზედამხედველობის და სასამართლოების მუშაობის შესახებ შორაპნის მაზრაში რევკანონიერების განმტკიცების საქმეში და მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

მაზრის ბიუჯეტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ზ. აბესაძემ, რის შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა ამხ. ცუცქირიძის მოხსენება სამაზრო საარჩევნო კომისიის მუშაობის შესახებ.

სამანდატო კომისიის მოხსენების მოსმენის შემდეგ ყრილობა გადავიდა სამაზრო ალმასკომის არჩევნებზე.

ალმასკომში არჩეულ იქნა პერსონალურ კენჭის ყრით 57 წევრი და 35 კანდიდატი.

ყრილობა ორი დღე გაგრძელდა.

სამაზრო ალმასკომის პირველი პლენუმი

ყრილობის დამთავრების შემდეგ, შესდგა მაზრალმასკომის პირველი პლენუმი. ალმასკომის პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნა 7 ამხანაგი: **მ. ნიორაძე** თავმ-რეთ, **სიმ. ცუცქირიძე** მოადგილეთ, **ა. ურუშაძე, ირ. ბურჯანაძე, სერ. სიხარულიძე, ს. ჭეიშვილი** და **ნატ. ლომთათიძე.**

კანდიდატებათ: **ნიკ. ფუტკარაძე, სამ. მარგველაშვილი** და **კონსტ. ზვიადაძე.**

პლენუმმა მიიღო დადგენილება საერთო და ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებების გაუქმების შესახებ და მის გამგებლობის ქვეშ დღემდე მყოფი ქვეგანყოფილებები დატოვა მათგან დამოუკიდებელ განყოფილებებათ.

საერთოდ ყრილობის და პლენუმის მუშაობა ზედმიწევნით შინაარსიანი და საქმიანი იყო და უნდა ველოდეთ, რომ პლენუმი ყრილობის დადგენილებებს მაზრის კეთილმოწყობისათვის მთელი 100%-ით გაატარებს ცხოვრებაში.

იმედი.

მცირე განმარტება

როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობის პოლიტიკური თვითშეგნება შესამჩნევათ გაიზარდა. ამას უნდა მიეწეროს სხვათა შორის ის ფაქტი, რომ გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობა დღითი დღე ფართოვდება. ხშირათ ისეთი გლეხიც კი ჰკიდებს კალამს ხელს გაზეთისათვის წერილის გასაგზავნად, რომელსაც ჩვეულებრივი ბარათიც არ დაუწერია და წერა-კითხვა ახლად აქვს შესწავლილი.

ეს იმას მოწმობს, რომ საბჭოთა გაზეთი შეიქნა ფართე მშრომელი მასების ფენებში, მან ამ მასების სიყვარული და ნდობა დაიმსახურა. მუშა და გლეხი უზიარებს თავის გაზეთს საზოგადო ან საკუთარ ჭირ-ვარამს. საჭიროა ამიტომ გავაფანტოთ ის გაუგებრობა, რომელსაც ხშირათ აქვს ადგილი ასეთ შემთხვევაში.

სოფლის ახალი კორესპონდენტები, რომელნიც პირველად იწყებენ წერას, ერთგვარ უხერხულობას გრძნობენ. მათ მიაჩნიათ, რომ საგაზეთო წერილები უთუოდ წმინდა ლიტერატურულ, „სწავლული“ ენით უნდა იქნეს დაწერილი. გარდა ამისა ზოგიერთის აზრით გლეხკორობა რაღაც თანამდებობას წარმოადგენს. თუ არა გაქვს მოწმობა რედაქციისაგან, რომ შენ ითვლები კორესპონდენტათ, ისე გაზეთში წერილის გაგზავნა შეუძლებელია და სხვა.

ამით აიხსნება, რომ ჩვენ ხშირად მოგვდის წერილები გლეხკორებისაგან და სხვადასხვა პირებისაგან, სადაც გვეხვეწებიან განუმარტოთ: აუცილებელია თუ არა მჭერმეტყველური და წმინდა ლიტერატურული ენით წერა. ამასთანავე ამხანაგები გვთხოვენ მანდატებს და მოწმობებს მათი გლეხკორათ ჩარიცხვის შესახებ და სხვა.

ჩვენ ხშირათ ფოსტის საშუალებითაც ვპასუხობთ ასეთ ამხანაგებს და ეხლაც ვიძლევით ამ კითხვებზე პასუხს. გლეხკორი თანამდებობის პირი არ არის. ამიტომ არც რაიმე მოწმობაა საჭირო გლეხკორობისათვის. სწორი და მხატვრული ენით წერა სასურველია, **მაგრამ არა სავალდებულო.** სავალდებულოა მხოლოდ ერთი რამ, რაც შეიძლება ფრთხილი, წინდახედული მიდგომა იმ ფაქტებისადმი, რომელზედაც გლეხკორი სწერს, რაც შეიძლება კეთილსინდისიერი და მიუდგომელი გაშუქება საკითხების ადგილობრივ ცხოვრებიდან.

თუ კორესპონდენციაში ეს პირობა დაცულია და თუ წერილის აზრი რამდენადმე მაინც გასაგებია რედაქციისათვის, ასეთი კორესპონდენცია უთუოდ იქნება მოთავსებული გაზეთში. აქ ყურადღება არ ექცევა იმას, მანდატიანია გლეხკორი, თუ უმანდატო. საჭიროა მხოლოდ რედაქციამ იცოდეს კორესპონდენციის დამწერის ვინაობა და მისამართი.

ა. ბ—ლი.

მუშათა ცხოვრება

შეიძლება მუშების ასე უყურადღებოდ დატოვება?

(შრომის კომისარიატის საყურადღებოდ)

გასული წლის მაისში დაარსდა უმუშევართა კოლექტივის ტრიკოტაჟის ქარხანა „დახმარება“, სადაც თავი მოუყარეს 125 უმუშევარს. ქარხანამ იმუშავა 1926 წლის თებერვლამდე და ამ ხნის განმავლობაში უნდა ითქვას, რომ მუშების მდგომარეობა ვერ იყო სახარბიელო, ხელფასს ხან აძლევდენ თავის დროზე, ხან არა. ყოველ შემთხვევაში ხელფასი მიიღეს 15 იანვრამდე და შემდეგ კი არც ერთი კაპეიკი არ მიუღიათ.

ეხლა ქარხანა დაკეტილია და მუშები ჰაერში გამოკიდებული დარჩენ: არც ხელფასს აძლევენ და არც ლიკვიდაციას უშვებიან. ამით კი ისინი დიდ გაჭირვებაში იმყოფებიან.

საჭიროა მიაქციონ შრომის ორგანოებმა ასეთ გარემოებას ყურადღება და გამოარკვიონ გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი მუშების მდგომარეობა.

ტო.

მუშათა „დელეგატიც“ ასეთი უნდა

(მთავარ სახელოსნოების ადგილკომების და „უჩკ“-პროფსოჟის საყურადღებოდ)

ყველა კავშირის წევრებმა კარგად იციან, თუ რა მიზნით ირჩევენ დელეგატებს, ამავე დროს თვით დელეგატებმაც იციან თავიანთი მოვალეობანი. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგიერთი დელეგატები ბოროტად იყენებენ თავიანთ „ღირსებას“ და ხელს უწყობენ ადმინისტრაციას დაბალ მოსამსახურეების დაჩაგვრაში. სწორედ ასეთი დელეგატების ჯგუფს ეკუთვნის მთავარ სახელოსნოების კანტორის მოხელეების დელეგატი მოქ. ზუმბაძე.

რაში გამოიხატება მისი სიორგულე? ზუმბაძის სიორგულე იმაშია, რომ ის არ ემორჩილება პროფკავშირის დადგენილებას და ხელს უწყობს ადმინისტრაციას.

ავიღოთ უკანასკნელი მაგალითი: როცა ახლად შემდგარმა შემფასებელ-საკონფ. კომისიამ მოითხოვა ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი გაკეთებულა ტარიფიანი და რამდენი უტარიფო საგნები სახელოსნოებში და ღირებულება, როგორც ერთისა, აგრეთვე მეორესი, ჩვენმა ბუღალტერმა, მუმლაძემ, დაიხვია ხელზე ეს ზედმეტი საქმე და მოსთხოვა რკინისგზის სამმართველოს ზედმეტი გასამრჯელოსათვის 1000 მანეთამდე. მუმლაძემ ჩვეულებრივად მოიწვია ამ საქმისათვის ათიოდე თავისი „გოლუბჩიკები“ მოანგარიშეთაგან, რომლებსაც დაჰპირდა სათითაოდ 50—60 მანეთამდე, მხოლოდ მათ უნდა ემუშავნათ ზედმეტი საათები საღამოობით. (მოანგარიშეების რიცხვი აღემატება 30 კაცს). იმ ათ მოწვეულ მოანგარიშეებში მიიღო მხურვალე მონაწილეობა თვით ზუბაძემაც. იყო იქ სხვა დელეგატიც, როგორც მაგალითად ამხ. სლეტოვი, მაგრამ მან უარი განაცხადა ზედმეტ მუშაობაზე, როგორც დელეგატმა.

ასეთი მოქცევა მოქ. ზუბაძესი არ არის პირველი. ის მონაწილეობას ღებულობს ყოველ ზედმეტი საათების მუშაობაში.

რომ მეტი ფული ჩაიჯიბოს, ან თუ მისი ამხანაგი ამ ბედნიერებას მოკლებულია, ამაზე ის არ ზრუნავს.

„ნათლიმამობამ“ სირცხვილი აჭამა

აი სად გაება მახეში ერთი „ნათლიმამა“, რომელიც გაწითლდება სახეზე და გასამართლებელი საბუთიც არა აქვს.

ქალ. თბილისის სადგურის უფროსი ამხ. კორძახია, რკ.-გზის უმუშევართა სექციის გამგეს თერთმეტ მარტს უგზავნის პერსონალურად განცხადებას და კაცს, თვითონვე ადასტურებს სადგურის უფროსი, რომ ეს კაცი ჩვენთვის გამოსადეგია და სპეცი, რისთვისაც სთხოვს გადმოგზავნოს იგი. მოთხოვნილი იყო დარაჯი.

რა საჭირო იყო სპეცობა დარაჯისათვის ეს ჩვენ არ ვიცით.

სექციის გამგემ ვერ შეუსრულა ამხ. კორძახიას თხოვნა და სექციიდან გაუგზავნა სხვა დარაჯი, რომელიც რიგში იდგა. დარაჯი ხუთი წლის გამოცდილი და შესაფერისიც იყო. მაგრამ ეს არ ესიამოვნა ამხ. კორძახიას და უკანვე დააბრუნა იგი—შემდეგი ქაღალდით:

გიბრუნებთ უკანვე თქვენ მიერ გამოგზავნილ დარაჯს ეხლა იგი აღარ გვჭირდება, ჩემ მიერ იყო მოთხოვნილი იგი ერთი თვის წინეთო.

გასაკვირველია, რომ თერთმეტ მარტიდან ცამეტ მარტამდე, როგორ გაიარა ერთმა თვემ! ალბად სადგურის უფროსს, როცა არ მიუვიდა თავისი „სასიამოვნო პიროვნება“, აღელდა და ანგარიშებიც დაებნა.

მართალია სადგურის უფროსი გაწითლდება სახეზე, მაგრამ ამას სხვები შეხედავენ და იქნება „ნათლიმამობა“ შემცირდეს.

მუშკორი სა—ქვაძე.

ეს საკითხი აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს

(ქ. თბილისის დამზღვევ კასის და საავთიაქო სამმართველოს საყურადღებოდ)

ყველასათვის აშკარაა, რომ არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევის საქმე არ არის ისე მოწყობილი, როგორც ჩვენში, მაგრამ ამავე დროს გულახდილათ უნდა აღინიშნოს ის უარყოფითი მხარეები, რომელსაც ადგილი აქვს ამ დარგში, რაც იწვევს მუშა-მოსამსახურეებში ერთგვარ უკმაყოფილებას.

მხედველობაში მაქვს ბინაზე ექიმის გამოწვევის წესი და აფთიაქებიდან მისივე გამოწერილი წამლის მიღება.

რომ „ღმერთი გაწყრეს“ და ვინმე ავად გახდეს, სამ—ოთხ დღეს უნდა უცადო, როგორც ექიმის მოსვლას, ისე მის გამოწერილ წამლის მიღებას.

მაგალითისათვის მოვიყვან შემდეგს: რამოდენიმე დღის წინედ ერთ ჩემ ამხანაგს გაუხდა ავად მეუღლე, ის მაშინვე გაიქცა ექიმის ბინაზე, მაგრამ ექიმი ხომ ჩვეულებისამებრ არ აღმოჩნდა სახლში. შემდეგ გაიქცა წიგნაკით ამბულატორიაში ტალონის გამოსაწერად. ტალონი ამბულატორიაში გამოსწერეს, მხოლოდ ექიმი იმ დღეს არ გამოცხადებულა; მეორე დღეს, როგორც იქნა მოვიდა და გამოსწერა რეცეპტი, რომელიც მაშინვე გააგზავნეს აფთიაქში, მაგრამ ვაი ასეთ წამლობას! ორი საათს რიგში იდგა აფთიაქის გამგის მოადგილესთან მისასვლელათ და როცა კი მიაღწია მასთან მოადგილე ეუბნება: „ხვალ დილით მოიკითხე“-ო. (ეს უკვე მესამე დღეა) მიდის დილით და ისევ დგება რიგში ორ საათს და, როდესაც მიაღწევს მორიგესთან, უკანასკნელი ეძებს წამალს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რეცეპტისთვის ხელიც არ არის მოკიდებული, რის შემდეგ იბარებს საღამოსთვის, მიდის საღამოსაც და დგება რიგში და როგორც იქნა ღებულობს მესამე დღეს წამალს, მაგრამ ამავე დროს ის ამხანაგი გზაში ფიქრობს: „ვაი თუ ამდენი წვალების და უბედურების შემდეგ ავადმყოფი მკვდარი დამიხვდა“-ო?

რაც შეეხება ამბულატორიაში ავადმყოფების მიღების წესს, აქ ბევრი ნაკლი გვაქვს. ორი დღე უნდა მუშა-მოსამსახურეს, რომ ის მივიდეს ექიმთან მარტო გასასინჯათ.

ამიტომ ჩემის აზრით საჭიროა ასეთი არანორმალურ მდგომარეობის მოსასპობათ თბილისის დამზღვევ სალარომ და საავთიაქო სამმართველომ მიიღოს სასწრაფო ზომები.

ელიზბარ.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **დამხმარე სალაროს ფული თვითონვე გაინაწილეს.** მეორე უბნის დაცვის რაზმში დავაარსეთ ურთიერთ დამხმარე სალარო. სალაროს ბიუროს თავმჯდომარედ წარსულ წლებში ითვლებოდა მოქ. ადამია. ეს მოქალაქე ძალზე „გულკეთილობდა“ და სალაროს ფული „სესხად“ გასცა თავის ნათესავებზე. მან ფული 50—60 მან. მისცა ისეთ პირებს, რომლებიც ამ ფულის დაბრუნებაზე არც კი ფიქრობენ. ბოლოს როგორც იქნა მოქ. ადამია მოვიშორეთ, მაგრამ, დახეთ უბედურებას! თვითონ მან წაიღო სალაროს ფული ოც მანეთამდის.

აღნიშნული ადამია ამ ჟამად მსახურობს მთავარ სახელოსნოში დარაჯების უფროსად.

განა ეს დასაშვებია?

მუშკორი ვიუკა.

— **გაანათეთ ეს ქუჩაც.** ბაქოს ქუჩაზე საშინლად ბნელა. აქ უბრალო ფარნებიც არა გვაქვს, ამიტომ ღამით ამ ქუჩით გავლა ყოვლად შეუძლებელია.

ალმასკომო, მიიღე ზომები.

ხეილი.

— **ასწავლეთ კოოპერატიული მუშაობა.** ყრილობის უბანში გვაქვს მუშკოოპის დუქანი № 4. ეს დუქანი კვირა-უქმე დღეებში დაკეტილია. დაკეტილია სხვა დღეებშიც იმ საათებში, როდესაც მუშები სამუშაოდან შინ ბრუნდებიან, რის გამო მუშები უვარდებიან კერძო ვაჭრებს.

მუშკოოპო, განა ეს დასაშვებია?!

არსენალის მუშა შავერდაშვილი.

მუშათა ქრონიკა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

— **მავნე წარმოებებში მომუშავენი.** ა.-კ. რკ.-გზელთა პროფკავშირმა მიმართა რკინის გზის სამმართველოს გასცეს მავნე წარმოებებში მომუშავეთ სპეც-რძე და სპეც-ქონეულობა. მუშებს ყოველდღიურად მიეცემათ ნახევარი ლიტრა სპეც-რძე ან 48 გრამი სპეცქონი. შაბათობით გაეცემათ ორჯერ მეტი რაოდენობით.

— **საშტატო მზომელები.** ა/კ. რკ. გზელთა პროფკავშირმა მიმართა საუწყებო კომიტეტებს დაამუშაონ თვითეულ დარგის უბნების საშტატო მზომელები.

ქრონიკა

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტის ცნობით, გამოფენაზე მოეწყობა ყველა უცხო. ფირმების წარმოდგენილ ტრაქტორების გამოცდა.

ეს გამოცდა მოხდება სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა ნიადაგებზე იმის გამოსარკვევად—ამიერ-კავკასიის ამა თუ იმ ნიადაგისთვის რომელი სისტემის ტრაქტორი იქნება გამოსადეგი.

ჩვეულებრივ, უმანქანო გუთნების გამოცდაზე, მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის ფაბრიკებში დამზადებული გუთნები. უცხოეთის ფირმებიდან უმანქანო გუთნებით წარმოდგენილი იქნებიან: „რუდოლფ საკი“, „ეკკერტი“, ჰერჰარდტი“, „ფლეტტერი“, „ბეხერი“ და შვეციის ფირმები.

უკანასკნელათ მიღებულ ცნობით, „ფორდი“-ს ფირმა გამოფენაზე გამოგზავნის 50 ტრაქტორს, ამას გარდა „ფორდი“ გამოგზავნის მისაბამელ ტრაქტორებს, რომლების გამოყენება შეიძლება საამშენებლო სამუშაოების დროს განათება-გათბობისათვის და სხვა.

გლეხკომების გადარჩევა

რესპუბლიკაში საბჭოთა არჩევნების დასრულების შემდეგ სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს განზრახული აქვს მაისიდან ჩაატაროს წინასწარი კამპანია, რის შემდეგ დაიწყება გლეხკომების გადარჩევა. იმ ადგილებში, სადაც გამოირკვა, რომ გლეხკომები ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას, მომავალში აღარ მოეწყობიან გლეხკომები.

გარდა ამისა, წვრილი სასოფლო გლეხკომები გაერთიანდებიან მოზრდილ სათემო გლეხკომებში.

მაზრებში ამ კამპანიის ჩასატარებლად არჩეული იქნებიან სათემო და სამაზრო კომისიები, რომელთაც დაევალებათ ხელმძღვანელობა გაუწიონ გლეხკომების გადარჩევის საქმეს.

კომისიებში შევლენ სხვადასხვა დაწესებულებების წარმომადგენლები.

გლეხკომების გადარჩევა დაიწყება 5 მაისიდან.

თბ. ალმასკომში

◆ **ქალ. პსიქიატრიულ ინსტიტუტში.** მოთავსებული ყველა ქრონიკული სულით ავადმყოფნი გადაყვანილი იქნებიან სურამის სულით ავადმყოფთა ახალშენში.

◆ **გამასწორებელ სახლებთან** ხელახლა მოეწყო კბილის საექიმო კაბინეტები გაუმჯობესებული ხელსაწყოებით.

◆ **აგურის ქარხნების** მექანიკური საშუალებებით ასამუშავებლად თბ. ალმასკომს განზრახვა აქვს გადასდოს 204.000 მან.

◆ **კარლ მარქსის** სახელობის საამშენებლო ამხ-ბას ალმასკომმა გადასცა კამოს ქუჩაზე მდებარე 900 კვადრატიული საჟენი მიწა სახლების ასაგებათ.

დამზღვევ სალაროში

◆ **დასასვენებელ სახლებში** გასაგზავნათ დაზღვეულების შემმოწმებელი კომისია მუშაობას დაიწყებს 1 მაისს.

◆ **დროებით შრომის უუნარდაკარგულებს** გასულ თვეში გაცდენილ დღეების ასანაზღაურებლად მიეცა 134.248 მან.

სახელგამში

◆ სახელმწიფო გამომცემლობის თავმჯდომარეს მოადგილე ამხ. ვირაპი, თანახმად თავისი თხოვნისა, განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

სხვადასხვა

◆ **ქართულ ექიმთა საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 8 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საზოგადოების საგანგებო კრება. დღის წესრიგი: ახალ წესდების პროექტის განხილვა.

◆ **კბილის საექიმო პოლიკლინიკის გახსნა.** ალმასკომის ჯან. განყ. დაზ. ქვე-განყოფილების კბილის საექიმო პოლიკლინიკა გაიხსნება 7 აპრილს, საღამოს 5 საათზე, პოლიკლინიკის შენობაში (შუა ბაზრის ქუჩა, № 42).

◆ **უპატრონო ბავშვთა დახმარების** გასაუმჯობესებლათ და მათთვის თავშესაფარებისა და ახალშენების მოწყობის მიზნით, ა.-კ. ცაკი 27 აპრილს იწვევს უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიებისა და საზ-ბების წარმომადგენელთა თათბირს.

◆ **მფრინავი ნავი.** საქ. ავიოქიმის საზ-ბა შეუდგა მფრინავი ნავის (ჰიდროპლისერის) აგებას, რომელიც მზათ იქნება 1-ლ მაისისათვის. ნავი გამოყენებული იქნება მტკვარზე უბედურ შემთხვევებთან საბრძოლველათ.

◆ **ავიაქიმი** ამჟამად ადგილებზე აწარმოებს საცდელ-საჩვენებელ ბრძოლას მინდვრის და ბაღების მავნეებთან.

◆ **გლეხთა სახლი.** ამიერ-კავკასიაში ამჟამად ითვლება 10 გლეხთა სახლი.

◆ **საქ. საბრეშუმო მთავარი** სადგურის მიერ, წელს ადგილობრივი საჭიროებისათვის დამზადებული იქნება 40.000 კოლოფი თესლი.

◆ **ყველის დამზადება.** გასული წლის განმავლობაში წარმოკავშირმა დაამზადა 11.470 ფუთი ყველი.

◆ **ბეკონის ქარხანა.** საქ. საგეგმო კომისიის მიერ დამტკიცებულ გეგმით სამეგრელოში ბეკონის (ღორის ხორცის დამამუშავებელი) ქარხნის მოწყობა ჯდება 275 ათასი მანეთი.

◆ **ელსადგურების აგება.** სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცნობით რესპუბლიკაში განზრახულ ასაგებ მცირე-ელსადგურების რიცხვიდან უკვე ამუშავებულია ელსადგურები ახალციხეში, სოხუმში, ბორჯომში, ახალქალაქში და აბასთუმანში.

◆ **აფხაზეთის ჰიდრო-ელსადგური.** რომელიც შენდება მდ. გუმისტინზე, დამთავრდება მომავალ წელში.

ჩაუბარებელი დეპეშები

გროზნო— გაზაროვს, კარახულ—ლეკიშვილს, მოსკოვი—სედოვს, ბაქო—ფიშერკს, ვლადიკავკავი—ხაჩატუროვს, ტიხორეცკაიადან—კარგინს, კირეხი—თოდრაძეს, ზუგდიდი—გეთია, ხარკოვიდან—მეტეცკოვს, ქიათურიდან—წერეთელს.

შემთხვევები

◆ **ცეცხლი.** 5 აპრილს, ოქროევის ქ., № 13, ივანე მიხაიშვილის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელმა რაზმმა.

◆ **ქალის მოტაცება.** სოფ. თოხოლჩებში (ერწოს თემი), ალექსი დავითისძე არაბოვმა მოიტაცა ტოლაანთ სოფლის მცხოვრები ქალი საბედა მიხაკოს ასული ბურდული. გამტაცებელი შეიპყრეს.

◆ **სასტუმრო „პრობა“-ში** გაქურდეს მარიამ ლიბერმანის ბინა. წაიღეს 100 მან. ნივთები.

◆ **ქურდობა.** 4 აპრილს, კუტილოვის ქ., № 7, პეტრე ალექსანდრესძე კილაძის ბინიდან მოიპარეს 150 მან. ნივთები.

◆ **ბოროტგანზრახვით** სოფ. ღულელებში (ერწოს თემი), ღვთისო ქრისტაურს დაუწვეს საბძელი. ზარალი უდრის 1500 მან.

◆ **შეპყრობა.** 5 აპრილს, თხინვალის ქ., № 3, რაშოევის ბინის გაქურდვისათვის შეიპყრეს ორი უცნობი მოქალაქე.

◆ ამავე დღეს შეიპყრეს მცირეწლოვანი ქურდი მიხეილ ლატკოვი.

◆ **ჯიბგირობა.** ექიმ არშაკ ერევნდიანცს, 5 აპრილს ბაზარში მოპარეს 400 მანეთი ფული.

ხელოვნება

ელისაბედ ჩერქეზიშვილის იუბილესათვის

ელისაბედ ჩერქეზიშვილი დაიბადა 1863 წელს, ზემო-ქართლის სოფ. კოშკაში.

პირველი მისი სცენაზე გამოსვლა იყო ს. მერეთში 1881 წელში. მეორე წელს კი ის განოგზავნეს თბილისში და გამოცდის შემდეგ მიღებულ იქნა პირდაპირ მუდმივ დასში. ამის შემდეგ 45 წლის განმავლობაში ქ. ელისაბედ ჩერქეზიშვილი ერთგულად ემსახურებოდა ქართულ სცენას.

ჩერქეზიშვილი ჯერ ისევ აღსავსეა ძალღონით და ხალისით ქართულ სცენას კიდევ ბევრჯერ დაამშვენებს იგი, როცა ჩვენს აუდიტორიას მოენატრება ლამაზი ეტნოგრაფიული სანახაობანი.

მის საუკეთესო დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს შემდეგი უკვდავი სახეები: „ხანუმა“, რომლის როლში იგი გამოსულა 300 ჯერ. ფროშარი („ორი ობოლი“), ზეფირინა („ორი ჯიბგირი“), აზნაურის ქვრივი („გლახა ჭრიაშვილი“), ელისაბედი („ჯერ დაიხოცნენ, შემდეგ იქორწინეს“), მამიდა („სტუმარ-მასპინძლობა“), ძიძა („გაწყვეტილი სიმი“), ნენე („მზის დაბნელება საქართველოში“), კატინა („რაც გინახავს ვეღარ ნახავ“), რიფსიმე („დედის ერთა“), კეკელა („გაცრუებული იმედები“), მათალო, ხორეშანი და მკითხავი („სამოცი წლის არშიყი“) და სხვა.

გარდა სასცენო მოღვაწეობისა, ლიზა ჩერქეზიშვილი მოღვაწეობდა აგრეთვე ლიტერატურულ ასპარეზზედაც. მის ნაწერებიდან აღსანიშნავია:

„სამოცი წლის არშიყი“, „აღდგომის ღამეს“, „მსხვერპლი უბედურებისა“, „სცენა სოფლად“, „საბრალო ნენე“, „ორი მსხვერპლი“, „ჩიორა და ქართველი ქალები“ და სხვა.

დღეს ელისაბედ ჩერქეზიშვილს მის 45 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად საზეიმო იუბილეს უმართავენ.

ვუსურვებთ მას კიდევ მტკიცეთ განაგრძოს თავისი სახელოვანი მოღვაწეობა ქართველი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ელ. ჩერქეზიშვილის** 45 წლის იუბილე გაიმართება დღეს ოპერის თეატრში.

◆ **„თამარ ცბიერი“.** ხვალ, ოპერის თეატრში მეორეთ წარმოდგენილი იქნება მელ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერი“.

◆ **მხატვარ ვანო ხოჯაბეგოვის სურათების გამოფენა.** 10, 11 და 12 აპრილს ქუთაისში გაიხსნება მხატვარ ვანო ხოჯაბეგოვის სურათების გამოფენა: „ძველი თბილისი“.

◆ **გლაზუნოვის კვარტეტის** მეორე კონცერტი გაიმართება დღეს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში.

◆ **კონსერვატორიის დარბაზში** 10 აპრილს გაიმართება პროფ. როშმოვის და ლედნიკოვის ვოკალური კონცერტი.

◆ **სომხური მუსიკის საღამო.** აპრილის შუა რიცხვებში ოპერის თეატრში გაიმართება სომხური მუსიკის საღამო.

◆ **სეზონის დახურვა.** აკადემიური დრამის სეზონი იხურება 15 აპრილს.

◆ **„ჯავშნოსანი პოტიომკინი“-ს** ჩვენება „მინიონში“ დაიწყება მომავალ კვირიდან.

რკინის გზებზე

როგორ უნდა მოეპყრან გზის აგენტები მგზავრებს

ამ უკანასკნელ ხანებში შემჩნეული იყო გზის აგენტების მხრივ მგზავრებისადმი არა თავაზიანი და უხეში მოპყრობის შემთხვევები. ამ საკითხების განმარტების დროს, რომლებიც აინტერესებდათ მგზავრ-გლეხებს.

ამის გამო ა.-კ. რკ. გზების სამმართველომ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად გზის აგენტებს, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება აქვთ მოქალაქეთა და განსაკუთრებით გლეხობის მგზავრობასთან, ევალებათ ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენა მგზავრებისათვის, ბილეთის აღების, ბარგის ჩაბარების და მატარებლებში ჩასხდომის დროს.

ბრძანება აფრთხილებს ყველა აგენტებს, რომ ბრძანების მცირეოდენათ დარღვევას შედეგათ მოჰყვება სასტიკი სასჯელი, სამსახურიდან დათხოვნაც კი.

სატრანსპორტო ჟურნალების დახურვა

თანახმად გზათა-მიმოსვლის კომისრის ამხ. რუძუტაკის განკარგულებისა, შეწყვეტილია რკინის გზათა სამმართველოების მიერ ჟურნალების გამოცემა გარდა „ამიერ-კავკასიის ტრანსპორტი“-სა, „ჩრდილო-კავკასიის რკ. გზ. ტრანსპორტი“-სა და „უკრაინის ტრანსპორტი“-სა.

სასურსათო ბილეთების რაოდენობის შემცირება

ა.-კ. რკ. გზებმა მიიღეს ცნობა, რომლის თანახმად 1 აპრილიდან სასურსათო ბილეთების ნორმა მცირდება. ბილეთების წლიურ ნორმად ცოლშვილიან რკინისგზელთათვის წესდება 52 ბილეთი და უცოლშვილოთათვის—26, მოგზაურობის მანძილი კი—130 კილომეტრი.

ცისტერნის გადავარდნა

5 აპრილს 11 საათზე და 30 წუთზე სადგ. სამტრედიის სემაფორთან ბათომიდან მომავალი საბარგო მატარებელი დაეტაკა კამეჩს, რის გამო ლიანდაგს ასცდა ერთი ცარიელი ცისტერნა.

ავიოქიმში

დიდი გადაფრენა

საქართველოს ავიოქიმი შეუდგა თანხების შეგროვებას დიდ საზღვარგარეთელ გადაფრენებისათვის, რომლებც მოწყობილი იქნება მიმდინარე წელში. საქართველოს ავიოქიმის მიერ მიღებულ ცნობების თანახმად, გადაფრენის მოწყობის იდეას თანაგრძნობით შეხვდენ რესპუბლიკის ყველა მაზრებში. ზოგან უკვე გადადებულია თანხები.

ბრძოლა მავნებლებთან

საქართველოს ავიოქიმი ფართო მონაწილეობას იღებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან ბრძოლის კამპანიაში, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

საქართველოს ავიოქიმი აწყობს ადგილებზე ლექციებს, უხსნის გლეხობას, თუ როგორ შეიძლება ვენახების მავნებელის—ფილოქსერის ბაცილების მოსპობა. აწოდებს გლეხებს მუშა-ხელს და სხვა.

ავიო-ნავი

საქართველოს ავიოქიმი ახლო ხანში დაამთავრებს რესპუბლიკაში პირველი ავიო-ნავის (გლისერის) აგებას.

გლისერი, რომლის აგება სწარმოებს თბილისის გრეხილი ავეჯის ქარხანაში, **მზათ იქნება პირველ მაისს.** განზრახულია ავიო-ნავი გამოყენებულ იქნეს მდ. მტკვარზე, და აგრეთვე იმ ხელოვნურ ტბაზე, რომელიც ეწყობა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურთან.

მეცნიერება და ტეხნიკა

გაიზრდებიან თუ არა ცხოველები რომ საჭმელი არ მისცენ?

ახალგაზრდა ცხოველების ზრდა ორ პირობაზეა დამოკიდებული. შინაგანი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ცხოველის ზოგიერთი ჯირკვლები ამუშავებენ განსაკუთრებულ ნივთიერებას, რომელიც ხელს უწყობენ ორგანიზმის უჯრედების გაყოფას. გარეშე პირობები მდგომარეობენ ახალი ქსოვილების წარმოსაშობათ აუცილებელი საკვები მასალის მიწოდებაში. რამდენათ მნიშვნელოვანია შინაგანი მიზეზი? შეიძლება თუ არა ზრდა გაგრძელდეს, რამდენიმეთ მაინც, საკვებ ნივთიერებათა მიუწოდებლათ? რასაკვირველია, შიმშილობის ცდების მოხდენა შეუძლებელია თბილსისხლიან ცხოველებზე, რადგან ისინი დიდი ხნით შიმშილობას ვერ უძლებენ, იღუპებიან. ცივსისხლიან ცხოველებს (მაგ. ბაყაყს) ნაკლები მოთხოვნილება აქვთ საჭმელზე და ამიტომ ისინი გამოსადეგი არიან ცდებისათვის.

ერთ გერმანულ ჟურნალში ამ რამოდენიმე ხნის წინათ გამოქვეყნდა ცნობები იმ ცდების შესახებ, რომლებიც ბერლინის ზოოტეხნიკურ ინსტიტუტში მეცნიერებმა პოდგრაოსკიმ და კოსტომაროვმა მოახდინეს. ისინი იღებდენ ახალგაზრდა, 5 თვის თევზებს და ათავსებდენ წყალში, რომელიც არავითარ საკვებ ნივთიერებას არ შეიცავდა. თევზების წონა კლებულობდა, მაგრამ მათი ზრდა სიგრძით გრძელდებოდა. აშკარაა, ამ თევზების ჩონჩხი ზრდისათვის საჭირო ნივთიერებებს იღებდა სხვა ქსოვილებიდან, უმთავრესად კუნთებიდან: თევზები დაიწროვდენ და გათხელდენ. სიცოცხლისათვის აუცილებელ ორგანოების წონა ძლიერ ცოტათი შემცირდა. მხოლოდ ორი თვის შემდეგ შეწყდა თევზების ზრდა.

ამრიგად ზრდის შინაგანი მიზეზი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჯირკვლები ამზადებენ სხეულის ზრდისათვის აუცილებელ ზოგიერთ ნივთიერებებს და აწვდიან მათ სისხლს, ძლიერია: უჯრედები განაგრძობენ გაყოფას მაშინაც კი, როცა ორგანიზმი არავითარ საჭმელს არ ღებულობს. ამ შემთხვევაში ისინი საამშენებლო მასალათ იყენებენ ნივთიერებებს სხვა. უფრო ნაკლებ მნიშვნელოვან ქსოვილებიდან.

ნარევი

რეკლამა შეერთებულ შტატებში

თუ რა დიდ როლს თამაშობს რეკლამა ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრებაში, ნათელი გახდება, როცა გაეცნობით ხარჯებს მასზე.

შეერთებული შტატების გაზეთები ყოველწლიურად ხარჯავენ 2.600.000 ტონა ქაღალდს. ამ რაოდენობიდან 1.500.000 ტონა იხარჯება სარეკლამო ფურცლების და განცხადებების ბეჭდვაზე და მხოლოდ 1.100.000 ტონა გამოცემათა სარედაქციო ნაწილზე.

საფოსტო ამანათების 80 პროცენტი ამერიკაში სარეკლამო ფურცლებიდან შესდგება.

კინო სეანსები ჰაერში

ახალი სურათისადმი ყურადღების მისაქცევად ამერიკაში და ინგლისში მოდაში შემოვიდა ამ სურათის ჩვენება კრიტიკოსებისა და ჟურნალისტებისათვის აეროპლანით გაფრენის დროს. აეროპლანში სამგზავრო განყოფილების წინა ნაწილში გაკრულია ტილოს ეკრანი. გაფრენის დაწყებასთან ერთად იწყება სურათის ჩვენება. ეს მოდა ახლა გერმანიაში გადავიდა. ამ რამოდენიმე ხნის წინათ ამ წესით იქნა ნაჩვენები ბერლინზე გაფრენის დროს ახალი სურათი „დაკარგული ქვეყანა“.

45.000.000 მანეთი ზღვიდან

ინგლისის პარლამენტის უკანასკნელ სხდომაზე საზღვაო სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ომის დროს დაღუპულ გემ „ლაურენტიკ“-იდან ამოღებული იქნა ოქრო ღირებლი 45.000.000 მანეთად. მუშაობაზე დაიხარჯა 1.280.000 მანეთი.

რა ჯდება არჩევნები ამერიკაში

ოფიციალური ცნობების თანახმად უკანასკნელ არჩევნების დროს პარლამენტში დაიხარჯა 9.211.650 მანეთი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 16.640.279 ხმამ. ამრიგათ თითეულ ამომრჩეველზე ხარჯი შეადგენს 50 კაპ. სინამდვილეში კი ხარჯები გაცილებით მეტია.

ბეჭედ-დასმული ხილი

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ხილზე, რომელიც მიმდინარე წელს შემოტანილი იქნება ინგლისში კოლონიებიდან, ბეჭედ დასმული იქნება იმ ხილიდან გასარჩევათ, რომელიც ინგლისში უცხოეთიდან შემოაქვთ. ბეჭედს ხილზე ასვამენ წაუშლელი მელანით ელექტრონის მანქანების საშუალებით.

რა დაჯდა ამერიკის აღმოჩენა

პალოსში (ესპანეთი), საიდანაც კოლუმბი წავიდა თავის პირველ მოგზაურობის დროს, იპოვეს პინძონის სავაჭრო სახლის საანგარიშო წიგნები. ამ სავაჭრო სახლმა მისცა კოლუმბს საჭირო თანხა და ხომალდები ექსპედიციის მოსაწყობად.

როგორც ამ წიგნებიდან სჩანს, ამერიკის აღმოჩენა ძვირი არ დამჯდარა: ექსპედიცია, რომელიც 1492 წ. აგვისტოდან 1493 წ. მარტამდე გაგრძელდა დასჭირდა სულ 29.000 პეზეტა. თვით კოლუმბი 1500 პეზეტს ღებულობდა წლიურად (პეზეტა ომამდე 40 კაპ. უდრიდა).

ესპანელ მეცნიერის გარსია დალლა რიეგოს ცნობით კოლუმბის დედა ებრაელი იყო, და რადგან იმ დროს ესპანეთში ებრაელებს სასტიკად დევნიდენ, კოლუმბი მალავდა თავის ვინაობას. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მეცნიერების ერთი ნაწილი კოლუმბს გენუელად თვლის, მეორე კი კორსიკელათ.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ვრცელდება თუ არა ჩემზე შრომის კანონთა კოდექსი

კითხვა

მე დაქირავებით ვმუშაობ ერთ-ერთ ჩემ ნათესავთან, რომელსაც აქვს თავისი კერძო სახელოსნო. სახელოსნოს პატრონი თვიურად ხელფასის სახით მაძლევს ორმოცდაათ მანეთს; არა ვარ დაზღვეული, რადგანაც დაზღვევაზე უარს მეუბნება; კავშირში წევრად ჩაწერასაც მიკრძალავს იმ მოსაზრებით, რომ ვითომდა ჩემზე აღარ ვრცელდებოდეს შრომის კანონთა კოდექსი, რადგანაც მე ვარ მისი (შორეული) ნათესავი.

გთხოვთ განმიმარტოთ ვრცელდება თუ არა ჩემზე შრომის კანონთა კოდექსი და სახელოსნოს პატრონი ვალდებულია თუ არა დამაზღვიოს საერთო წესით.

ხელოსანი გოგია აჩ—ია.

პასუხი

შრომის კანონთა კოდექსი ვრცელდება ყველა იმ პირებზე (ამ შემთხვევაში თქვენზედაც), ვინც წამოწყება-დაწესებულებაში და მეურნეობაში (მიუხედავად იმისა, კერძოა ეს თუ სახელმწიფო) მუშაობს, თუნდაც ესენი (მომუშავენი) იყვნენ წარმოების ან მეურნეობის პატრონის, მონაწილის, თუ ხელმძღვანელის ნათესავები, გარდა ახლო ნათესავებისა—დედ-მამის, ცოლ-ქმრის, ცოლშვილის და მკვიდრი და-ძმისა. ამ უკანასკნელზედაც შესაძლებელია გავრცელდეს შრომის კანონთა კოდექსი იმ შემთხვევაში, უკეთუ ზემო აღნიშნული ახლო ნათესავები წარმოების პატრონისგან მოითხოვენ ამას. თქვენი ნათესავი ვალდებულია თქვენ დაგაზღვიოს და მისთვის სავალდებულოა შრომის კანონმდებლობის მთლიანად შესრულება, როგორც იგი სავალდებულოა ყველა იმ პირებისათვის, ვინც დაქირავებული შრომით სარგებლობენ. **(იხ. შრომის კანონთა კოდექსის თავი პირველის—მუხ. პირველი და ამ.-კავ. შრომსახკომატის დადგენილება № 45).**

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

(დასასრული)

დებულება

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის საპატიმრო ადგილებში სამსახურის შესახებ

თავი III

მომუშავის გადაყვანა და შვებულებაში დათხოვნა

13. მოსამსახურის გადაყვანა მოხდება, როგორც სათანადო უფროსის შეხედულებისამებრ, მიუხედავათ მოსამსახურის თანხმობისა,—ისე თვით მოსამსახურის პირადი თხოვნით.

14. ის პირი, რომლის გადაყვანის შესახებაც გაცემულია განკარგულება, მოწერილობის მიღებისა და საქმეების ჩაბარებისთანავე უნდა გაემგზავროს ახალი სამსახურის ადგილას.

შენიშვნა. იმ შემთხვევაში, როცა მოსამსახურე სხვა ქალაქში უნდა იქნეს გადაყვანილი, მას უნდა მიეცეს საჭირო ვადა პირადი საქმეების მოსაგვარებლად და თანაც უნდა განთავისუფლდეს თავისი მოვალეობის შესრულებისაგან. ამ ვადის ხანგრძლივობას განსაზღვრავს უფროსი, ხოლო იგი 48 საათზე ნაკლები არ უნდა იყოს.

15. ის მომუშავე, რომელიც პატივსადები მიზეზის გარეშე, არ გამოცხადდება სამსახურის ადგილას მოწერილობაში აღნიშნულ ვადაზე, პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული სადისციპლინო ან სასამართლოს წესით (საქ. ს. ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 3 მუხ.).

16. საპატიმრო ადგილის მომუშავეს აქვს შვებულების მიღების უფლება შრომის კანონთა კოდექსის 114 და 115 მუხლის თანახმად და 116—120 მუხლის მიხედვით, და აგრეთვე ისარგებლოს ყველა გარანტია, რაც აღნიშნულია შრომის კანონთა კოდექსის 91 და 92 მუხლში.

შენიშვნა. განსაკუთრებულ შემთხვევაში (ახლობელის გარდაცვალება ან მძიმე ავადმყოფობა და სტიქიური უბედურება) და სხვა პატივსადები მიზეზის გამო, რაც სათანადოდ შემოწმებულ უნდა იქნეს, შეიძლება მომუშავეს რიგს გარეშე შვებულება მიცეს.

17. რიგს გარეშე მიცემული შვებულების ვადა ერთ თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

18. იმ პირს, ვისაც რიგს გარეშე შვებულება მიეცა, მორიგი შვებულების მიღების უფლება არ წაერთმევა.

19. იმ პირს, რომელმაც მორიგი და რიგს გარეშე შვებულება გამოიყენა, უფლება აქვს ყველა სახის კმაყოფა, რაც თავისი თანამდებობით ერგება.

შენიშვნა. იმ პირს, რომელიც დროებით ასრულებს წასული თანამშრომლის თანამდებობას, აქვს ყველა უფლება და ასრულებს ყველა მოვალეობას ამ თანამდებობის ფარგალში, თანაც მას შეენახება თავისი საშტატო თანამდებობა.

20. როცა თანამშრომელი შვებულებას გამოიყენებს არა იმ ადგილას, სადაც იგი მუდმივ მსახურობს—შვებულების ვადას უნდა მიემატოს სამსახურის ადგილამდე დაბრუნებისათვის საჭირო დრო—თანახმად განსაკუთრებული განაწილებისა, რასაც ბრძანებაში გამოაცხადებს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს უფროსი.

21. საპატიმრო ადგილის მომუშავისათვის შვებულების მიცემის უფლება აქვს საპატიმრო ადგილის სათანადო უფროსს. ხოლო თვით უფროსისა და მისი თანაშემწისათვის შვებულების მიცემის უფლება ეკუთვნის საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს.

22. უკეთუ საპატიმრო ადგილის მომუშავენი გამოცხადებულ იქნებიან მობილიზაციის წესით გაწვეულად—ყველა მოსამსახურე, ვინც მორიგ ან რიგს გარეშე შვებულებაშია, ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს სამსახურის ადგილას.

თავი 4

თანამდებობიდან გადაყენება და სამსახურიდან დათხოვნა

23. თანამშრომლის თანამდებობიდან გადაყენება ნიშნავს თანამდებობის მოვალეობის აღსრულების აკრძალვას.

24. თანამდებობიდან გადაყენება მოხდება ან საგამომძიებლო ხელისუფლების დადგენილებით, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სისხლ. სამ. საპროცესო კოდექსის 142 მუხლის თანახმად, ან იმ უფროსის განკარგულებით, რომელმაც იგი თანამდებობაზე დანიშნა და აგრეთვე საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირის განკარგულებით.

25. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა დაყოვნება შეუძლებელია, საპატიმრო ადგილის უფროსი თავისი უფლებით გადააყენებს თუნდაც ზე-მდგომი ინსტანციის მიერ დანიშნულ ხელქვეითს, ხოლო დაუყოვნებლივ აცნობებს ამ ინსტანციას გადაყენების მიზეზს.

26. თანამდებობიდან გადაყენების თვითეულ შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადაყენება საგამომძიებლო ორგანოს მოთხოვნით მოხდება (ს. ს. რ. სისხლ. სამ. საპროცესო კოდექსის 142 მუხ.) ის უფროსი, რომლის განკარგულებითაც დანიშნულ იქნა გადაყენებული პირი, დაუყოვნებლივ გასცემს განკარგულებას მოკვლევის მოსახდენათ ს. ს. ს. რ. სისხლ. სამ. საპრ. კოდექსის 97 მუხლის მე-3 პუნქტის წესისამებრ.

27. უკეთუ მოკვლევა ცხადყოფს, რომ თანამდებობიდან გადაყენება საფუძვლიანია, გადაყენებული პირი შეიძლება დათხოვნილ იქნეს სამსახურიდან ამა დებულების 30—34 მუხლ. მოთხოვნათა დაცვით. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაყენებული პირი უნდა დაუბრუნდეს თანამდებობის აღსრულებას.

28. როცა თანამდებობიდან გადაყენება მოხდება საგამომძიებლო ხელისუფლების მიერ საქმის განხილვამდე, უკეთუ ეს უკანასკნელი დაადგენს, რომ გადაყენება საჭირო არ არის, გადაყენებული პირი დაბრუნებულ უნდა იქმნეს თანამდებობაზე.

29. ის უფროსი, რომელიც ხელქვეითს არა პატივსადები მიზეზით გადააყენებს, მიეცემა პასუხისგებაში სადისციპლინო და სასამართლო წესით (სისხლ. სამ. კოდ. 108 მუხ. და 109 მუხ. 1 ნაწ. თანახმად).

30. სამსახურიდან დათხოვნა მოხდება:

ა) მომუშავის პირადი სურვილით და

ბ) მისი სურვილის მიუხედავათ.

31. საპატიმრო ადგილის მომუშავის დათხოვნა მისი სურვილის თანახმად, სამსახურის სავალდებულო ვადის გათავებამდე, შეიძლება მოხდეს მომუშავის შუამდგომლობით იმ უფროსის განკარგულებით, რომელმაც იგი დანიშნა—ავადმყოფობისა, ოჯახური მდგომარეობის და სხვა პატივსადები მიზეზის გამო.

შენიშვნა. იმ შემთხვევაში, როცა მომუშავე წარადგენს ექიმთა საკონტროლო კომისიის მოწმობას ისეთ ავადმყოფობის შესახებ, რაც საპატიმრო ადგილში სამსახურს ხელს უშლის, ადმინისტრაციას არა აქვს უფლება არ დააკმაყოფილოს ავადმყოფი მომუშავის შუამდგომლობა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

32. ის მომუშავე, რომელსაც სურს ხელწერილში აღნიშნული ვადის გათავების შემდეგ სამსახურს თავი დაანებოს, ვალდებულია ადმინისტრაცია გააფრთხილოს ერთი თვით ადრე სავალდებულო ვადის გათავებამდე.

უკვე ხელწერილში აღნიშნული ვადის გათავების დროს დათხოვნილი პირის მოადგილე ვერ მოინახება, დათხოვნილი შეიძლება დაკავებულ იქნეს სამსახურში, ხოლო არა უმეტეს ორი კვირისა ვადის გათავების შემდეგ.

შენიშვნა: სამსახურიდან მიმავალი პირი, უკეთუ იგი თავის დროზე არ გამოუცხადებს ადმინისტრაციას სამსახურიდან წასვლის სურვილს, შეიძლება დაკავებულ იქნეს სამსახურში, ვიდრე მოადგილე მოინახებოდეს, ხოლო არა უმეტეს ერთი თვისა.

33. საპატიმრო ადგილის მომუშავე შეიძლება დათხოვნილ იქნეს სამსახურიდან მისი სურვილის წინააღმდეგ, რაც შემდეგ უნდა ეცნობოს სათანადო პროფ-ორგანიზაციას (პროფკავშირის რწმუნებულს) შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის მე-2 და მე-3 შენიშვნაში აღნიშნული პირობებით:

ა) შრომის კანონთა პროექტის 47 მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებში;

ბ) საატესტაციო წესით, ამა დებულების მე-3 მუხლში გათვალისწინებული ინსტრუქციის მიხედვით;

გ) სამსახურის შესრულების უუნარობის გამო ექიმთა-კომისიის დადგენილების თანახმად;

დ) დისციპლინარული წესით, ამა დებულების მე-5 თავის მიხედვით.

შენიშვნა: საპატიმრო ადგილის მომუშავის დათხოვნა იმ შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. „გ“ და „დ“ პუნქტებში, მოხდება სათანადო უფროსის განკარგულებით, რაც შემდგომ უნდა ეცნობოს სათანადო პროფორგანიზაციას. ყველა დანარჩენ შემთხვევაში მომუშავის დათხოვნა ხდება შრომის კანონთა კოდექსის 161 მუხლის „გ“ პუნქტის წესისამებრ.

34. ის უფროსი, რომელიც ხელქვეითს სამსახურიდან უსაფუძვლოდ დაითხოვს, მიეცემა პასუხისგებაში დისციპლინარული ან სასამართლოს წესით (სისხ. სამ. კოდ. 108 და 109 მუხლ. 1 ნაწ.).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, ოთხშაბათს 7 აპრილს, საღამოს 6 საათზე, ს. ქ. პ. (ბ) ც. კ. შენობაში შესდგება **საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.** დასწრება ქვემოთ აღნიშნულ ამხანაგებისათვის სავალდებულოა: ღოღობერიძე, მაშკევიჩი. ინსტრუქტორები: 1. ა. ჯაფარიძე, 2. მირიმანოვი, 3. ხაცკევიჩი, 4. ჯავახია, 5. გაბუნია, 6. მგალობლიშვილი. ხუნდაძე, ლიციანოვი, ჯაფარიძე ვ., ბახტაძე. ინსტრუქტორი ჩერქეზიშვილი. მუშიშვილი, სვანიძე, მურავიოვი, მელნიკოვი. ინსტრუქტორები: 1. ხუხუა, 2. ცაბაძე, 3. შოგირაძე. გოგლიძე, კორსაველი, მარკაროვი, პეტროვი, აფციაური, ფანცხავა.

მოწვეულ არიან ამხ. შავერდოვა და გიორგაძე (საქ. კ. პ. ა/კ. საოლქო კომ.). კაკაბაძე და ჩხეიძე („წარმოკავშირიდან“).

კომკავშირის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს 7 აპრილს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში მოწვეულია **რაიკომის პლენუმი.** რაიკომის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

ლენრაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 7 აპრილს, საღამოს 4½ საათზე რაიკომში შესდგება **ქალთა ორგანიზატორების თათბირი.** ამავე დღეს 6 საათზე შესდგება დელეგატების მეცადინეობა ქართულ ენაზე მე-6 უბნის სალიანდაგო დარგის კლუბში და რუსულ ენაზე ქალთა კუთხეში.

ს. ქ. პ. ლენრაიკომის საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ ოთხშაბათს 7 აპრილს, საღამოს 5 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში (ნაძალადევში) შესდგება ყველა ტიპის **პოლიტ-სკოლების ხელმძღვანელთა თათბირი,** რომელზედაც დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისა:

ა/კ. კომუნივერსიტეტის კომუჯრედიდან: ამხ. სალარეიშვილი, ტაბიძე, მაღრაძე, ბახტაძე, კრივულიოვი, კობუჩავა, კატანოვი, კატინი, ზამთარაძე, გეორგაძე, ლეჟავა, კაიშაური, ძიძიგური, მელაძე, ცხაკაია, ტყემალაძე, ხუხუა, ობოლაძე;

სახელმწიფო უნივერსიტეტიდან: ამხ. მექაბიშვილი და მოწონელიძე.

რკინისგზის სამმართველოს უჯრედიდან: ბეჟანოვი;

„ზაკტპო“-დან: ამხ. სურენიანცი;

რკ. გზის ჯანმრთელობის განყ.: ამხ. მარკარიანი;

სარონოდლო ფარეხიდან: ამხ. ამოსოვი;

თბილისის სამხედრო სკოლიდან: ამხ. როზენგაუზი და კიჩიგინი;

ჯარიდან: ამხ. მეგრელიძე;

საღამოს სობპარტსკოლიდან: ამხ. კალაძე;

შ. ვ. სახკომიდან: ამხ. როზენფარბი.

პროპაგანდისტთა [illegible] ჯგუფის მორიგი მეცადინეობა [illegible] ოთხშაბათს, 7 აპრილს, საღამოს 7 საათზე, თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის კაბინეტში.

ხუთშაბათს, 8 აპრილს, დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის კაბინეტში შესდგება **თათბირი** „თვითგანვითარების ამოცანების და ორგანიზაციის“ შესახებ.

აუცილებლად უნდა გამოცხადდენ რაიონული პროპაგანდისტები (ფიშერი, სოსიანი, საყვარელიძე და ბეჟანოვი) პროფსაბჭოს კულტგანყოფილების, თბილისის პოლიტგანის წარმომადგენლები, თვითგანვითარების წრეების მდივნები და უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედების საგიტაციო-საპროპაგანდო ორგანიზატორები.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომის** აღმრიცხავი ქვე-განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ოთხშაბათს, 6 აპრილს, დილის 11 საათზე აღმრიცხავ ქვე-განყოფილებაში ერთიან პარტბილეთების მისაღებად:

შაროვაევი სერგო, ბერიძე ვასილ, ქორიძე ნიკოლოზ, ჩერნიშევი დიმიტრი, ვართანოვი ვართან, პოპოვი ვლადიმერ და ავაქოვი ბაგრატ.

საკანდიდატო ბარათების მისაღებად:

კლეპტრიშვილი თედორე, მჭედლიშვილი გიორგი, კუხტი ილია, სულაძე ნიკოლოზ, მიშელაძე არტემ, აბრამოვი გიორგი, წოწოლაშვილი სოფიო, მაქსიმოვი ჯალილმიტა-ოღლი, გორფინკელი პეტრე, ადამიანი გაიგ, სტეპანოვა ნინა, ნონეზოვი გრიგოლ, მარჩენკო ქსენია და სარმანი ალბერტი.

— ხუთშაბათს, 8 აპრილს, დღის სრულ 2 საათზე, შესდგება საქართველოს ა. ლ. **კომკავშირის თბილისის კომიტეტის ორგკოლეგიის სხდომა.**

აუცილებლად დაუგვიანებლად უნდა გამოცხადდენ ორგკოლეგიის ყველა წევრები და კომკავშირში ახლად მისაღები წევრები, რომელთა ანკეტები უნდა დაამტკიცოს კომკავშირის თბილისის კომიტეტის ორგკოლეგიამ.

ოთხშაბათს, 7 აპრილს, საღამოს 6 საათზე, საქ. ა. ლ. კომკავშირის **თბილისის კომიტეტის** შენობაში შესდგება წიმ კომისიის მუშაობა, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს პრაქტიკული წინადადებანი მოწაფეთა შორის მუშაობის შესახებ.

წინადადება ეძლევა კომისიის ყველა წევრებს, რომელნიც არჩეულ იქნენ მოწაფითა უჯრედების ბიუროების კონფერენციაზე, გამოცხადდენ აღნიშნულ დროზე [illegible].

დამწუხრებულნი და თვალებზე ცრემლშეუშრობელნი მშობლები თამარ და ვასო ბურდულები, ივლიტე და სიმონ ნუცუბიძენი, ტასო და დიმიტრი ბურდულები, მარო ნუცუბიძე და ვარლამ ბურდული, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ-ნაცნობთ და მეგობრებს პირველთა საყვარელ და დაუვიწყარ შვილის, მეორე—და მესამეთა დაუვიწყარ შვილის შვილის, მეოთხე საყვარელი დის შვილის და მეხუთესი საყვარელი ძმის შვილის

ნათელას (ცაცა)

უდროვოთ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება 8 აპრილს, ხუთშაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე, პეტროვის ქ. № 5. 2092 1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინა (ერმონია) თედოსის ასული, შვილი პლატონ, ძმისწული ზინა აბესაძეები და სიდედრი კეკელა სეხნიას ასული ბოხოჩაძისა, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 5 აპრილს, ღამის თორმეტ საათზე გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

დავით სვიმონის ძე აბესაძე

დასაფლავება მოხდება პარასკევს, 9 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე, გამოსვენება საკუთარი ბინიდან სამხრეთის ქუჩა № 5. (ყოფილ ახვერდოვის მამული). 2083 1 1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ირინე ივანეს ასული შვილები—საველი, ლავრენტი, ვარლამი, ნიკალა, შალვა, გიორგი და დათიკო, რძლები—პელაგო, ლიზა, მატია, ევა და კლავდია, შვილისშვილები—გრიშა, ალიოშა, ჟორჟიკა, შოთა, კუკური, გივი, ვახტანგი, ოთარი, ქეთო, ოლია, სონია, ქსენია, თინა და დარეჯან, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

კოსტანტინე გრიგოლის-ძე შველიძის

გარდაცვალებას. უკანასკნელი გამოთხოვება და დასაფლავება მოხდება 8 აპრილს, დღით ხუთშაბათს ს. როხში. ნ. 1112 1—1

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ანასტასია და ალექსანდრე კობიძეები; მეუღლე ვენერა ჯაყელის ასული, შვილი პატარა ეთერიკო, ძმები ლადო, ილიკო და მირიან, დები ბაბო, გოგოლა ციცინო და რუშა, სიძე ვალიკო კეკელიძე, სიდედრი როზა, სიმამრი ბარნაბ, ცოლისდა ელენე და ცოლისძმები დათიკო და ზურაბ ჯაყელები მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-ნაცნობ-მეგობრებს

არჩილ ალექსანდრეს ძე კობიძის

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 8 აპრილს, ს. ერკეთში (გურია). 2078 2—2

25.387 კაცმა ინახულა
პირველი ექვსი დღის განმავლობაში
აპოლლო არტისტო სოლეი
სურათი „ნათელა“
ჩვენება გრძელდება მეორე კვირაში
ამ დღეებში „არტისტო“-ში და „სოლეი“-ში: „დათვური ქორწილი“
„აპოლო“-ში და „პალას“-ში: „ჯავშნოსანი პოტიომკინი“
საბჭ. კინემატოგრაფიის სიამაყე
ნ. 972 50—

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დარსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კორგანოვის ქ. № 20. 50—30

ექ. ი. გ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთ. პროსპ. № 18 (შესავალი კოჟევნიკოვის ქუჩიდან). 25—13

რუსთაველის თეატრი
პრემიერა ხუთშაბათს, 8 აპრილს,
ფულდის კომედია
„ვირის ჩრდილი“
დადგმა აკ. ფალავასი
საოპერო სტუდიის ორკესტრი
ახალი დეკორაციები მხატვარ ირ. გამრეკელისა
1—1 ნ. 1116

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ. ლისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ. № 5—90 თვალის საავადმყოფო. 25—12.

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—19

ექ. ვასილი ნიკიფორესძე
ჩუპრინინი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. მიღება: დილის 9—11-დე და საღამოს 4—6 საათამდე.
მისამართი: საბჭოთა (ყოფ ჩერქეზიშვილის ქ.) 87. 25—11

ექიმი ბ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38. 25—8

ექიმი მ. ა. ლუკომსკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—18

ექიმი არსენ გადაჭკორია
ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და გრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღამოს 4—7 საათამდე.
(ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 35 25—11

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). 25—25

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ. საღამოს 4—7 საათამდე, ელბაქიძის დაღმართი № 15. (ყოფილი ვერის დაღმართი). 25—1

სახელმწიფო ოპერა დღეს, 7 აპრილს
გაიმართება დამსახურებული მსახიობის
ელისაბედ ჩერქეზიშვილის
45 წ. იუბილე
წარმოდგენილი იქნება 1 დედის ერთა 2. ხანუმა (მეორე აქტი) 3. ალლუმი (პირვ. მოქ.)
მონაწილეობას იღებენ: დამსახურებული მსახიობი ტასო აბაშიძე, ქეთო ანდრონიკაშვილი, მ. ერგნელი, ა. ლოლუა, კ. გილაშვილი, ა. ქიქოძე, ც. წუწუნავა, ნ. გოცირიძე (სახ. მსახიობი), ვ. არაბიძე, ვ. ბალანჩივაძე, ვ. გამყრელიძე, გელოვანი, ნ. გვარაძე, გ. გორაძე, ს. გრიშაშვილი, მელიავა, კ. მიქაბერიძე, ხინთიბიძე, ყიასაშვილი, მ. ჭიაურელი.
რეჟისორები: ა. წუწუნავა
კ. ანდრონიკაშვილი
მ. ჭიაურელი
წარმოდგენის შემდეგ საიუბილეო ზეიმი
ნ. 1114 1—1

სახელმწიფო ოპერა
ხუთშაბათს, 8 აპრილს,
მ. ბალანჩივაძის ორიგინალური ოპერა
„თამარ ცბიერი“
დადგმა ალ. წუწუნავასი
დირიჟორი დამს. მს. სტოლერმანი
პარასკევს, 9 აპრილს,
ფაუსტი
სანდრო ინაშვილის გასტროლი
1—1 ნ. 1011

ავადმყოფების მიღებას
პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. გარდა კვირისა. ყოფ. ელიზბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედავშრომის“ ოპტიკურ განყოფილებაში დილის 3—5 დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63. 25—11

ბათომის რაიონული საბაჟო
ამით აცხადებს, რომ ა. წ. 10 აპრილს იგი ნიშნავს
ქ. ფოთში საჯარო ვაჭრობას
დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების გასაცემად ფოთის საბაჟოსთან

1. საჯარო ვაჭრობა დახურულია და პირობების წარდგენა შეიძლება მხოლოდ დახურულ კონვერტებში.
2. შეჯიბრება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ნიხრზე და მხოლოდ პროცენტული ანარიცხის საშუალებით მთელ ნიხრზე და არა მის ცალკე ნაწილებზე.
3. ხელშეკრულების ტექსტი არ არის შეჯიბრების საგანი და სავალდებულოა მთლიანად საჯარო ვაჭრობის ყველა მონაწილეთათვის.
4. იმ სახელმწიფო დაწესებულებებმა, რომლებიც აღნიშნულ სამუშაოებს აიღებენ, უნდა შეიტანონ საწინდარი—300 (სამასი) მანეთი და ყოველთვიურად მთელი შემოსავლიდან 10 პროც. გადარიცხვით აიყვანონ იგი 2.000 მანეთამდე, კერძო დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა კი 1.000 მანეთი—და უნდა აიყვანონ იგი 7.000 მანეთამდე.
5. საწინდარის შეტანა სავალდებულოა არა მარტო კერძო და კოოპერატიულ წარმოებათათვის, არამედ სახელმწიფო ორგანოებისათვისაც.
6. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ისე შრომის სახ. კომისარიატის განსაკუთრებულ დადგენილებათა თანახმად შედგენილ კოლექტივებს და არტელებს და აგრეთვე კერძო ორგანიზაციებს.
7. იმ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომლებმაც აიღეს იჯარით საარტელო სამუშაოები, არ აქვთ უფლება შეასრულონ საექსპედიტორო ვალდებულებანი საბაჟოსთან.
8. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა აღნიშნულ საბაჟოს დეპოზიტში უნდა შეიტანონ მე-4 მუხლში აღნიშნულ პირვანდელ საწინდრის 10 პროც.

შენიშვნა: საარტელო სამუშაოების აღების შემდეგ საწინდარი გადაირიცხება მე-4 მუხლში აღნიშნულ საერთო საწინდარში, ხოლო იმათ, ვინც სამუშაოებს არ აიღებს, საწინდარი დაუყოვნებლივ უბრუნდებათ უკან.

9. ხელშეკრულების, ნიხრის, ვაჭრობის პირობების გაცნობა შეიძლება ფოთის საბაჟოში საბაჟოს მმართველთან.
10. ვაჭრობის შედეგებს ამტკიცებს საბჭოთა კავშირის მთავარ საბაჟო სამმართველოს საბაჟო-სატარიფო კომიტეტი, რის შემდეგაც კონტრაგენტი იწყებს მუშაობის შესრულებას.
11. დახურულ კონვერტების შეტანა ფოთის საბაჟოში შეიძლება ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან ა/წ. 10 აპრილის დღის 12 საათამდე.

3—3 ნ. 1002 ბათომის რაიონული საბაჟო

დავკარგე [illegible] პირველი სამრეწველო ეკონომიური ტეხნიკუმის მოწმობა № 476 ილია ბაბ-[illegible]შვილის სახელზე, ჩ. გ.

დავკარგე ქალაქის ლომბარდის ქვითარები №№ 9278, 8699, 9269. ჩ. გ. ნ. 2687

დავკარგე საწევრო წიგნაკი № 796 აღმშენებელთა კავშირისა თედორე გვარამაძის სახელზე ჩ. გ. ნ. 2089

დავკარგე [illegible] წიგნაკი № 37880 თედორე გურულის სახელზე, ჩ. გ. 2083

დავკარგე თბილისის კომუნალური ბანკის ქუთაისის განყოფილების აქციის ქვითარი 53 მანეთიანი 1925 წლის 6 ივნისს მიცემული რაფიელ ციციაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1112

დავკარგე პირადობის მოწმობა ელენა გიორგის ასული [illegible] სახელზე, ჩ. გ.

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ჯერონტი თ. ორმოცაძის სახელზე, ჩ. გ. 2090

დაიკარგა ზუგდიდის მაზრის ახუთის თემის აღმასკომის [illegible] ბეჭედი. ბეჭედი იყო რგვალი და ჩვეულებრივი, საშუალო ფორმატისა. იგი ითვლება გაუქმებულად. ახალი ბეჭედი დამზადდება განსხვავებული უფრო დიდი ფორმატის.
ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე (ხელმოწერილია)
1—1 № 2086

დავკარგე კომპარტიის საწევრო ბარათი № 49443, სპირიდონ ანდრონიკესძე ბეჟალავას სახელზე, ჩ. გ. 2091

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—9 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი.
სასტუმრო „ნორდ“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—17

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68